საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№079 (12 149)
5 აპრილი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

## როდემდე დარჩება გასაიდუმლოებული სპორტის სასახლის რეკონსტრუქცია?

"ლელოს" გუშინდელმა პუბლიკაციამ "სპორტის სასახლის საიდუმლო რეკონსტრუქცია", უმალვე ჰპოვა გამოძახილი ჩვენს საზოგადოებაში. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლის დირექციამ და დაცვამ კატეგორიულად აუკრძალა ჩვენს ჟურნალისტებს მასალის მომზადება იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ფოტოჟურნალისტი ალექსანდრე კოტორაშვილი კი "დააკავეს" და აიძულეს, ციფრულ ფოტოაპარატში წაეშალა ყველა კადრი, რომელზედაც დაფიქსირებული იყო სპორტის სასახლეში სამუშაოების მიმდინარეობა.

სიმართლე გითხრათ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, თუ საზოგადოება, "ლელოს" მკითხველები, ამ ფაქტს გულთან ასე ახლოს მიიტანდნენ. ბევრმა, განსაკუთრებით სპორტში კარგად ჩახედულებმა, ისიც აღნიშნეს, რომ გაუკითხაობა და თვითნებობა, თუმცა შინაარსით სხვადასხვაგვარი, თითქმის თბილისის ყველა სპორტულ ბაზებზე შეინიშნება. მაგრამ ამაზე სხვა დროს. დავუბრუნდეთ სპორტის სასახლეს.

აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც გუშინ შეგვეხმიანა, აღშფოთებულია იმის გამო, რომ ავტორიტეტული სპორტული გაზეთის წარმომადგენლებს ასე მოექცნენ. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო, შეილახა ჟურნალისტის უფლებები, მკითხველისაც. უკანონოდ, დაედო ვეტო ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების აღიარებულ უფლებას, ხელი შეეშალა ჟურნალისტს მოვალეობის რეალიზებაში, შეუსრულებელი დარჩა სარედაქციო დავალება, დანაშაულებრივად განადგურდა ფოტოჟურნალისტის ინტელექტუალური ნაშრომი. შეგვეხმიანენ იურისტებიც. მათი აზრით, შესაძლებელია საქმე გვაქვს რაღაც უკანონობასთან, რომლის გახმაურება ადმინისტრაციას არ სურს (ვთქვათ, ვინაა ტენდერში გამარჯვებული, ან ჩატარდა კი იგი? რა მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი და ა.შ.). ერთმა იურისტმა თავის სამსახურიც შემოგვთავაზა - სარჩელი შევიტანოთ სასამართლოში, გამარჯვების გარანტიას გაძლევთ და მორალური ზარალისთვის სოლიდურ ანაზღაურებასაც მიიღებთო.

იქნებ ვცდებით, იქნებ სპორტის სასახლის ადმინისტრაციაა მართალი. მაგრამ რაში, როგორ? გუშინაც ვწერდით და გავიმეორებთ: მოგვცენ ოფიციალური განმარტება მომხდართან დაკავშირებით.

ჩვენ კი აქვე მაინც ვიტყვით ჩვენსას. "კანონი პრესის შესახებ", მესამე თავში, მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობებას ასე განმარტავს: მუხლი 19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ, ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისგან, აგრეთვე მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები...

მუხლი 21. ჟურნალისტს უფლება აქვს: 1. მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; 2. თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს; 3. ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, კინო და ფოტო გადაღებით) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა.

აღარაფერს ვამბობთ კონსტიტუციურ უფლებასა და სხვა იურიდიულ დოკუმენტებზე, რაც ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებას არეგულირებს.

ვწუხვართ, რომ სპორტის სასახლეში ჩვენს ჟურნალისტებს კანონისა და ყოველგვარი ეთიკური ნორმების უგულვებელყოფით შეუშალეს ხელი მოვალეობის შესრულებაში. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ მზადყოფნას, მოვისმინოთ არგუმენტირებული განმარტებები მომხდართან დაკავშირებით, სპორტის სასახლის ხელმძღვანელებისგან.

ლელოს რედაქცია

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

## როგორ გაზრდილა რომა...

### ჩელსი დროგბამ გადაარჩინა






რომა-მანჩესტერი. შეხლა-შემოხლა პოლიციასა და ინგლისელ ფანებს შორის






ერთი ბარათი ორისათვის. სქოულზი (18) გააძევეს, საპასუხო მატჩს პეროტაც გამოტოვებს

გუშინდელი ამბების შემდეგ, ოთხივე გუნდი ინარჩუნებს ნახევარფინალში გასვლის შანსს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები დოზით. "რომამ" შესანიშნავი თამაში დაუპირისპირა ბრწყინვალე ფორმაში მყოფ "მანჩესტერს", რომელიც მთელი ერთი საათი კაცნაკლული თამაშობდა. ამ შეხვედრამ აჩვენა, რომ ლუჩანო სპალეტის "რომა" იზრდება. ალბათ, შარშან ის ესოდენ ძლიერი გუნდის დამარცხებას ვერ შეძლებდა. და მაინც, "იუნაიტედის" ორმა დიდმა ფიგურამ საშური საქმე გააკეთა მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი გოლით. კრისტიანო რონალდოს ჩაწოდებული რუნიმ მკერდზე მიიღო, მცველი მოიცილა და ბურთი ლამაზად გაახვია ბადეში. სპალეტიმ იქვე შეიყვანა დამატებითი ფორვარდი ვუჩინიჩის სახით. და ოთხ წუთში, იმ ვუჩინიჩმა, რომელსაც ნაკლებად ენდობა ხოლმე, გამარჯვების გოლი აჩუქა. ეს 66-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ დროშიც უპირატესობა "რომას" ხელთ იყო, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. საპასუხო მატჩში "მენიუს" გუშინ გაძევებული სქოულზი არ ეყოლება, თუმცა "ოლიმპიკოზე" გატანილი გოლი მაინც ბევრს ნიშნავს...

"ვალენსიამ" ჩინებულ შედეგს მიაღწია "სტემფორდ ბრიჯზე". ცინიკოსი ჟოზე მოურინიო, რომელმაც თამაშის წინ მეტოქე აგდებულად მოიხსენია, შეიძლება, "მესტალიაზეც" დაისაჯოს. "ჩელსი" მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, მაგრამ "ღამურებს" თამაშზე კონტროლი ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ. პირველ ტაიმში სილვას მომაკვდინებელი ცაცია გოლი, მეორე ნახევრის დასაწყისში დროგბას თავურით გაიქვითა. აქ აიალას უპატიებელი შეცდომაც უნდა ვახსენოთ. 1:1 და ყველა კითხვაზე პასუხს ერთ კვირაში გაეცემა პასუხი.

15 ტექნიკური შედეგები

რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

UNDER 19 WORLD CHAMPIONSHIP IRELAND 2007

## 28:0

## რუმინეთი დავამინეთ!

13

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

## ლაზიერის ამბავი

ჯავახიშვილი და არახამია-გრანტი მაქსიმუმით

დრეზდენული პერიპეტიები

11

EURO 2007 CHESS EUROPEAN CHAMPIONSHIP DRESDEN




## სირაძემ აუეს ხელი აუქნია

### მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგაში?

4

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

პრეზენტაცია

# 55 საუკეთესო

## ტალანტების მოძიების პროგრამა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ტალანტების მოძიების პროექტის პრეზენტაცია შედგა. მასმედიის წინაშე ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, ვიცე-პრეზიდენტი და ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე **გრიგოლ ცაავა**, პროექტის ავტორი - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **ჰერბერტ ცანკერი** და ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების თავკაცი **ირაკლი ოყრომიძე** წარდგნენ. ახალკაცმა თავიდანვე განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობა გასულ წელს დაიწყო და ამჟამად მთლიანად დასრულებულია.

მერე კი პროგრამის ხელმძღვანელმა ჰერბერტ ცანკერმა ჩატარებული სამუშაოს შესახებ ისაუბრა:

- პროგრამის მიზანი ტალანტების აღმოჩენაა. გვინდა ყველას მივცეთ თავის გამოჩენის შანსი და არცერთი ნიჭიერი მოზარდი არ დავკარგოთ. ამასთან, გავამდიდროთ ჭაბუკ ფეხბურთელთა მონაცემთა ბაზა.

ჩვენ ის ფეხბურთელები შევარჩიეთ, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული საფუძველი ტაქტიკურ ცოდნაში, საშუალოზე მაღალი ტექნიკა, სისწრაფე, სათამაშო აზროვნება, გუნდური თამაშის კულტურა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დისციპლინა და სამართლიანი თამაშის სურვილი.

საქართველო 8 რეგიონად (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი და თბილისი) დავყავით. პროგრამის პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები გასული წლის მიწურულს დასავლეთ საქართველოში დაიწყო. იმერეთის რეგიონული ფედერაციის მიერ შერჩეული 1991 და 1992 წლებში დაბადებული ფეხბურთელებისგან ოთხი ნაკრები დაკომპლექტდა. ამის შემდეგ რეგიონთა ნაკრებები ერთმანეთთან გავაჯიბრეთ. მომდევნო ეტაპზე კი აჭარა-გურიის ნაკრები იმერეთ-სამეგრელოს კრებულს ეთამაშა და მათ შორის საუკეთესო ფეხბურთელებით დასავლეთ საქართველოს ნაკრები ჩამოვაყალიბეთ.

აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრები კი შიდა ქართლის-ქვემო ქართლისა და კახეთ-თბილისის (1992 წელს დაბადებულები) კრებულთა მატჩში შერჩეული საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტდა.

მერე უკვე დასავლეთისა და აღმოსავლეთი საქართველოს, აგრეთვე თბილისის (1991 წელს დაბადებულები) ნაკრებების ბაზაზე 17 წლამდელთა ნაკრებისთვის კანდიდატები შევარჩიეთ - სულ 55 მოთამაშე.

ამ ეტაპების გავლისას სულ 86 გუნდი ჩამოვაყალიბეთ, 43 ტესტმატჩი ჩავატარეთ, 1500 მოზარდი ვნახეთ საქმეში. პროექტში მთელი საქართველოს მასშტაბით 24 მწვრთნელი მონაწილეობდა.

ნოდარ ახალკაცმა ცანკერის ნათქვამს დაამატა, რომელი მოთამაშეც შემოდგომაზე გასამართ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში იასპარეზებს, მათ მწვრთნელებს ფედერაცია წახალისების სახით გარკვეულ პრემიას გადაუხდის.

- შემდგომ 55 ფეხბურთელიდან 33 საუკეთესო შევარჩიეთ და ურეკში წავიყვანეთ მოსამზადებელ შეკრებაზე - გააგრძელა თხრობა ცანკერმა - საიდანაც სანაკრებოდ 18 ფეხბურთელი შევარჩიეთ. ეს 18 ფეხბურთელი 7 რეგიონის და 10 კლუბის წარმომადგენელია. თუმცა სია საბოლოო არაა, 17-წლამდელთა ნაკრების სელექცია კვლავაც გაგრძელდება. ამ ასაკში მოზარდი სწრაფად ვითარდება და სხვა ფეხბურთელებიც თვალთახედვის არეალში გვეყოლება.



ჰერბერტ ცანკერი

აპრილის ბოლოს 17-წლამდელთა ნაკრები იტალიაში საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. გარდა ამისა რუსეთთან ოთხი ამხანაგური მატჩი გველის, ორი სტუმრად ივლისში და ორიც შინ ნოემბერში.

რათა თქმა უნდა, მოზარდებში ასაკის გადაკეთებააც ვებრძვით. რაც არ უნდა გამორჩეული იყოს, 17-წლამდელთა ნაკრებში ფეხბურთელი ვერ მოხვდება, თუ არქივიდან დაბადების თარილის დამადასტურებელ ცნობას არ წარმოადგენს.

პრესკონფერენციის ბოლოს ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, რომ სავარაუდოდ ერთი თვის განმავლობაში ირაკლი ოყრომიძე უფრო დეტალურ პროექტს წარმოადგენს, რომელიც 1995 წლიდან მოყოლებული 21 ათას ბავშვზე მოიცავს მონაცემებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# არგენტინა გველის

ამხანაგური მატჩების გასამართად მიმდინარე წელს სამი თარილია გამოყოფილი - 22 აგვისტო, 12 სექტემბერი და 17 ნოემბერი. ვისთან ვითამაშებთ ამ დღეებში ჯერ არაა დაზუსტებული, მაგრამ დიდი შანსია 12 სექტემბერს არგენტინის ნაკრები გვესტუმროს. მოლაპარაკება არგენტინასთან ამჟამადაც მიმდინარეობს. არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ საჯაროდ განაცხადა თბილისში საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური თამაშის ჩატარებაზე თანხმობის შესახებ და ახლა ქართველებისგან ითხოვენ დასტურს. ჩვენი ფედერაციისგან პასუხი დღეს უნდა გაიგზავნოს. ჩვენი ინფორმაციით ფედერაცია ამ თამაშის ორგანიზებასთან დაკავშირებით, პოტენციურ სპონსორებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

*"დიახ, პოტენციურ სპონსორებთან მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, თუმცა ამ კომპანიებს ვერ დავასახელებ.*

*არგენტინულ მხარეს ხვალ, 5 აპრილს უნდა ვაცნობოთ პასუხი. დღეს გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ხვალ დილით ყველაფერს ავწონ-დავწონით, ბუნებრივია ფინანსები იგულისხმება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ"*, - გვითხრა გუშინ დაკავშირებისას ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

ჩიხურა-ზესტაფონის გარშემო

# ქართლზე ხალხი შეუნიშნავთ...

## გადათამაშება გამოირიცხა

"ქართლის" ამოთხრილი მოედნის შესახებ გუშინდელ ნომერში გიამბეთ. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამბავს გაგრძელება მოჰყვებოდა და ვარაუდი გამართლდა.

ბუნებრივია, "ზესტაფონისა" და "ჩიხურას" წარმომადგენლებმა ამ საქმესთან კავშირი იმთავითვე უარყვეს.

გუშინ კი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რამდენიმე ინკოგნიტო წყარო ირწმუნებოდა, რომ ძელებს შორის ნიჩბებით არც მეტი, არც ნაკლები, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** და მისი ასისტენტი **დავით გენძეხაძე** მუშაობდნენ. ამ ვერსიის ავტორებმა ისიც დაამატეს, რომ "ქართლის" სტადიონის დარაჯების დანახვაზე სამწვრთნელო დუეტმა ტერიტორია გენძეხაძის კუთვნილი "მერსედესით" სწრაფად დატოვა.

მახარაძესთან და გენძეხაძესთან დაკავშირება ვერ შევძელით, "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ** კი შემდეგი განაცხადა:

*"პიროვნებათა გარკვეული ჯგუფი განზებ ავრცელებს ასეთ ბინძურ ჭორებს, რაც ჩვენი კლუბის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. ასეთ სულელურ ბრალდებას რა უნდა ვუპასუხოთ, მავანმა მოედანი განზებ გათხარა და ახლა მოქმედებს პრინციპით - "გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება".*

*დიახ, დავით გენძეხაძის ავტომობილი მართლაც იმყოფებოდა "ქართლის" ტერიტორიაზე, ოღონდ "ზესტაფონის" თანამშრომლებთან ერთად. რამდენიმე მანქანით ვიყავით, რათა მოედნის ამოთხრის ფაქტი ფირზე დაგვეფიქსირებინა. მოედანი ისეა დაზიანებული, რომ ამას რამდენიმე წუთში ვერავინ მოასწრებდა, შესაბამისად, სტადიონზე უცხო არავინ შეპარულა, ყველაფერი მიზანმიმართულადაა გაკეთებული.*

*არ გვინდოდა საქმის ასე გამწვავება, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ჩვენთვის უცნობ პიროვნებებს მოედნის თხრისას ფოტოები გადავუღეთ, რომლებსაც საზოგადოება მალე იხილავს.*

*პროფლიგისა და ფედერაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მატჩამდე კარის არასტანდარტული ზომების შესახებ არავინ გაგვიფრთხილებია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის თაობაზე ჩვენმა მეკარემ, გრიგოლ ჭანტურიამ დამკვირვებელსა და მსაჯებს უთხრა, რომ ძელები დაბალი იყო, მაგრამ მის სიტყვებს რეაქცია არ მოჰყოლია.*

*იმედია, ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და "ჩიხურასთან" ან გამარჯვებას ჩაგვითვლიან, ან მატჩს გადაათამაშებენ. "ზესტაფონს" დაპირისპირება არავისთან სურს, მაგრამ ბინძურ ცილისწამებას ვერ მოვითმენთ ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

***P.S. პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან გვაცნობეს, რომ "ზესტაფონის" პროტესტი არ იქნა მიღებული, რისი მიზეზიც გასაჩივრების 24-საათიანი ვადის გადაცილებაა. შესაბამისად, "ჩიხურა"-"ზესტაფონის" მატჩის გადათამაშება გამოირიცხა.***

# მუჯირი კრილიას დაუბრუნდა

როგორც იცით, სავიზო პრობლემების გამო, **დავით მუჯირი** რუსეთში დაბრუნებას ვერ ახერხებდა. საქართველო-ფარერების მატჩის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ფორმის შესანარჩუნებლად იგი თბილისის "ლოკომოტივის" შემადგენლობაში ვარჯიშობდა.

როგორც იქნა, რუსეთის საკონსულომ ვიზა გასცა და გუშინ ქართველი ნახევარმცველი უკვე სამარაში იყო.

*"დავითის ვიზისთვის დიდი დავიდარაბა დაგვჭირდა. ამ საკითხის გადასაჭრელად კლუბმა ბევრი იმუშავა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრსაც კი შევხვდით იმისთვის, რომ პრობლემა მოგვარებულიყო. ვერ გავიგე, რატომ შეექმნა მუჯირს ასეთი დაბრკოლება, აქამდე მსგავსი რამ არ მომხდარა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი რომ მოგვარდა"*, - განაცხადა "კრილია სოვეტოვის" პრეზიდენტმა **ალექსანდრ ბარანოვსკიმ**.

ვიზის დაგვიანებამ მუჯირი მაინც გვარიანად აზარალა. მოსკოვში, "მოსკვასთან" თასის მეოთხედფინალური მატჩის სათამაშოდ "კრილია" მის გარეშე გაემგზავრა. მანამდე დავითს ამავე მიზეზით პრემიერლიგის ერთი შეხვედრაც გაუცდა. მომდევნო თამაშისთვის იგი სამარაში ემზადება და იმედია, გუნდის ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**






გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



## ამირან გოგიტიძე: აჭარაში ფეხბურთი აღარავის სჭირდება

**ამირან გოგიტიძემ ერთი შეხედვით, შეუძლებელი შეძლო და ფინანსურად შეჭირვებული "ბათუმი" სეზონის მეორე ნახევარში შთამბეჭდავად და დაუმარცხებლად ასპარეზობს. ახალგაზრდა მწვრთნელმა "ლელოს" მიერ საუკეთესოდ დასახელების ამბავი ჩვენთან საუბრისას შეიტყო და გულით გაიხარა.**

- ამ ამბავმა სასიამოვნოდ გამაკვირვა, ჩემი შრომის დაფასებისთვის მადლობელი ვარ. მიხარია, ამდენ ძლიერ სპეციალისტს შორის რომ გამომარჩიეს.

**- რამ განაპირობა გუნდის ასეთი თვალსაჩინო პროგრესი?**

- უპირველეს ყოვლისა, შემადგენლობის გაძლიერებამ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ძლიერი ფეხბურთელების დამატების შემთხვევაში, გუნდი გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებდა. მართალია, "ბათუმის" ყველა ახალწვეული ჩვენთან იჯარით თამაშობს, მაგრამ ეს მათ მონდომებაზე უარყოფითად არ აისახება. პირიქით, ამ ბიჭებს მაღალ დონეზე სურთ კარიერის გაგრძელება და ჩვენი მწირი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, გუნდისთვის თავს არ ზოგავენ. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან.

არადა, ნამდვილი სასწაულია, მოუმზადებელი და ფაქტობრივად, შეკრებაგაუვლელი გუნდი ასეთ შედეგს რომ აჩვენებს. შემადგენლობა ზედ სეზონის განახლების წინ გავაძლიერეთ. ფეხბურთელებთან ერთად, ჩემი თანაშემწეების შრომაც დასაფასებელია. მათ უდიდესი სამუშაო გასწიეს.

**- განსაკუთრებით რომელმა ახალწვეულმა გაგიმართლათ?**

- ვერავის გამოვარჩევ, თითოეული მათგანი მოედანზე მაქსიმუმს დებს. თვით გიორგი თურმანიძეც, რომელიც ტრავმის გამო ვერ თამაშობს, გვერდში გვიდგას და ახალგაზრდა თანაგუნდელებს რჩევებს არ აკლებს. აღდგომის შემდეგ, იგი ვარჯიშს განაახლებს, თურმანიძე ჩვენთვის დიდი ძალაა. ბუნებრივია, არც იმ მოთამაშეთა დამსახურებებს ვაკნინებ, რომლებიც "ბათუმის" ღირსებას დიდი ხნის მანძილზე იცავენ.

**- წლეულს ყველაზე რთული მატჩი რომელი იყო?**

- იოლი არც ერთი ყოფილა. განსაკუთრებით სასიხარულო კი რა თქმა უნდა, თასის ნახევარფინალში გასვლა, ბოლნისში გამარჯვება და სტუმრად "ამერთან" მიღწეული ფრეა. ქართული საზომებით ძლიერ გუნდებთან სასურველ შედეგს მივაღწიეთ.

**- უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგიჭირდეთ, თასზე კი გაცილებით მეტს მიაღწიეთ...**

- ნახევარფინალში გასვლით არ დავკმაყოფილდებით. დაუმარცხებელი არავინაა და ფინალში გასვლის შანსი ჩვენც გვაქვს. "ზესტაფონთან" თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, ეს გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მხოლოდ თასის ფინალისთვის ბრძოლა.

**- რას გულისხმობთ?**

- იმას, რომ ევროსაგზურის მოპოვების შემთხვევაში, აჭარაში ფეხბურთი გადარჩება. თუ უეფას თასზე გავალთ, გუნდს ალბათ შევინარჩუნებთ, სხვაგვარად კი, შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაც ვერ შევძლოთ. გული მტკივა, რომ ასეთ ტრადიციულ საფეხბურთო მხარეში ფეხბურთი აღარავის უნდა. სტადიონი დაანგრიეს, "ადელზე" თამაში, უბრალოდ, არ შეიძლება, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს მწირი ხელფასი აქვთ და ისიც იშვიათად რიგდება. განსაკუთრებით პატარების გამო ვწუხვარ, უნიჭიერესი თაობა მოდის.


ამირან გოგიტიძე

ბათუმში და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ფეხბურთი კვდება.

**- ჩემპიონატის ფავორიტებად რომელი გუნდები მიგაჩნიათ?**

- ზედა ხუთეულის ბინადარნი. პირველობის ყველაზე დიდი შანსი კი "ოლიმპს", "დინამოსა" და "ზესტაფონს" აქვთ.

**- სამწვრთნელო კურსების აქტიური მსმენელი ხართ...**

- დიახ, სულ ახლახან B კატეგორიის ლიცენზია ავიღე. განათლების მიღებას არ ვწყვეტ, სწავლა სიბერემდეა და მეც ასე ვარ, ყოველთვის ვცდილობ, რაღაც ახალი ავითვისო. მსურს, სამწვრთნელო საქმეს სრულყოფილად დავეუფლო, დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, რომ ჩემი ცხოვრება ამ საქმეს მივუძღვნა.

აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი შოთა ჭეიშვილს, ვალერიან ჩხარტიშვილს, ასლან ბალაძეს, ჯანი კარნევალესა და ოთარ გაბელიას. ბედნიერი ვარ, მათთან ერთად რომ მომიწია მუშაობა, ჩემი მწვრთნელად ჩამოყალიბება ამ ადამიანების დამსახურებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სანდრო იაშვილი: ნაკრებში მოვხვდე და მერე მე ვიცი

### იაშვილი ძმის კარს ემუქრება

**შარშან "სპორტმა", წლეულს კი "ლელომ" თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი სანდრო იაშვილი თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ამჯერად ისე მოხდა, რომ "ლელომ" მარტის თვის საუკეთესოდ ერთდროულად ორი ფეხბურთელი, სანდრო იაშვილი და ვიტალი დარასელია დაასახელა.**

**სანდროს გუშინ დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ. საუბარი კი ამ მოვლენით დაიწყო.**

- მოხარული ვარ და მადლობის მეტი რა მეთქმის. ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი კარგი ფეხბურთელია. ბედნიერი ვარ, რომ მათ შორის ვიტალი დარასელიასთან ერთად მეც გამომარჩიეს. საერთოდ კი ერთს ვიტყოდი, კარგია, როცა ერთბაშად ორი ფეხბურთელი სახელდება თვის რჩეულად, რადგან ამ შემთხვევაში არავინ იჩაგრება.

**- სეზონი 18 თებერვალს განახლდა და რჩეულები სწორედ განვლილი პერიოდის მიხედვით შევარჩიეთ. ამ ეტაპს როგორ შეაფასებდი?**

- ეს პერიოდი მთლიანად თბილისის "დინამოსთვის" იყო წარმატებული. ჩემპიონატში ყველა თამაში მოვიგეთ და სატურნირო ცხრილშიც საგრძნობლად გავიუმჯობესეთ მდგომარეობა. ახლა უკეთესი შანსი გვაქვს ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

**- შენს თამაშს როგორ შეაფასებდი?**

- ვფიქრობ, ჩემთვისაც წარმატებული პერიოდი იყო. ყველანაირად შევეცდები გოლების გატანა და წარმატებული თამაში გავაგრძელო გუნდთან ერთად.

**- თვის რჩეულად შენთან ერთად ვიტალი დარასელია დასახელდა. მასზე რას გვეტყოდი?**

- ერთ დროს თანაგუნდელები ვიყავით და კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები. მისი პასით არაერთი გოლი გამიტანია. დარასელია მაღალი დონის ფეხბურთელია და მჯერა, ეროვნულ ჩემპიონატსა და საერთაშორისო დონეზეც კიდევ არაერთხელ გაიბრწყინებს.

**- თვის მწვრთნელად კი "ბათუმის" თავკაცი ამირან გოგიტიძე გამოვარჩიეთ...**

- სხვათა შორის, დარასელიას გამორჩევასთან ერთად ესეც არანაკლებ გამეხარდა. "ბათუმში" ჩემი არაერთი მეგობარი თამაშობს და ამ გუნდის წარმატებაც მახარებს. ბათუმი დიდი ქალაქია და უფრო კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს. საერთოდ კი რაც უფრო მეტი ძლიერი გუნდი იქნება, მით უკეთესი ჩვენი ჩემპიონატისა და ფეხბურთისათვის.

**- ახლა სხვა თემებზე ვისაუბროთ. ეროვნული ნაკრების თავკაცმა ქვეყნის მთავარი გუნდის კანდიდატთა შორის დაგასახელა...**

- 21-წლამდელთა ნაკრებში ყოველთვის გულიანად ვთამაშობდი. ახალგაზრდულში თამაში ასაკის გამო აღარ მიწევს. უკვე კარგა ხანია ეროვნულის კანდიდატთა შორის მასახელებენ და ბუნებრივია წარმოდგენილი გექნებათ ჩემი მოლოდინი.

**- ალბათ დიდხანს ლოდინი არ მოგიწევს...**

- მეც მაგის იმედი მაქვს. ნაკრებში გამომიძახონ და მერე მე ვიცი...

**- ზემოთ აღნიშნე ჩემპიონობის მოპოვებისთვის ახლა უკეთესი შანსი გვაქვო. "ოლიმპს" სამქულიანი ფორა და კარგი კალენდარი აქვს...**

- კი ეგრეა, მაგრამ "დინამო" მადაზე მოვიდა. ჩვენ საკმაო მოტივაცია, ჟინი და მონდომება გაგვაჩნია საიმისოდ, რომ ოქროს მედლები მოვიპოვოთ. მჯერა, შევძლებთ კიდეც.

**- უახლოესი მატჩი (7 აპრილს-დ.ც.) "კახეთთან" სტუმრად გიწევთ. თელაველთა გუნდის კარს შენი ძმა იცავს...**

- პროფესიონალი ვარ, ჩემი ვალი გოლების გატანაა და ამაში ჩემი ძმის ფაქტორიც ვერ შემიშლის ხელს.

**- ე. ი. ძმას უნდა გაუტანო?**

- არაერთი შანსი მომეცემა და იმედია, ერთს მაინც გამოვიყენებ.

**- მერე ძმის არ გეშინია?**

- (იცინის)... მასაც არანაკლებ უხარია ჩემი წარმატება. ისე კი დარწუნებული ვარ გიგა ყველაფერს გააკეთებს, რომ მე ვერ გავუტანო.

**- ალბათ ბავშვობაში ერთმანეთს ხშირად ავარჯიშებდით ხოლმე...**

- კი, ეგრე იყო. გიგაზე წლით უფროსი ვარ და ერთმანეთის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში ორივეს საკმაო წვლილი მიგვიძღვის.

**დავით ცაბაძე**


სანდრო იაშვილი

## თვის ფეხბურთელი კარიერას ამთავრებს?

### როცა ვთამაშობდი, ნაკრებში მაშინაც არ მიწვევდნენ


ვიტალი დარასელია

**ფეხბურთელები ამბიციური ხალხია, მათზე ქება და კრიტიკა, ყურადღება და უყურადღებობა ძალიან მოქმედებს. ვიტალი დარასელიაც არაა გამონაკლისი...**

**ვიტალი "ლელოს" ვერსიით, მარტის საუკეთესო მოთამაშე გახდა და საუბარიც ამის მილოცვით დავიწყეთ.**

- მე გავხდი თვის მოთამაშე? კარგია, კარგი. მიკვირს, კიდევ ვიღაცას რომ ვახსოვარ. ძალიან მოულოდნელი აღიარებაა. მეგონა, ვთამაშობდი თუ არა, არავის აინტერესებდა.

**- გულდაწყვეტილი საუბრობ. ასე რატომ გგონია?**

- ყურადღებაზე ლაპარაკი აღარაა. ჩემზე წესიერს არავინ არაფერს ამბობს.

**- "ალანიაში" გადასვლა შენთვის კარიერის აღმასვლის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. თუმცა მერე ჯერ ყაზახეთში მოხვდი და ბოლოს საქართველოში. რა გახდა ამის მიზეზი?**

- ის, რომ ფეხბურთზე გული ამიცრუვდა. "ალანიაში" ძალიან კარგი სეზონი ჩავატარე, ხშირად ტურის სიმბოლურ ნაკრებში მასახელებდნენ და ნაკრების ყველა თამაშამდე მიწვევას ველოდი. ერთხელ არა, მეორედ, მესამედ და მივხვდი - არავის არ აინტერესებდა როგორ ვითამაშებდი. თან ვიცოდი, ვის იწვევდნენ. ამის შემდეგ გული გეტკინება ადამიანს. ქვა კი არ ვარ. რისთვის ცხოვრობს ფეხბურთელი? მისი სტიმული ნაკრებში მოხვედრაა. როდესაც ამ სტიმულს გისპობენ, ძნელია, მონდომებით ივარჯიშო. ხომ ხედავთ დღესაც რა ხდება ნაკრებში? ფარერის გუნდს აქამდე გოლი არ გაუტანია, ჩვენ კი კინაღამ მოგვიგეს. სირცხვილია, ჩვენი გაუტანლობით და მოთამაშეების დაჩაგვრით რა დღეში ჩავვარდით. "ალანიაში" გამოსვლისას ვფიქრობდი, რა აზრი ჰქონდა ჩემს თამაშს? იგნორირებამ ძალიან ცუდად იმოქმედა, ფეხბურთიდან წასვლას ვაპირებდი და დასამალი არაა, ახლაც ამაზე ვფიქრობ.

**- ნაკრებში ხომ რამდენჯერმე მიგიწვიეს?**

- როდის? ათი წუთის სათამაშოდ? ამიტომაც გითხარით, ძალიან გამიკვირდა, თვის მოთამაშედ დასახელება.

**- "სიონში" უმთავრესად 60 წუთი თამაშობ და მერე გცვლიან. ეტყობა, სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადე.**

- ახლა უკვე კარგად ვგრძნობ თავს, მანამდე კი არც მივარჯიშია. მოსკოვში ვიყავი, ვისვენებდი.

**- მოუმზადებლად თამაში არ გიჭირს?!**

- საქართველოში ეს არც ისე ძნელია.

**- "სიონზე" რას გვეტყვი?**

- საკმაოდ კარგი გუნდია. მე ძალიან მომწონს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება, ურთიერთობები. თუმცა ძნელია საქართველოში თამაში. არც სწორი მიდგომაა, არც ნორმალური მოედნები. აბა, "ლოკომოტივის" სტადიონზე ასეთი საზიზღარი საფარი როდის იყო?

**- "ალანიაში" ტრავმის გამო დიდი დრო გაგიცდა...**

- საერთოდ, ვლადიკავკაზის შემდეგ კარიერა ამერია. იქ ძალიან ბევრი ცუდი რამ ჩაიდინეს ჩემთან და საერთოდ, ქართველებთან მიმართებაში.

**- ყაზახეთშიც გითამაშია და ჩვენსა და მათ ჩემპიონატებში რა განსხვავებას ხედავ?**

- ყაზახეთის ჩემპიონატი ჩვენსას ბევრად ჯობს. ესაა ჩვენი სირცხვილი.

**- რა ვიცი, თანამეგობრობის თასზე უფრო შორს ქართული გუნდები მიდიან...**

- "სიონს" ხალხი რომ არ დაემატებინა, თავისი შემადგენლობით ძალიან გაუჭირდებოდა ორი თამაშის მოგება. იქ ვთამაშობდი და ვიცი რა პირობებია, როგორი სტადიონები ააშენეს და რა დონის ლეგიონერები ჩაიყვანეს.

ფული აქვთ და ჩემპიონატის დონე აიწევს, აბა, რა იქნება. ესაა ფეხბურთის განვითარებისთვის მთავარი საფუძველი.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ გოგი ფიფიასთან

# ზესტაფონიდან უნდა წავიდე



გოგი ფიფია გერმანიაში, "კაიზერსლაუტერნის" ბავშვთა გუნდში, ე.წ. ახალგაზრდულ ბუნდესლიგაში თამაშობდა და საქართველოში დაბრუნებულმა დაამტკიცა, რომ გერმანიაში დრო ტყუილად არ გაუცდენია. "ზესტაფონის" 21 წლის ფორვარდი ჩვენი პირველობის ერთ-ერთი სახეა და თუკი უახლოეს მომავალში რომელიმე ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში მოიაზრება, მათ შორის ფიფიაცაა.

ის ამჟამად ბომბარდირთა შორის ლიდერია - 11 ბურთი გაიტანა. საგოლე ალღო მეორე წრეში განსაკუთრებით გამოიჩინა - ხუთ ტურში ხუთი გოლი დაუგროვდა.

**- გოგი, მეორე წრე "ზესტაფონმა" არადამაჯერებლად დაიწყო, "მერანთან" და "ჩიხურასთან" ძვირფასი ქულები დაკარგეთ. "ზესტაფონი" ჩემპიონობას ხომ არ შორდება?**

- ჯერ შანსი საბოლოოდ არ დაგვიკარგავს, ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ბევრია დარჩენილი, მაგრამ ძვირფასი ქულები რომ დავკარგეთ, ორი აზრი არ არსებობს.

**- გუნდში ძალიან ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და გაუგებარია, რა გჭირთ?**

- სტაბილურობა გვაკლია. ხშირად ვერ ვსარგებლობთ მომენტებით. თუმცა გორში "საჩხერეს" ისეთ მოედანზე შევხვდით, თამაში შეუძლებელი იყო. ხომ უნდა ისიამოვნო ფეხბურთით? გორში ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო. როდესაც მოგებაზე თამაშობ, ასეთ მოედანზე ძნელია ბურთის გატანა.

**- უარეს მოედანზე არ გითამაშია?**

- ვერ ვიხსენებ. იქ ბურთის გაგორება შეუძლებელი იყო. საერთოდ, უხარისხო მოედნები ერთ-ერთი მიზეზია, საქართველოს ჩემპიონატი მაყურებელს რომ არ იზიდავს. ეს თამაშს ელფერს უკარგავს. დარწმუნებული ვარ, კარგ საფარზე თამაში გაცილებით ლამაზად გამოჩნდება და ტურში 2-3 შეხვედრა მაინც მიიზიდავს ბევრ ხალხს.

**- მოედნები ერთი პრობლემაა. მეორე თავად "ზესტაფონში" ხომ არ უნდა ვეძებოთ? საჩემპიონო ხასიათს ჯერ ვერ ავლენთ.**

- შეიძლება, მართლა ასეა. ამ დროს კარგი მოთამაშეები გვყავს, ყოველ შემთხვევაში, არავისზე ნაკლები. ვერც იმას იტყვიან, მონდომება აკლიათო. ჩემპიონობა ვის არ უნდა, თასის აღებაზეც ვოცნებობთ. თუმცა რატომღაც მხოლოდ თასზე გვიმართლებს.

**- ბოლო დროს, მთელი ყურადღება თასის მატჩზე ხომ არ გადაიტანეთ?**

- ასეთი მინიშნებაც არავის გაუკეთებია. ორ-სამ ტურში უკეთ გამოჩნდება, ჩემპიონატში რა შანსი გვრჩება - შეგვიძლია თუ არა ბრძოლის გაგრძელება. ისე, თასზე მეტი შანსია, სულ სამი შეხვედრაა დარჩენილი.

**- ადრე ამბობდნენ, "ზესტაფონს" მსაჯები ეხმარებიანო...**

- გაუთავებელი საუბარი მსაჯების ჩვენდამი კეთილგანწყობაზე ნერვების მომშლელი იყო. გარედან ბევრმა არ იცის, რეალურად რა ხდება, მსაჯებისაგან რეალურად რა წინააღმდეგობას ვაწყდებით. არაა გამორიცხული, მსაჯებს ეშინიათ ჩვენი დახმარება არ დააბრალონ და ახლა ცოტა მეტიც მოსდით.

**- ეს რაში გამოიხატება?**

- საეჭვო მომენტები წლეულს ძალიან ბევრჯერ ჩვენი მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ გადაწყდა. ასე იყო რუსთავში, შემდეგ "მერანთან" ნაღდი პენალტი არ დაგვინიშნეს.

**- გუნდის რა გითხრა და პირადად შენთვის კი მეორე წრე კარგად დაიწყო და ბომბარდირებში დაწინაურდი.**

- რატომღაც თამაში კარგად წამივიდა, მაგრამ მაინც მეეჭვება, ბომბარდირი გავხდე.

**- რა გაეჭვებს?**

- ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, ძნელია ბომბარდირობა. მე ხომ, ძირითადად, მეორე ფორვარდის პოზიციაზე მათამაშებენ, ზოგჯერ ნახევარმცველობასაც მავალებენ.

**- გერმანიიდან საქართველოში დროებით ფიქრობდი დაბრუნებას, თუმცა უკვე სამი წელია აქ თამაშობ და ჯერ წასვლისა არაფერი გეტყობა.**

- ეს მეც ძალიან მადარდებს. ვგრძნობ, რომ უკვე დროა წავიდე. შეიძლება მაისიდან მაინც დამადგეს საშველი. "ზესტაფონის" ხელმძღვანელებს უკვე ვუთხარი, რომ ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და დახმარებასაც შემპირდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ხუბუტია შილუტაში ითამაშებს

ლიტვაში ახალი სეზონი შაბათს 7 აპრილს აიღებს სტარტს. გუშინ კი კლუბებს ადგილობრივ ფედერაციაში განაცხადების შესატანად ბოლო დღე ჰქონდათ. "კაუნასში" **გია კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავას** გარდა, **აკაკი ხუბუტიას გვარს** ვეძებდით, მაგრამ აკაკი "შილუტას" განაცხადში აღმოვაჩინეთ. ბუნებრივია ამის მიზეზით დავინტერესდით და ვითარებაშიც გავერკვიეთ.

*" აკაკი "კაუნასიდან" "შილუტაში" გაანათხოვრეს. თუმცა ეს დროებითია. მიზეზი ისაა, რომ ლიტვაში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. მატჩში 5 ლეგიონერზე მეტს არ შეუძლია ერთდროულად თამაში. "კაუნასში" კი უცხოელ ფეხბურთელთა რიცხვი გაიზარდა და მუდმივი სათამაშო პრაქტიკის ქონის მიზნით აკაკიმ თავად მოითხოვა სხვა გუნდში განათხოვრება. მას უნდა, რომ 5 ივნისის საქართველო-ესპანეთის 21 წლამდელთა შესარჩევის სასტარტო მატჩისთვის კარგ ფორმაში იყოს",* - გვითხრეს თბილისში ხუბუტიების ოჯახში დაკავშირებისას.

**დავით ცაბაძე**



აკაკი ხუბუტია

# სირაძემ აუეს ხელი აუქნია

## ბუნდესლიგის გუნდი კონტრაქტს მთავაზობს



**საქართველოს** ნაკრებში დანიშნული კლაუს ტოპმიოლერი თავიდან დავით სირაძეს ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა ბოლო ნახევარი წელია მისდამი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა და "აუეს" 25 წლის ფორვარდს ეროვნული ნაკრებში სისტემატურად იწვევს. მანაც იმედები არ გაუცრუა, სამ თამაშში ორი გოლი გაიტანა და ახლა მწვრთნელი მას შოთა არველაძის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად მიიჩნევს.

**- დათო ფარერებთან გოლი გაიტანე და ეს გაგახარებდა, მაგრამ გუნდის თამაშზე იმავეს ვერავინ იტყვის. მეორე ტაიმში რა დაგემართათ?**

- მეორე ტაიმით ფეხბურთელებიც ძალიან უკმაყოფილოები დავრჩით. რატომღაც დარწმუნებულები ვიყავით იოლ მოგებაში და ფარერელების წინააღმდეგობას აღარ ველოდით. ლომაიას კარგადრომ არ ეთამაშა, არ ვიცი, რა შედეგით დამთავრდებოდა მატჩი. თუმცა მთავარია რომ მოვიგეთ.

**- ტოპმიოლერმა შენ შოთა არველაძის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად დაგასახელა. რას ფიქრობ ამაზე?**

- შოთა მიდის? არა მგონია და არცაა საჭირო. ის ნაკრებს კიდევ დიდხანს დასჭირდება. მოედანზე გამოცდილი კაცის გვერდით სხვაგვარი იმედით თამაშობ.

თუ სამომავლო პერსპექტივაზე ითქვა, ეს ძალიან მახარებს. ტოპმიოლერის სიტყვები ჩემთვის სასიამოვნო მოსასმენიცაა და დიდი სტიმულია. თუმცა შოთას შეცვლა იოლი რომ არ იქნება, ესეც კარგად მესმის.

**- ტოპმიოლერმა ისიც თქვა, შოტლანდიაში კარგად ვერ გამოიყურებოდა, რადგან პასებით მომმარაგებელი სჭირდებაო.**

- მართალია, გლაზგოში ვერ ვითამაშე. ჩემი ბრალი იყო მეორე გოლი რომ გავუშვით. უაზრო გადაცემა გავაკეთე, ბურთი დავკარგეთ და ამის მერე გაგვიტანეს

**- "აუესთან" ურთიერთობა თუ გაარკვიე?**

- ორი დღის წინათ ახალ კონტრაქტზე უარი ვუთხარი. მანამდე რამდენჯერმე შემომთავაზეს და ეს იყო ბოლო ცდა. შეხვედრას პრეზიდენტი, მწვრთნელი და მთელი ხელმძღვანელობა დაესწრო, მოდი ორწლიანი გავაფორმოთ, რასაც გვეტყვი, ყველა პირობას დაგიკმაყოფილებთო. რატომღაც, ეგონათ, მაინც დავრჩებოდი. მე კი ვუთხარი, რომ უკეთეს კონტრაქტს მთავაზობენ და აქ დარჩენა აღარ მინდა-მეთქი.

**- რომელი გუნდი გთავაზობს კონტრაქტს?**

- ეს მალე გადაწყდება. ბუნდესლიგის გუნდი მიწვევს და უარით გავისტუმრებდი? უბრალოდ, ჯერ არ მინდა საუბარი. ისე, მართლა კარგ გუნდში მიწვევენ.

**- კონტაქტი უკვე შემოგთავაზეს?**

- "აუესთან" კონტრაქტს ხელი ამიტომ არ მოვაწერე.

**- "ფრაიბურგი" საბოლოოდ გამორიცხე?**

- საბოლოოდ უარი არ ითქვამს, მაგრამ ახალი მწვრთნელის მოსვლით, არაა გამორიცხული, რამე შეიცვალოს. მენეჯერი ორ კვირაში მეტყვის, ახალი სეზონიდან სად ვითამაშებ. გადაწყვეტილი მხოლოდ ისაა, რომ "აუეში" აღარ ვრჩები.

ისე, ტრანსფერზე ბევრი ფიქრიც არ მსურს. ხვალ სახლში "კიოლნთან" მაგარი თამაში გვაქვს და მწვრთნელი მარცხენა ნახევარმცველად მათამაშებს.

**- თავდასხმაში აღარ გაყენებს?**

- უბრალოდ, მწვრთნელმა ახლა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ნახევარდაცვაში ამიტომ დამხია.

**მერაბ მამულაშვილი**

### რევიშვილი დუბლებში

**ნუკრი რევიშვილს** "რუბინის" მწვრთნელები კი აქებენ, მაგრამ გუნდის ძირითად მეკარედ კვლავ გამოცდილი ლატვიელი **ალექსანდრ კოლინკო** რჩება. საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა გოლკიპერს დუბლშემადგენლობაში უწევს ასპარეზობა. ყაზანელებმა "ხიმკის" დუბლები 2:0 დაამარცხეს, რევიშვილმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო და რუსული პრესის ცნობით, მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლის იუბილეს ულოცავს თბილისის "დინამოს", ქუთაისის "ტორპედოსა" და ბათუმის "დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს გარი ქიქავას.**

## საქართველოს ჩემპიონატი

### რეგიონული ლიგა

#### აღმოსავლეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| რუსთავი-სიონი 2 | 0:3 |
| ნ.დინამო 2-სამგორი | 0:4 |
| ოჩამჩირე-გაგრა 2 | 0:3 |
| თბილისი-ალგეთი | 5:1 |
| ასმც-ხრამი | 3:1 |
| ჰერეთი-ფორვარდი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 17 | 13 | 3 | 1 | 50-21 | 42 |
| ცხუმი | 16 | 11 | 3 | 2 | 30-10 | 36 |
| ალგეთი | 17 | 10 | 1 | 6 | 23-21 | 31 |
| სიონი 2 | 17 | 8 | 7 | 2 | 30-18 | 31 |
| სამგორი | 17 | 9 | 3 | 5 | 47-23 | 30 |
| გარეჯი | 16 | 7 | 3 | 6 | 22-22 | 24 |
| თბილისი | 17 | 7 | 2 | 8 | 27-33 | 23 |
| ჰერეთი | 17 | 6 | 4 | 7 | 22-21 | 22 |
| ოჩამჩირე | 17 | 5 | 5 | 7 | 25-27 | 20 |
| ხრამი | 17 | 4 | 7 | 6 | 24-29 | 19 |
| არაგველები | 14 | 4 | 4 | 6 | 24-29 | 16 |
| რუსთავი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-27 | 15 |
| ნ.დინამო 2 | 17 | 3 | 5 | 9 | 21-38 | 14 |
| ფორვარდი | 16 | 3 | 2 | 11 | 17-41 | 11 |
| დურუჯი | 14 | 2 | 2 | 10 | 16-39 | 8 |

#### ცენტრალური

XVIII ტური

| | |
|---|---|
| თ.ს. აკადემია-მერანი 2 | 0:0 |
| არაგვი-ოლიმპიკი | 1:4 |
| ამირანი-ცხინვალი | 3:2 |
| 35-ე ს.ს.-ბორჯომი 2 | 3:5 |
| მესხეთი-ლიახვი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 15 | 13 | 1 | 1 | 49-8 | 40 |
| ზოოვეტი | 15 | 11 | 2 | 2 | 42-16 | 35 |
| ცხინვალი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-19 | 32 |
| ბორჯომი 2 | 16 | 10 | 1 | 5 | 35-23 | 31 |
| მერანი 2 | 15 | 9 | 3 | 3 | 34-23 | 30 |
| არაგვი | 15 | 6 | 4 | 5 | 24-27 | 22 |
| ამირანი | 16 | 5 | 4 | 7 | 28-23 | 19 |
| მაუდი | 15 | 5 | 2 | 8 | 27-40 | 17 |
| მესხეთი 2 | 16 | 4 | 4 | 8 | 23-29 | 16 |
| 35-ე ს.ს. | 17 | 4 | 3 | 10 | 25-38 | 15 |
| თ.ს. აკადემია | 16 | 3 | 5 | 8 | 15-32 | 14 |
| ლიახვი | 156 | 2 | 4 | 10 | 15-37 | 10 |
| ვარძია | 14 | 1 | 1 | 12 | 8-42 | 4 |

#### იმერეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ქუთაისი)-სამტრედია 2 | 0:1 |
| სულორი-უნივერსიტეტი | 0:2 |

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბათუმი 2-მარგვეთი | 3:0 |
| უნივერსიტეტი-მალაროელი 2 | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერს. | 13 | 13 | 0 | 0 | 33-5 | 39 |
| მართვე | 11 | 7 | 2 | 2 | 20-13 | 23 |
| ტორპედო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 27-13 | 21 |
| სამტრედია | 12 | 6 | 3 | 3 | 21-13 | 21 |
| ბათუმი 2 | 12 | 5 | 5 | 2 | 15-5 | 20 |
| სულორი | 12 | 5 | 1 | 6 | 14-22 | 16 |
| მალაროელი 2 | 12 | 4 | 1 | 6 | 11-20 | 13 |
| იმერეთი | 11 | 3 | 0 | 8 | 19-29 | 9 |
| მარგვეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 14-20 | 9 |
| კახაბერი | 11 | 2 | 1 | 8 | 9-23 | 7 |
| დინამო (ქთ) | 12 | 2 | 1 | 9 | 8-23 | 7 |

#### სამეგრელო

XIX ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ზუგ.)-მგლები 2 | 1:4 |
| კოლხეთი-მერანი | 1:2 |
| გაგრა-სქური | 0:4 |
| სამეგრელო-კოლხა | 2:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 19 | 13 | 2 | 4 | 36-16 | 41 |
| კოლხა | 19 | 11 | 3 | 5 | 43-19 | 36 |
| სქური | 19 | 10 | 6 | 3 | 42-21 | 36 |
| მგლები 2 | 19 | 10 | 6 | 3 | 35-14 | 36 |
| გაგრა | 19 | 7 | 5 | 7 | 26-35 | 26 |
| მერანი | 19 | 6 | 1 | 12 | 26-41 | 19 |
| დინამო (ზუგ.) | 19 | 5 | 3 | 11 | 32-46 | 18 |
| სამეგრელო | 19 | 0 | 2 | 17 | 16-64 | 2 |

### ჭაბუკთა ლიგა

#### 1989-წლიანები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 16 | 1 | 2 | 73-14 | 49 |
| ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 44-10 | 45 |
| ამერი | 19 | 11 | 1 | 7 | 43-30 | 34 |
| ლოკომოტივი | 19 | 9 | 6 | 4 | 39-21 | 33 |
| მერანი | 19 | 9 | 2 | 8 | 30-23 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 4 | 5 | 32-15 | 28 |
| ტორპედო | 19 | 7 | 7 | 5 | 25-22 | 28 |
| ზესტაფონი | 17 | 8 | 2 | 7 | 39-31 | 26 |
| ცხინვალი | 18 | 8 | 1 | 9 | 30-38 | 25 |
| ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 29-40 | 22 |
| ბორჯომი | 19 | 6 | 1 | 12 | 33-45 | 19 |
| ჩიხურა | 18 | 6 | 1 | 11 | 25-35 | 19 |
| კახეთი | 17 | 5 | 0 | 12 | 27-58 | 15 |
| სიონი | 18 | 4 | 1 | 13 | 29-62 | 13 |
| დილა | 19 | 2 | 2 | 15 | 12-66 | 8 |

#### 1990-წლიანები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 15 | 1 | 3 | 52-11 | 46 |
| ჩიხურა | 19 | 14 | 3 | 2 | 58-13 | 45 |
| ოლიმპი | 18 | 13 | 2 | 3 | 53-12 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 5 | 2 | 48-9 | 41 |
| ამერი | 19 | 11 | 5 | 3 | 40-13 | 38 |
| ტორპედო | 19 | 8 | 7 | 4 | 24-18 | 31 |
| ზესტაფონი | 19 | 8 | 5 | 6 | 28-21 | 29 |
| მერანი | 19 | 8 | 2 | 9 | 26-37 | 26 |
| სიონი | 18 | 7 | 1 | 10 | 26-34 | 22 |
| დილა | 19 | 6 | 3 | 10 | 21-38 | 21 |
| ლოკომოტივი | 19 | 6 | 2 | 11 | 36-32 | 20 |
| ბათუმი | 18 | 5 | 3 | 10 | 215-37 | 18 |
| კახეთი | 18 | 3 | 2 | 13 | 14-46 | 11 |
| ბორჯომი | 19 | 2 | 1 | 16 | 11-68 | 7 |
| ცხინვალი | 18 | 0 | 2 | 16 | 8-71 | 2 |

#### 1991-წლიანები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 16 | 1 | 2 | 42-11 | 49 |
| ოლიმპი | 18 | 13 | 4 | 1 | 61-16 | 43 |
| ბათუმი | 18 | 13 | 2 | 3 | 36-14 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 11 | 5 | 3 | 28-10 | 38 |
| მერანი | 19 | 10 | 3 | 6 | 33-24 | 33 |
| დილა | 19 | 9 | 4 | 6 | 30-24 | 31 |
| ამერი | 19 | 9 | 0 | 10 | 25-22 | 27 |
| ბორჯომი | 19 | 7 | 3 | 9 | 25-29 | 24 |
| კახეთი | 18 | 5 | 5 | 8 | 23-25 | 20 |
| ლოკომოტივი | 19 | 4 | 8 | 7 | 21-33 | 20 |
| ზესტაფონი | 19 | 6 | 1 | 12 | 31-49 | 19 |
| ჩიხურა | 19 | 5 | 1 | 13 | 27-42 | 16 |
| სიონი | 18 | 4 | 0 | 14 | 13-44 | 12 |
| ცხინვალი | 18 | 0 | 1 | 17 | 10-66 | 1 |

ლეგიონერები

# დავეწიოთ და გავუსწროთ ზაურს

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბაქოს "ნეფთჩის" ლიდერობა, ქართველი ლეგიონერის **გიორგი ადამიას** დამსახურებაა. გიორგის ჩემპიონატში და თასზე 22 თებერვლიდან ყოველ მატჩში გოლი გააქვს. სამშაბათს მე-20 ტურში "ნეფთჩი" ერთ-ერთ აუტსაიდერ "გილანს" ეწვია და 4:1 აჯობა. ადამიამ მატჩის 70-ე წუთზე ანგარიში 3:0 გახადა სტუმართა სასარგებლოდ. ეს იყო ქართველის მეათე გოლი ჩემპიონატში (ამდენივე გოლი აქვს **იაკუბუ ბამბას** ("ქარვანი"), ადამიას მხოლოდ "ხაზარის" ბომბარდირი **ზაურ რამაზანოვი** უსწრებს (11 გოლი). აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ ქართველ ფორვარდს "ნეფთჩიში" მარცხენა ჰავბეკის პოზიციაზე ათამაშებენ, როცა ბამბა და რამაზანოვი სუფთა თავდამსხმელები არიან.

"გილანთან", ანგარიშში სხვაობის მიუხედავად, "ნეფთჩის" ძალზე გაუჭირდა. კაბალაში მოედნის საფარი საშინელი იყო, სტუმრებმა გოლების გატანა მეორე ტაიმიდან დაიწყეს. პირველად ქართველი ბომბარდირის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიხსნა ანგარიში. მატჩის შემდეგ გიორგი აზერბაიჯანელი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ჩემპიონატის ბომბარდირობას უმიზნებს: *"მოედნის საფარი ისედაც ცუდი იყო, წვიმამ კი ის კიდევ უფრო გააფუჭა. პირველ ტაიმში ამის გამო ერთი-ორი სახიფათო მომენტი ძლივს შევქმენით. თამაში არ გამოგვდიოდა, თუმცა შესვენებაზე სათანადოდ განვეწყვეთ და მნიშვლოვანი ქულები მოვიპოვეთ. ძალიან მიხარია, რომ ჩემპიონატში უკვე მეათე გოლის გატანა შევძელი. არ დავმალავ, ბომბარდირობა მინდა, მაგრამ ზაურ რამაზანოვის და იაკუბუ ბამბასგან განსხვავებით ნახევარდაცვაში ვთამაშობ. ამიტომაც, ბომბარდირობა გამიჭირდება".*

"ნეფთჩი" 17 თამაშიდან 36 ქულით ლიდერობს, თუმცა დაკარგული ქულებით ლიდერი ლენქორანის "ხაზარია", რომელსაც ერთით ნაკლებ მატჩში 34 ქულა აქვს მოპოვებული. **ვალერი აბრამიძის** "ხაზარმა" "სუმგაითს" უმასპინძლა და 3:1 მოუგო (ერთი გოლი სწორედ რამაზანოვის ანგარიშზეა). ქართველი ფეხბურთელი წინა ტურში გააძევეს, ასე რომ ახლა იძულებით ისვენებდა.



გიორგი ადამიამ თავივი მორიგი გოლი გაიტანა

კვლავ დაკარგა ქულები ჩემპიონმა "ბაქიმ". ამჯერად, დედაქალაქელები "ყარაბაღს" დაუზავდნენ - 1:1. "ბაქი" აგებდა, პირველი ტაიმის ბოლოს **გოგა ბერაიამ ჯავადოვის** პასით შორეულ კუთხეში გაიტანა. "ბაქის" სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ქართველი იყო, **ამირან მუჯირი**. მეორე ტაიმში მუჯირი ერთი-ორჯერ დაემუქრა "ყარაბაღის" კარს, მაგრამ უშედეგოდ. გოგა ბერაიამ 65-ე წუთამდე ითამაშა, "ბაქიმ" სწორედ ამ შეცვლის შემდეგ გაათანაბრა - **პერესმა** მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა - 1:1. სხვათა შორის, მასპინძლებმა მათ კარში დანიშნული პენალტი საეჭვოდ მიიჩნიეს. გოგას ტყუპი ძმა, თავდამსხმელი **ირაკლი ბერაია** ტრავმირებულია.

**ირაკლი ვაშაკიძის** "თურანი" სტუმრად 0:1 დამარცხდა "ინტერთან". "შაჰდალი" კი შინ "სიმურგთან" - 1:3. **ალექსანდრე ინწკირველის, რომან ახალკაცის** და **გოჩა ტრაპაიძის** "ქარვანი" ისვენებდა. "ქარვანი" 30 ქულით მეხუთე ადგილზეა. "ბაქის" (30 ქულა, მეექვსე ადგილი) ევლახელებზე ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. "ყარაბახი" 19 ქულით მერვეა, "თურანი" 18-ით - მეცხრე, **დიმიტრი კაპანაძის, დიმიტრი დიდმარხვაშვილის** და **გიორგი კრასოვსკის** "გილანი" 9 ქულით მე-11 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჯინჭარაძემ თასზე იმარჯვა

პირველი დივიზიონის ბინადარი ბრიანსკის "დინამო" აღარ ხუმრობს, რუსეთის თასზე წინ მიიწევს. პირველ მეოთხედფინალურ მატჩში "დინამო" "როსტოვს" ეწვია და ყველასთვის მოულოდნელად 2:1 მოუგო. ბრიანსკელებით ამ კლუბში მოთამაშე ქართველი ვეტერანის **პაატა ჯინჭარაძის** გამო ვინტერესდებით. პაატა კლუბის ერთ-ერთი ლიდერია, როსტოვშიც მან მოედანზე 90 წუთი გაატარა. სხვათა შორის, მასპინძელთა შორისაც იყო ქართველი, რუსეთის მოქალაქე **გია გრიგალავა**. საპასუხო მატჩი ბრიანსკში 18 აპრილს გაიმართება. **დავით მუჯირის** "კრილია სოვეტოვი" სტუმრად "მოსკვასთან" 2:3 დამარცხდა. დავით მუჯირი რუსეთში გუშინ გაემგზავრა, ასე რომ მატჩში მონაწილეობას ვერაფრით მიიღებდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


## ბარაბაძე გააძევეს

უკრაინული "დნეპრის" დუბლებში სისტემატურად თამაშობს **რევაზ ბარაბაძე**. გასულ ტურში დნეპროპეტროვსკელებმა სტუმრად კიევის "არსენალი" 3:0 გაანადგურეს, რაშიც ახალგაზრდა ქართველ ფორვარდს განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანია. იგი ძირითადში კი დააყენეს, მაგრამ 57-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და, შესაბამისად, მოედანი ნაადრევად დატოვა. ამ დროისთვის "დნეპრი" 1:0-ს იგებდა. რამდენიმე წუთში მეტოქის ფეხბურთელიც გააძევეს.

## უკრაინას ვერ დაეხმარა

"შოტლანდიასთან მატჩის გახსენებაც არ მინდა, ძალიან გულდასაწყვეტია, ბოლო წუთებზე გაშვებული გოლით რომ მარცხდები. სამხუხაროდ, გლაზგოში ქულის მოპოვების შესანიშნავი შანსი გავუშვით ხელიდან, რითაც თავადაც გავიუარესეთ სატურნირო მდგომარეობა და ვერც უკრაინის ნაკრებს დავეხმარეთ. არადა, თავისუფლად შეგვეძლო, უკრაინელთა კონკურენტისთვის ქულები დაგვეკარგვინებინა", - განაცხადა **გიორგი დემეტრაძემ** ერთ-ერთი უკრაინული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**ლევან ჯანეზაშვილი**



რევაზ ბარაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ვან ბუიტენი და გერმანული ხასიათი

## ჯერარდმა იან რაშის რეკორდი დაამხო...




მილანი-ბაიერნი. ვან ბუიტენის პირველი გოლი მასპინძლების კარში

**მილანი-ბაიერნი 2:2**

**მილანი:** დიდა, მალდინი, ნესტა, ოდო, ამბროზინი, გატუზო, კაკა, იანკულოვსკი (87. კალაძე), პირლო, ზეედორფი (85. გურკუფი), ჯილარდინო (72. ინძაგი).

**ბაიერნი:** რენზინგი, ლამი, ლუსიო, სანიოლი (68. ლელი), ვან ბუიტენი, ჰარგრივსი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი, მაკაი (68. სანტა კრუსი), პოდოლსკი (68. პისარო).

**გოლები:** 1:0 პირლო (41), 1:1 ვან ბუიტენი (78), 2:1 კაკა (84-პენ), 2:2 ვან ბუიტენი (90+3).

**მაყურებელი:** 80 000

ემოციური თამაში გამოვიდა, იტალიური და გერმანული ფეხბურთის ყველა ტიპური ინგრედიენტით გაზავებული. თამაშის შემდეგ **ანჩელოტის** ყველაზე გაცვეთილი და ბანალური საფეხბურთო ფრაზების მოსმენა მოუხდა: თამაში 90-ე წუთამდეა, ბურთი მრგვალია, გერმანელები მაინც გერმანელები არიან, ბოლო წუთამდე იბრძვიან და ა.შ. "გაძეტა დელო სპორტის" აზრით, "მილანს" სამი რამაკლდა: ნამდვილი მეკარე, გამძლეობა ბოლო 20 წუთში და ფორტუნა.

და ეს "მილანი" ძალიან ჰგავდა "ინტერს", "ბაიერნი" კი "ვალენსიას". პირველი მერვედფინალებიდან 40 დღის შემდეგ იცვლებიან გუნდები, მაგრამ არ იცვლება სტადიონი, ანგარიში და გოლების თანმიმდევრობა. "ინტერისთვის" ის 2:2 მესტალიური 0:0-ისა და ევროპასთან გამომშვიდობების პრელუდია აღმოჩნდა. თანაქალაქელების ბედი რომ არ გაიზიაროს, საამისოდ **ანჩელოტის** გუნდმა ერთ კვირაში ნამდვილი გმირობა უნდა ჩაიდინოს, შეიძლება, პატარა სასწაულიც, რადგან **მალდინისა** და კომპანიას ამ სეზონში სტუმრად დიდი გუნდისთვის ერთხელაც არ მოუგია. "მილანი" ორჯერ იგებდა, ჯერ **პირლოს** თავურით და მერე მსაჯისგან ნაჩუქარი პენალტით, რომელიც **კაკამ** გაიტანა, მაგრამ დაცვისა და განსაკუთრებით **დიდას** უხეში შეცდომების გამო, **ვან ბუიტენს** ორჯერ გაათანაბრებინა და გმირად აქცია. მილანელები დარწმუნებულები არიან, რომ უფრო მეტს იმსახურებდნენ, მაგრამ გუნდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც წელს აქვს: პირველ ტაიმში გაფუჭებული სამი დიდებული მომენტის შემდეგ, ვერც ერთმა მილანელმა ვერ შეძლო, რომ მეორე ტაიმში გერმანელი მეკარისთვის რაიმე ხიფათის მსგავსი შეექმნა.

ანჩელოტიმ გადაწყვიტა, რომ მარტო ერთი ფორვარდით ეთამაშა და არა ორით, როგორც თამაშის წინ **არიგო საკი** ურჩევდა. მაგრამ ნამდვილი სიურპრიზი ე.წ. საახალწლო ნაძვის ხის სქემაზე დაბრუნება იყო, რადგან **ზეედორფის** აწევას იმ ადგილზე, სადაც ჩვეულებრივ კაკა თამაშობს, წარსულში ხეირი არასოდეს მოუტანია. სწორედ ზეედორფი იყო ის, ვინც მე-3 წუთზე ბრწყინვალე საგოლე მომენტი გააფუჭა, როცა **იანკულოვსკის** ჩაწოდებულ ბურთზე დააგვიანა. ამ ტაქტიკურ გადაადგილებას თუ არ ჩავთვლით, სხვა მხრივ, მოედანზე საუკეთესო "მილანი" იყო: მარჯვნივ **ოდო**, შუაში **ნესტა**-მალდინის დიდი წყვილი, წინ კი **გატუზო**-პირლო-**ამბროზინის** ტრიო. "ბაიერნს", მასპინძლებისგან განსხვავებით, რამდენიმე იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა: დისკვალიფიცირებული **კანისა** და **ვან ბომელის** ადგილები **რენზინგსა** და **ოტლს** ეკავათ, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისე თამაშობდნენ, რომ ის ორი დიდი დანაკლისი ალარავის ახსოვდა. 22 წლის სათადარიგო მეკარემ პატარა სასწაული ჩაიდინა, როცა მე-15 წუთზე ამბროზინის ყუმბარისებური თავური მოიგერია. ცოტა ხანში კი სწორედ ოტლმა აიძულა დიდა, რომ შორი მანძილიდან ტყვიასავით გასროლილი ბურთი კუთხურზე გადაეგდო. ამ მომენტს თუ არ ჩავთვლით, "ბაიერნს" პირველ ტაიმში კარისკენ ხეირიანად ერხელაც არ დაუტყამს. გერმანიის ჩემპიონებს სანახაობა და შემოქმედება ნაკლებად აინტერესებდათ, მთავარი მათთვის დაცვაში სოლიდური თამაში იყო. ოთხი ნახევარმცველისა და ოთხი მცველისგან შემდგარი ორმაგი კედელი მილანელებისთვის გაუვალი ჩანდა და ამასობაში დროც გერმანელებზე მუშაობდა. ზეედორფი გზააბნეული დარბოდა და თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. ნელ და მოსაწყენ თამაშში რალაც გარდატეხა კაკას უნდა შეეტანა, მაგრამ **ჰიტცფელდს** პირდაპირ ჰქონდა ნათქვამი, რომ პრიორიტეტი ბრაზილიელის განეიტრალება იქნებოდა და ეს ამოცანა ფრიადზე შეასრულა. 35-ე წუთისთვის ოდომ, როგორც იქნა, ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში და აქ უკვე **ჯილარდინოც** გამოჩნდა, მაგრამ მისი თავური რენზინგმა კიდევ ერთი დიდებული ნახტომით მოიგერია. მესამე მომენტმა მილანელები კიდევ უფრო გააბრაზა, რადგან მხოლოდ მსაჯმა ვერ დაინახა, როგორ მოცელა **ლუსიომ** კაკა საჯარიმოში. პენალტი აშკარა იყო, მაგრამ **ბასკაკოვმა** კუთხური დანიშნა. თუმცა ამ ეპიზოდს უკვალოდ არ ჩაუვლია: "მილანი" გამოცოცხლდა, "ბაიერნი" ცოტა აირია და ზუსტად ერთ წუთში ანგარიშიც გაიხსნა: ოდომ საჯარიმოში ჩააწოდა, პირლო მცველებს გაეპარა და თავური დარტყმით წინ სულ მეკარეს ბურთი თავზე გადაატარა, 1:0. თვითონ თავურიც უცნაური იყო, უცნაურ ნახტომში შესრულებული, თუმცა ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან პირლო და თავით გატანილი გოლი უიშვიათესი მოვლენაა. ასე გასრულდა პირველი ნახევარი. "მილანის" წარმატება გარდაუვალი იყო და თითქოს არანაირი პირობა არ არსებობდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევაში რაიმე ხელს შეუშლიდა.

დაიწყო მეორე ტაიმი. "როსონერიმ" შეტევები განაგრძო, მსაჯმა კი - შეცდომების დაშვება. ბასკაკოვმა ჯილარდინოს არასებული თამაშგარისთვის დაუსტვინა და რაკი ცენტრფორვარდმა თამაში არ შეაჩერა და გოლიც გაიტანა, რუსმა რეფერიმ ის ყვითელი ბარათითაც დაასაჩუქრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯილარდინო მიუნხენში ვერ ითამაშებს, რადგან ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა. ამის შემდეგ გატანის ბრწყინვალე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა კაკამ, როცა მეკარის პირისპირ დარჩენილმა ამბროზინის ჩაწოდებულ ბურთს ფეხი ვერ დაარტყა. ეს უკვე მეტისმეტიაო, გაიფიქრა ჰიტცფელდმა და 68-ე წუთზე ორმაგი შეცვლა გააკეთა: **ლელმა** და **პისარომ სანიოლი** და **პოდოლსკი** შეცვალეს. ხუთ წუთში "ბაიერნის" ისტორიული გამამწარებელი **პიპო ინძაგიც** გამოვიდა მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით, მაგრამ ამჯერად გოლი ბავარიელებმა გაიტანეს: **სალიჰამჯიჩის** ჩაწოდების შემდეგ პისარომ ოდოს საჰაერო დუელი მოუგო და ბურთი მეკარის საჯარიმოსკენ შეატრიალა, იქ კი სტუმართა ბელგიელმა სტოპერმა ვან ბიუტენმა დაცვის დაბნეულობით ისარგებლა, დიდასა და **ნესტას** შორის შეძვრა და ანგარიში გაათანაბრა. გადის კიდევ ხუთი წუთი და ბასკაკოვმა პირველი ტაიმის შეცდომა შეცდომითვე "გამოასწორა": ლუსიომ, ვარდნაში, კაკას ბურთი წესების სრული დაცვით აართვა, მაგრამ რუსმა მსაჯმა არარსებული დარღვევა დაინახა და პენალტი დანიშნა, რომელიც "დაზარალებულმა" იდეალურად შეასრულა, 2:1. თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო, მაგრამ "მილანს" კიდევ ერთი სილა გააწნეს: დამატებულ მესამე წუთს წამებილა აკლდა, როცა ვან ბუიტენმა მეორედ ისარგებლა მილანური დაცვის ამნეზიით და დიდას ახლო კუთხეში გაუტანა, 2:2. წყვილის ფავორიტი ახლა უკვე "ბაიერნია".

**ეინდჰოვენი-ლივერპული 0:3**

**ეინდჰოვენი:** გომესი, და კოშტა, კრომკამპი (68. ფეჰერი), სალსიდო, კოკუ, კულინა, მენდესი (51. კლუივერტი), სიმონსი, ვაირინენი, ფარფანი (46. ქსიანგი), ტარდელი.

**ლივერპული:** რეინა, აგერი, აურელიო (75. მარკ გონსალესი), კარაგერი, ფინენი, რიისე (66. ზენდენი), ალონსო, ჯერარდი, მასკერანო, კრაუჩი (85. პენანტი), კუიტი.

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (27), 0:2 რიისე (49), 0:3 კრაუჩი (63).

**მაყურებელი:** 30 000

"ლივერპულს" ჩემპიონთა თასზე ახალი ბომბარდირი ჰყავს. "ეინდჰოვენთან" მატჩში **სტივ ჯერარდმა** თავისი მე-15 გოლი შეაგდო. მან ერთი ბურთით გადაუსწრო ლეგენდარულ **იან რაშს**: *"დაბნეული ვარ. ის (რაში) ჩემი კერპი იყო. არასოდეს მიფიქრია, რომ მის რომელიმე რეკორდს დავამხობდი. ვამაყობ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ "ლივერპულმა" დიდებულად ითამაშა პირველიდან ბოლო წუთამდე."*

სამშაბათის მატჩი ჯერარდისთვის ჩემპიონთა ლიგაში 50-ე იყო. რაშმა 14 გოლს 27 შეხვედრაში მოუყარა თავი. **რაფა ბენიტესი:** *"სტივის მიღწევა გუნდის სიძლიერეზეც მეტყველებს. უდავოდ აღსანიშნავია, როცა ნახევარმცველს ამდენი გოლი გააქვს... ნახევარფინალთან ახლოს ვართ, მაგრამ საქმე ჯერ არ არის მოთავებული. ვეცადეთ, მეტოქის შეცდომებით მაქსიმალურად გვესარგებლა. 3:0 თითქმის იდეალური შედეგია."*

**რონალდ კუმანმა** თავისი გუნდი უკვე ჩამოწერა: "შინ სამი უპასუხო გოლის მიღება იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის ყველა შანსი დავკარგეთ. არარეალურია იმაზე ფიქრი, რომ მოგება შეგვიძლია. ეს რომ ვთქვა, უცხოპლანეტელი უნდა ვიყო."

"ლივერპულისთვის" ერთადერთი ნეგატიური მოვლენა **ფაბიო აურელიოს** ტრავმა გახლდათ. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ბრაზილიელმა მცველმა აქილევსის მყესი გაიწყვიტა. ბენიტესმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ფეხბურთელისთვის სეზონი დასრულებულია.

რაც შეეხება მატჩს, მერსისაიდელებმა მეტოქის მოედანზე ცალკარა გააჩალეს. ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა. მარჯვენა ფლანგზე **სტივ ფინენი** მეურვეს დაუძვრა და საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი ჯერარდმა ისეთი თავური შეასრულა, რომ "ეინდჰოვენის" მეკარე **გომესს** შანსიც კი არ დაუტოვა. შესვენებამდე ჰოლანდიელებმა ორიოდ მომენტი შექმნეს, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე მათ კარში მეორე გოლი გავიდა. **იონ არნე რიისემ** 20 მეტრიდან ყუმბარასავით დასცხო და ბურთი მაღალ მარცხენა კუთხეში გაახვია. 63-ე წუთზე **პიტერ კრაუჩი** ჯერიც დადგა. აყლაყუდა თავდამსხმელმა ძირითადში ჩატარებულ ბოლო შვიდ შეხვედრაში მეშვიდედ გაიტანა.

კუმანი ერთადერთი მწვრთნელია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სამი კლუბი ჰყავს გაყვანილი. მან "ლივერპულს" ის სქემა დაუპირისპირა, რომელმაც "არსენალთან" მერვედფინალში წარმატება მოუტანა. ორი თავდამსხმელი, **ჯეფერსონ ფარფანი** და **დიეგო ტარდელი** ფლანგებიდან ცდილობდნენ, სტუმართა საჯარიმოში შეჭრას. მიზანი ის იყოს, რომ მცველების ყურადღება ფლანგებზე გადაეტანათ, შემდეგ კი "ეინდჰოვენის" სხვა ფეხბურთელებს დაცვის ცენტრში გაჩენილი ნაპრალით ესარგებლათ, მაგრამ ერთადერთი ღირებული მომენტი, რომელიც პსვ-ს პირველ ნახევარში შექმნა, **მიკა ვაირინენის** დარტყმა იყო. ამ იერიშს კუთხური მოჰყვა. ბრაზილიელი **ალექსის** გარეშე დარჩენილი "ეინდჰოვენის" დაცვა ძალიან სუსტი იყო. უკანა ხაზს თავდაჯერება აკლდა და "ლივერპულის" განუწყვეტელი იერიშებისას თითქოს შიშიც კი იპყრობდა. ალექსი 11 მარტს დაშავდა. იმ დღის შემდეგ ჰოლანდიის ჩემპიონებს ერთხელაც კი არ მოუგიათ.

სამშაბათის შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, ბუქმეიქერებმა "ლივერპული" ლიგის უპირველეს ფავორიტად გამოაცხადეს. ბრიტანეთის ერთ-ერთ უმსხვილეს კანტორა "ფედი ფაუერში" მერსისაიდელების ფსონი 3/1-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან "ჩელსი" - 10/3, "მანჩესტერ იუნაიტედი" - 10/3, "ბაიერნი" - 13/2, "ვალენსია" - 9/1, "მილანი" - 10/1, "რომა" - 11/1 და "ეინდჰოვენი" - 150/1.




ეინდჰოვენი-ლივერპული. სტივ ჯერარდის აუღებელი თავური დარტყმა

CHAMPIONS LEAGUE



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი VS ბაიერნი. გამოხმაურება

# ანჩელოტი: უნდა მოგვეგო, მაგრამ მიუნხენში მოვიგებთ

## კარლეტო მილანელთა კარში გასულ ორ შემთხვევით გოლს ჩივის ...



ლუსიო კაკას წინააღმდეგ. ამ ეპიზოდს საკამათო პენალტი მოჰყვა

"მილანი"-"ბაიერნის" მომდევნო დღეს, იტალიური სპორტული პრესის ფლაგმანი "ლა გაძეტა დელლო სპორტი" ასეთ რამეს წერდა: ფრეც არის და ფრეც. ასეთი ფრე მტკივნეულია, ძნელად გადასატანია მისთვის, ვინც თვლის, რომ მოგებას იმსახურებდა. იმიტომ, რომ სულ რამდენიმე წამი რჩებოდა, იმიტომ, რომ ერთი საათის განმავლობაში მოედანზე მარტო "მილანი" იყო, იმიტომ, რომ "ბაიერნმა" რამდენჯერაც დაარტყა, იმდენჯერ გაიტანა და სახლში ბავარიული ვიურსტელივით გემრიელი 2:2-ით დაბრუნდა. მტკივნეულია, მაგრამ არა დრამატული: "მილანს" "ალიანს არენაზე" მოგება შეუძლია, იმ პირობით, თუ გუშინდელივით ითამაშებს და გადამწყვეტ მომენტებში უფრო ცინიკური, უფრო კონკრეტული (და იღბლიანი) იქნება. კარლო ანჩელოტი დარწმუნებული იყო, რომ "ბაიერნის" წინააღმდეგ ნამდვილ "მილანს" იხილავდა. და ის აპლოდისმენტები, რომელიც თავის ფეხბურთელებს პირველი ტაიმის შემდეგ უძღვნა, ყველაზე თვალსაჩინოდ მოწმობდა, რომ მწვრთნელი კმაყოფილი იყო. "მილანი" დარბოდა, უტევდა, პრესინგს არ წყვეტდა, ურტყამდა: მოკლედ, თამაშობდა. მილანურად, ისე, როგორც "მილანს" ეკადრება. ერთი ცოდვა, სამწუხაროდ მძიმე, "შავ-წითლებმა" მაინც ჩაიდინეს: დროზე არ დაუსვეს თამაშს საბოლოო წერტილი, არადა, შანსი არაერთი ჰქონდათ. გამოცდილმა და მრავლისმნახველმა გუნდმა იცის, რომ ბოლო წუთებზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ისიც კი, რომ "ბაიერნისნაირმა" გუნდმა, სულ დაცვაში ჩაკეტილი რომ არის და შეტევას ვერ გიბედავს, უცბად აილოს და მცველის ფეხით ორჯერ გაგიტანოს. აი, ამის გამო, ახლა არის დიდი სინანული. *"ორი შემთხვევითი გოლი გავუშვით – განმარტავს ანჩელოტი – ისეთი სიტუაციები იყო, რომ ბევრს ვერაფერს გავაკეთებდით. 2:2-ზე პისარომ წესები დაარღვია, ბურთი შემთხვევით გადმოვარდა მეკარის საჯარიმოში და ჩვენც ამან დაგვაბნია. ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ გამარჯვება მიუნხენშიც შეგვიძლია, იმის მიუხედავად, რომ ფავორიტი ახლა უკვე "ბაიერნია". დიდმა გუნდებმა ასეთ მომენტებში საკადრისი პასუხის გაცემა იციან: სტუმრად გერმანელები გამუდმებული წნეხის ქვეშ უნდა ვამყოფოთ, თამაშის რიტმი მაქსიმალურად ავწიოთ და ვითამაშოთ ის ფეხბურთი, როგორიც დღეს ვითამაშეთ. ძალიან მწყდება გული ჯილარდინიოს უსამართლო გაფრთხილების გამო, რასაც მისი დისკვალიფიკაციაც მოჰყვა. ჯილას გოლი წმინდათაწმინდა იყო. მეორე ტაიმის შუაში ტემპს დავუკელით. ეს დაღლილობის ბრალი იყო. ფსიქოლოგიური ენერგიაც აღარ გვეყო, რომ შეტევაში ყურადღებით გვეთამაშა. მეორე ნახევარში ჩავარდნა აშკარა იყო, მაგრამ სხვა ტიპის ცვლილებებს ვერ გავაკეთებდი. ნახევარდაცვაში ზეედორფი შევცვალე, იმიტომ, რომ სხვებზე უფრო მოქანცული იყო. გატუზომ უამრავი ბურთი მოიგო, პირლო დირიჟორი იყო და ის რომ გამეყვანა, თამაშის კონტროლს "ბაიერნს" გადავაბარებდით, ამბროზინი სტადარტული მდგომარეობებისა და მაღალი ბურთებისთვის მჭირდებოდა. ნახევარდაცვაში ყველამ დიდებულად ითამაშა, საყვედურს ვერავის ვეტყვი. ახლა სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ ეს შეხვედრა, რომელმაც ანგარიშის გამო, ძალიან გაგვანბილა. უნდა ვიფიქროთ "ემპოლისთან" შაბათის შეხვედრაზე. ისიც გადამწყვეტია".*



იტალიელმა მიმომხილველებმა ფრინგს უკვე იუვენტუსის მაისურა ჩააცვეს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ფრინგსი: იუვენტუსს ძალიან ვუნდივარ!

## ტორსტენი ამტკიცებს, ბებერი ქალბატონის ბოსები უმთავრეს ფიგურად მომოიაზრებენო...

**ტორსტენ ფრინგსი** ზაფხულიდან ტურინის "იუვენტუსში" ჩაირიცხება. ამაში ეჭვი უკვე ძალიან ცოტას თუ ეპარება. მართალია, საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ ბრემენული კლუბის ნახევარმცველი ისე საუბრობს, რომ ფაქტია, ტურინში გადაბარგება გადაწყვეტილი აქვს. ჩნდება ეჭვი, რომ ფრინგსი ტრანსფერის გაჩარხულად გამოცხადებას ჯერჯერობით იმიტომ ერიდება, რომ "ვერდერს" ზიანი არ მიაყენოს - "მუსიკოსები" ხომ გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვიან. მაგრამ ბრემენული გრანდის ხელმძღვანელები 30 წლის საყრდენ ნახევარმცველზე ძალიან არიან გაბრაზებულები, რაზეც გუშინდელ ნომერშიც ვწერდით.

*"იუვენტუსს" მაგრად ვუნდივარ. ტურინული კლუბის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ, რომ იტალიაში გადაბარგებაზე დამითანხმონ. ისინი ყოველდღე მირეკავენ და მესაუბრებიან. ამით ვრწმუნდები, რომ "ბებერ ქალბატონში" არა როგორც ერთ-ერთ რიგით ფეხბურთელად, არამედ როგორც გუნდის უმთავრეს ფიგურად მომიაზრებენ, რაც ჩემთვის დიდი პატივია. უნდა ვაღიარო, რომ "იუვეში" გადასვლაზე ძალიან სერიოზულად ვფიქრობ,"* - აცხადებს ფრინგსი, რომელსაც "ვერდერთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

ბრემენული კლუბისთვის ტორსტენის ასეთი განცხადება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** ამბობს, რომ ფეხბურთელის ქცევით გაკვირვებული და შეურაცხყოფილია. *"ფრინგსი უკვე კონკრეტულად საუბრობს, რაც ძალიან მიკვირს. თუ მას ჰგონია, რომ ამით წნეხში მოგვაქცევს, ძალიან ცდება. ჩვენ ტორსტენს შესანიშნავი პირობები შევთავაზეთ და კონტრაქტის გახანგრძლივება ვთხოვეთ, მაგრამ თუ "ვერდერში" დარჩენა არ სურს, რა თქმა უნდა, არ დავაძალებთ,"* - აცხადებს ალოფსი.

ბრემენული კლუბის შეფებმა ფრინგსთან პირველი მოლაპარაკებები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ივლისში გამართეს. მაშინ ფეხბურთელმა ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა, თუკი სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას გადავწყვეტ, იმედი მაქვს, რომ "ვერდერი" ხელს არ შემიშლისო. მიმომხილველები მაშინვე მიხვდნენ, რომ ფრინგსს წასვლაზე ეჭირა თვალი. ალოფსის სიტყვებიდან კი ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: თუკი "იუვე" ფულს გადაიხდის, ბრემენელები გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს მწვანეს აუნთებენ. პრინციპში, მათ სხვა გზა არც აქვთ.

აქვე უნდა შევახსენოთ, რომ "ვერდერს" ზაფხულში კიდევ ერთი ვარსკვლავის, კერძოდ **მიროსლავ კლოზეს** დაკარგვის საფრთხეც ემუქრება. კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით, არც ამ უკანასკნელს უთქვამს რამე, მიუხედავად იმისა, რომ ალოფსმა მიროსაც გრანდიოზული პირობები შესთავაზა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ "ვერდერის" შეფებს სადავეები ხელიდან გაექცათ? შეძლებს კი ბრემენული კლუბი ფრინგსისა და კლოზეს სრულფასოვანი შემცვლელების ყიდვას? ალოფსი: *"სანერვიულო არაფერია. არაერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ ფეხბურთელების შეცვლა შეგვიძლია. ჩვენი გუნდი ცალკეულ ფეხბურთელებზე დამოკიდებული არასდროს ყოფილა. "ვერდერი" ნებისმიერ ფეხბურთელზე მნიშვნელოვანია."*

**გოტფრიდ ლენცი**

# პიტცფელდამდე ვან ბუიტენს თურმე დანიელას ეძახდნენ

## სანიოლმა სეზონი დაასრულა

კიდევ ერთი სტატია "გაძეტა დელლო სპორტიდან", რომელიც შეხვედრის მთავარ გმირს, **დანიელ ვან ბუიტენს** ეძღვნება.

"სიმაღლით 196 სანტიმეტრია, 96 კილოგრამს იწონის და 45 ნომერ ფეხსაცმელს იცვამს. მიუხედავად იმისა, დანიელ ვან ბიუტენს მაგათის "ბაიერნში", ანუ იანვრამდე, მეტსახელად დანიელას ეძახდნენ ("დანიელას" ქართული ვერსია ხშირად "ქეთინოა"). ზაფხულში "ჰამბურგისგან" ნაყიდი ახმახი მცველი შიშით ძალისმიერ ორთაბრძოლებს ხშირად გაურბოდა, მოწინაალმდეგეებს "რბილად", ლამის ქალივით ეპყრობოდა. ეს ყველაფერი ოლივერ კანს ერთ დღესაც ყელში ამოუვიდა, პირდაპირ მოედანზე, ყველას თვალწინ მივარდა და გვარიანად შეანჯღრია. ეს პირველი შენჯღრევა იყო. მერე მოვიდა ოტმარ ჰიტცფელდი და ბელგიელმაც იპოვა საკუთარ თავში ფეხბურთელისთვის აუცილებელი აგრესია და თავდაჯერება. ოდო-პისაროს დუელის შემდეგ გადმოვარდნილ "ბრმა" ბურთს ჭეშმარიტი ცენტრფორვარდივით დაჰკრა და პირველად გაათანაბრა. ზუსტად აქ ირწმუნა მანამდე მოკრძალებულმა "ბაიერნმა", რომ ბურთის გაგორება და შეტევაც შეეძლო. ბოლო წამებზე ბელგიელმა უკვე მარცხენა გარემარბის სტილში გაისროლა და 2:2 გახადა. კანი არ იყო, მაგრამ დანარჩენები მივარდნენ და დიდხანს ანჯღრევდნენ, და ამჯერად ეს საყვედური არ ყოფილა. *"ფანტასტიკა იყო, არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი გუნდისთვის: ისეთი შეხვედრის გადარჩენა შევძელით, რომელიც თავადაც წაგებული გვეგონა,"* – თქვა ნამატჩევს გახარებულმა მცველმა. ოტმარ ჰიტცფელდმა მადლობა ამ სიტყვებით გადაუხადა: *"მისი ამ გმირობის გამო, განსაკუთრებულად გახარებული ვარ, დანიელს ძალიან აკრიტიკებდნენ, მაგრამ თავის ამპლუაში ის ერთ-ერთი საუკეთესოა"*. 29 წლის ვან ბიუტენს ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში გოლი გატანილი არ ჰქონდა, თუმცა მისი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ეპიზოდი სწორედ ამ ტურნირს უკავშირდება, როცა, მისივე სიტყვებით, "მარსელთან" ერთად ზიდანის დიდ "რეალს" გოლი მადრიდში გაუტანა. ამიერიდან "სანტიაგო ბერნაბეუს" მის მეხსიერებაში "სან სირო" ჩაანაცვლებს. ჰიტცფელდი ამბობს: *"განმეორებით შეხვედრაში ცენტრფორვარდად ვათამაშებ"*.

მსაჯი. თამაშის წინ ბავარიელებს არბიტრ იური ბასკაკოვის შიში ჰქონდათ, თამაშის შემდეგ ყველას სახეზე ეწერა – "აი, ხომ ვამბობდით". პენალტი, რომლითაც "მილანმა" 2:1 გახადა, მსაჯის საჩუქარი იყო და გერმანელების აღშფოთებაც ლოგიკურად მოჰყვა. ფრანც ბეკენბაუერი: *"სამწუხაროდ, ჩვენი შიშები დადასტურდა, პენალტი გამოგონილი იყო, ისეთი განცდა მაქვს, რომ მსაჯი ამ მომენტს მთელი თამაში ელოდა"*. "კაიზერს" "მილანი" მოეწონა: *"75 წუთის მანძილზე კარგად ითამაშა, ბოლო 15 წუთში კი თავი "ბაიერნმა" იჩინა"*. ული ჰიონესმა ბასკაკოვს ორშაბათიდანვე შეუტია და მის დანიშვნას უილბლო უწოდა. ნამატჩევს მენეჯერმა ეს თქვა: *"პენალტი არარსებული იყო, მაგრამ ჯობია, თამაშზე ვილაპარაკო. მთავარი შედეგი იყო და ახლა ფავორიტები ჩვენ ვართ. შანსები 60 40-ზეა "ბაიერნის" სასარგებლოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ნახევარფინალში გავალთ"*. პენალტის აბსურდულობაზე როი მაკაიმაც ილაპარაკა, ოტმარ ჰიტცფელდი კი ამბობს, რომ განბილებულია, მაგრამ არა ბასკაკოვისგან: *"არამედ უეფასგან, რადგან ბასკაკოვისგან კარგად ვიცოდით, რაც გველოდა. მთელმა სტადიონმა დაინახა, რომ ლუსიოს წესი არ დაურღვევია"*.

საპასუხო შეხვედრა. სხვა მხრივ მიუნხენელების მწვრთნელი ყველაფრით კმაყოფილია: *"ეს კარგი და მნიშვნელოვანი შედეგია. შეხვედრის ბოლოს "მილანი" დაიღალა. ჩვენი დამსახურება ის იყო, რომ უსამართლო პენალტით მიღებული ზიანი უცბად დავივიწყეთ და გასათანაბრებლად შეტევაში წავედით. "მილანი" მადრიდის "რეალზე" ძლიერია, მიუნხენში დიდ ბრძოლას გაგვიმართავს. მაგრამ ეს ანგარიში განმეორებითი შეხვედრისთვის უდიდეს სტიმულს გვაძლევს, ფრეც საკმარისი იქნება, თუმცა 0:0-სთვის თამაშს არ ვაპირებთ"*. მიუნხენში არ იქნება "ბაიერნის" ვიცე-კაპიტანი ვილი სანიოლი: ფრანგმა მენისკის ოპერაცია უნდა გაიკეთოს. სეზონი მისთვის დამთავრებულია".



მიუნხენელებმა ნახევარფინალში გასვლაზე გააკეთეს განაცხადი

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ვქომაგობთ შოთას!

## რას დაუპირისპირებს ვან გაალი უეფას თასის ფავორიტ ვერდერს?

**ალკმაარი–ვერდერი**
**ლევერკუზენი–ოსასუნა**
**სევილია–ტოტენჰემი**
**ესპანიოლი–ბენფიკა**

უეფას თასზე მხოლოდ ერთი ქართველია შემორჩენილი და თუ წამყვანი საბუკმეკერო კანტორების კოეფიციენტებით ვიმსჯელებთ, ნახევარფინალში ის ერთიც აღარ გვეყოლება. **შოთა არველაძის** "ალკმაარი" დღეს "ვერდერს" მასპინძლობს, გუნდს, რომელიც უეფას თასის მთავარი ფავორიტია, თუმცა **ლუის ვან გაალის** გუნდს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია. ჰო, AZ-ს წილისყრაზე არ გაუმართლა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ "ვერდერს" ნახევარფინალში თამაში განაღდებული აქვს. ალკმაარელები საკუთარ მოედანზე 30-ე მატჩს ატარებენ და აღსანიშნავია, რომ შინ დღემდე დაუმარცხებლები არიან. ვან გაალი იმედოვნებს, რომ ეს სერია არც დღეს შეწყდება.

ეს გუნდები ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. "ალკმაარმა" ჯგუფურ ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა და C ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. 1/16 ფინალში ვან გაალის სამწყსოს მეტოქე "ფენერბაჰჩე" გახლდათ - შოთამ და კომპანიამ თურქეთში უხვგოლიან ფრეს მიაღწიეს (3:3), შინ კი 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ ანგარიში მაინც გაათანაბრეს და მერვედფინალში სტუმრად გატანილი ერთით მეტი გოლის წყალობით გააღწიეს. არველაძის გუნდმა 1/8 ფინალშიც დიდი ომი გადაიტანა "ნიუკასლთან" (სტუმრად 2:4, შინ 2:0) და ის ბარიერიც სტუმრად გატანილი გოლების გამო დაძლია. რაც შეეხება "ვერდერს": ბრემენელებმა უეფას თასზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გადაინაცვლეს - "ჩელსისა" და "ბარსელონის" კომპანიაში მე-3 ადგილზე გავიდნენ. მეოთხედფინალამდე "მუსიკოსებმა" "აიაქსი" (3:0, 1:3) და ვიგოს "სელტა" (1:0, 2:0) დაიფრინეს.

*"წილისყრაზე ფორტუნამ ზურგი გვაქცია. "ვერდერი" ძალიან ძლიერი მეტოქეა. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ "ნიუკასლსა" და "ფენერბაჰჩეს" გავუსწორდით, ვინ იცის, იქნებ "ვერდერის" ბარიერიც დავძლიოთ,"* - აცხადებს "ალკმაარის" თავდამსხმელი **დანი კუვერმანსი**, რომელმაც "ნიუკასლთან" ორივე მატჩში შეძლო გოლის გატანა (ისევე, როგორც არველაძემ) და ცოტა ხნის წინ ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს.

*"ალკმაარს" პატივს ვცემთ. ამ გუნდს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ნებისმიერის განბილება შეუძლია. ჩვენ უკვე ვითამაშეთ "აიაქსთან" და შეიძლება ითქვას, რომ AZ თამაშის სტილით ძალიან ჰგავს ამსტერდამულ კლუბს. ვან გაალის გუნდი საკუთარ მოედანზე ყოველთვის წარმატებით ასპარეზობს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადოთ, პირველ შეხვედრაში სასურველ შედეგს უნდა მივაღწიოთ, რათა საპასუხო თამაშს მშვიდად დაველოდოთ,"* - ამბობს "ვერდერის" თავკაცი **თომას შაафи** და ფაქტია, რომ სასურველ შედეგში მოგებას გულისხმობს.

"ალკმაარს" მხოლოდ ერთხელ ჰქონდა საქმე გერმანულ კლუბთან - 2004/05 წლების სეზონის უეფას თასის 1/16 ფინალში AZ "ალემანიას" გადაეყარა და ეს ბარიერი დაძლია (ააxენში 0:0, ალკმაარში 2:1). "ვერდერი" კი, ჰოლანდიურ კლუბებს 8-ჯერ ეთამაშა და არცთუ სახარბიელო მაჩვენებელი აქვს: 5 წაგება, 2 ფრე და მხოლოდ 1 მოგება, ისიც ამ სეზონში (აიაქსთან, 3:0).

საინტერესო ის გახლავთ, რომ უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში "ალკმაარს" ყველაზე მეტი, 25 გოლი აქვს გატანილი. ვან გაალის ბიჭებს მინიმუმ ერთი გოლი ყველა მატჩში გაჰქონდათ. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კი არველაძეა 7 გოლით და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ შოთა უეფას თასის ბომბარდირებში მე-3 ადგილზეა, ჩამორჩება რა მხოლოდ **ვალტერ პანდიანის** (ესპანიოლი, 9 გოლი) და **კლაუდიუ ნიკულესკუს** (ბუქარესტის დინამო, 8 გოლი). შოთას გაუვნებელყოფას დღეს ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველები, **პერ მერტეზაკერი** და **ნალდო** შეეცდებიან. და კიდევ: შოთა დღეს ყოფილ თანაგუნდელს შეხვდება - "ალკმაარის" ქართველი კაპიტანი "აიაქსში" ბრემენელ **პეტრი პასანენთან** ერთად თამაშობდა (ეს უკანასკნელი ამსტერდამულ კლუბში 2000-იდან 2004 წლამდე ირიცხებოდა). იმასაც გეტყვით, რომ შოთას ყვითელი ბარათი აქვს და ფრთხილად უნდა იყოს - მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, მას დისკვალიფიკაცია ემუქრება.

უეფას თასის მოქმედი გამარჯვებულის, "სევილიის" მეტოქე "ტოტენჰემია". ანდალუსიელები ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძვიან და თუ ამას მართლაც მოახერხებენ, "სევილია" მეორე გუნდი იქნება, ვინც უეფას თასს ზედიზედ მეორედ დაეუფლება. ასეთი რამ დღემდე მხოლოდ მადრიდის "რეალს" აქვს გაკეთებული - სამეფო გუნდმა უეფას თასი 1985 და 1986 წლებში მოიგო. თუმცა "რეალის" შედეგის გამეორებამდე ესპანურ კლუბს გუნდს ჯერ საკმაო შორი გზა აქვს გასავლელი, პირველი ზღუდე კი "ტოტენჰემია". **ხუანდე რამოსი** "მამლებს" უფრთხის - "სევილიის" დამრიგებელმა ჯერ კიდევ წილისყრის შემდეგ აღნიშნა, "ტოტენჰემი" დიდი გუნდია და ისევე როგორც ნებისმიერ პრემიერლიგურ კლუბთან, წარმატების მიღწევა "მამლებთანაც" ძალიან ძნელი იქნებაო. "ტოტენჰემის" თავკაცი **მარტინ იოლი** კი მიიჩნევს, რომ "სევილია" უეფას თასზე შემორჩენილ გუნდებს შორის ყველაზე ძლიერია.

აღსანიშნავია, რომ სევილიელთა მალელ ფორვარდ **ფრედერიკ კანუტს** "ტოტენჰემში" 2 სეზონი აქვს გატარებული. ამრიგად, კანუტი დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ წარდგება. ინგლისურ ფეხბურთს კარგად იცნობს ანდალუსიელთა იტალიელი ნახევარმცველი, უეფას თასის შარშანდელი ფინალის გმირი **ენცო მარესკაც**, რომელიც 2 წელი "ვესტ ბრომვიჩში" ასპარეზობდა. "ტოტენჰემს" კი მხოლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელსაც ადრე ესპანეთის პრიმერადივიზიონში უთამაშია - **აჰმედ ჰოსამ მიდო**.

საინტერესო უნდა გამოდგეს "ესპანიოლისა" და "ბენფიკის" დუელი. კატალონიელთა მთავარი მწვრთნელი **ერნესტო ბალბერდე** მხოლოდ იმითაა უკმაყოფილო, რომ მისი გუნდი პირველ შეხვედრას საკუთარ მოედანზე ატარებს. ვალვერდე პირდაპირ მიუთითებს მერვედფინალზე, სადაც "სევილია" ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც მომდევნო ეტაპზე ისე გააღწია, რომ პირველი თამაში შინ ჩაატარა, საპასუხო კი სტუმრად. ამრიგად, "ესპანიოლი" დღეს მაქსიმალურად ეცდება, რომ პორტუგალიური გრანდი დამაჯერებელი სხვაობით დაამარცხოს - ესპანელებმა იციან, რომ განმეორებით მატჩში, ლისაბონში, "ესტადიო და ლუშზე" სასურველი შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. "ბენფიკის" დამრიგებელი **ფერნანდო სანტუში** ამბობს, რომ მის გუნდს გაუმართლა, რადგან შეიძლებოდა, "ესპანიოლზე" ძლიერი მეტოქე შეხვედროდა. თუმცა სანტუში დიდ პატივს სცემს კატალონიელთა ფორვარდებს, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირ პანდიანისა და გამოცდილ **რაულ ტამუდოს**. "ესპანიოლის" რიგებში საეჭვოა **ალბერტ რიერას** გამოჩენა - 24 წლის ნახევარმცველი ვარჯიშზე დაშავდა და მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. სამაგიეროდ, კატალონიურ კლუბს ლაზარეთიდან **ხორკე, დე ლა პენია, ურტადო** და **საბალეტა** დაუბრუნდნენ.

"ლევერკუზენი" "ბაი-არენაზე" შესუსტებულ "ოსასუნას" უმასპინძლებს. უეფას თასზე შემორჩენილ მესამე ესპანურ კლუბს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული. ესენი არიან: **პუნალი, ნეკუნამი, დელპორტე, ვალდო, მილოშევიჩი** და **რომერო**.




შოთა და ალკმაარი ბრემენელ მუსიკოსებს უმასპინძლებენ



ფლორან მალუდა ევროპულ გრანდში გადადის

ტრანსფერები

# ვის გაყიდის ლიონი?

## გაზრდილი ბიუჯეტი შემადგენლობის გასაძლიერებლად

**ფლორან მალუდას** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** დაადასტურა, რომ მის გუნდს ორი ან სამი ვარსკვლავი დატოვებს, რადგან მათ ევროპული გრანდები ეპატიჟებიან და დიდ კომპენსაციას იხდიან. მალუდას გარდა, გაყიდვის კანდიდატია **ერიკ აბიდალიც**. აბიდალს "ბარსელონა" ეპატიჟება. კატალონიელებს ლისაბონის "სპორტინგის" ახალგაზრდა ვარსკვლავის, **ნანის** შეძენა სურდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა პორტუგალიურ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

პრეზიდენტმა ოლამ მიმომხილველებს არც ის დაუმალა, რომ მომავალ სეზონში "ლიონის" ბიუჯეტი 200 მილიონ ევროს მიაღწევს. მალუდასა და აბიდალისაგან განსხვავებით, კლუბთან ახალ კონტრაქტებს გააფორმებენ მეკარე **გრეგორი კუპე**, მცველები - **კლაუდიო კასაპა** და **ანტონი რევეიერი**, აგრეთვე ნახევარმცველი **ჟუნინიო პერნამბუკანო**. შთამბეჭდავია სასურველი ფეხბურთელების სიაც: მარსელელი **ფრანკ რიბერი**, იუვენტუსელი **მაურო კამორანეზი**, დეპორტივოელი **ალდო დუშერი**, ტულუზელი **იოჰან ელმანდერი**, მონაკოელი **ფრედერიკ პიკიონი** და ბირმინგემელი **ნიკლას ბენდტნერი**, რომელიც ნაწილობრივ ლონდონის "არსენალს" ეკუთვნის.

### პაიკო ჰერლიხი 18 წლამდელთა ნაკრებში

ლევერკუზენის "ბაიერის", ასევე მიონხენგლადბახისა და დორტმუნდის "ბორუსიების" ყოფილი გოლეადორი **ჰაიკო ჰერლიხი** 1 ივლისიდან გერმანიის საფეხბურთო კავშირში იმუშავებს. 35 წლის ჰერლიხი გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ჰაიკო ახლა "დორტმუნდის" ბავშვთა პირველი გუნდის დამრიგებელია. შეგახსენებთ, რომ 1994/95 წლების სეზონში ჰერლიხმა ბუნდესლიგაში 20 გოლის გატანა შეძლო და ბრემენელ **მარიო ბასლერთან** ერთად გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ "გლადბახმა" იმ სეზონში გერმანიის თასი მოიგო. მერე "დორტმუნდში" გადავიდა, სადაც 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. 2000 წლის ნოემბერში ჰაიკოს ტვინის კიბო აღმოუჩინეს. ჰერლიხს სიმსივნე 3 წელი სტანჯავდა, მაგრამ საბოლოოდ ოპერაცია გაიკეთა და ავადმყოფობა დაამარცხა. ის ფეხბურთსაც დაუბრუნდა, მაგრამ ძველებურად ველარ ათამაშდა, ამიტომ აქტიური სპორტული კარიერა მალევე დაასრულა.

### ნიუკასლი 20 მილიონს დახარჯავს

"ნიუკასლი" შემადგენლობის გასაძლიერებლად 20 მილიონ გირვანქას დახარჯავს. მთავარი მწვრთნელი **გლენ როუდერი** დაცვის გაძლიერებას შეეცდება. მის სიაში არიან მანჩესტერელი **ვესლი ბრაუნი**, ვესტჰემელი **ანტონ ფერდინანდი**, საუთჰემპტონელი **გარეთ ბეილი** და ვესტბრომვიჩელი **კერტის დევისი**. ჯორდების მცველი **ტიტუს ბრემბლი**, შეიძლება, "პორტსმუთში" გაიყიდოს, საყრდენი ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** (ის "კაჭკაჭების" კაპიტანია) - "ევერტონში" ან "ტოტენჰემში". როუდერი მეორე საყრდენის, **ნიკი ბატის** თამაშითაც უკმაყოფილოა და მის შემცვლელად რედინგელ **სტივ სიდველს** მოიაზრებს. მწვრთნელის საოცნებო ფეხბურთელად კვლავ ლივერპულელი **პიტერ კრაუჩი** რჩება. თუ მისი შეძენა ვერ მოხერხდება, "ნიუკასლი" უფრო ნაკლებად ამბიციურ ტრანსფერზე იზრუნებს და ვესტჰემელ **დინ ეშტონს** გაუფორმებს კონტრაქტს.

### როი კინის ამბიციური გეგმები

**დიეგო ფორლანი** "სანდერლენდში" არ ითამაშებს. ინგლისური კლუბის თავკაცმა **როი კინმა** ყოფილ მანჩესტერელ თანაგუნდელს კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მზიურ ესპანეთში დარჩენა გადაწყვიტა. ფორლანმა პრემიერლიგაში ორი სეზონი გაატარა (2002-04). მას მანჩესტერელთა მაისურით ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. სამაგიეროდ, "ვილიარეალში" ჩასული პირველსავე წელს პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ევროპელი გოლეადორებისათვის განკუთვნილ ოქროს ბუცს დაეუფლა. "სანდერლენდი" პირველი დივიზიონის ლიდერთა შორის იმყოფება და აღზევებისათვის იბრძვის.

კინი "ნიუკასლს" გარემარბ **დემიენ დაფსაც** შეეხმიანა, მაგრამ ტრანსფერზე უარი არა ფეხბურთელის, არამედ ჯორდების თავკაცის, **გლენ როუდერისაგან** მიიღო. დაფი "ნიუკასლში" შარშან ზაფხულს 5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის ფეხბურთელს არაფრით გამოუჩენია თავი, მწვრთნელს მასთან გამოთხოვება არ სურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ბერნდ შუსტერი: დატოვეთ ფაბიო

## გერმანელი სპეციალისტი ბერნაბეუზე მუშაობის დასაწყებად ემზადება და საგაისო საქმეებს აგვარებს

როგორც იცით, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის მთავარი მწვრთნელის გამოცვლას აპირებს. **ფაბიო კაპელოს** უკვე წამსვლელ კაცად აღიქვამენ. საზოგადოება ფიქრობს, რომ იტალიელ სპეციალისტს სეზონს ჩაამთავრებინებენ და გზას დაულოცავენ. მის სავარაუდო მემკვიდრეებად ამ ეტაპზე **ბერნდ შუსტერი, ჟოზე მოურინიო** და **რაფა ბენიტესი** სახელდებიან. ამ ტრიოდან ყველაზე მეტად შუსტერი აქტიურობს. "ხეტაფეს" მთავარმა მწვრთნელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამეფო კლუბში დიდი სიამოვნებით იმუშავებდა. მადრიდულ გიგანტში მუშაობის სურვილის კიდევ უფრო მკვეთრად გამომჟღავნების მიზნით გერმანელმა სპეციალისტმა თავს უფლება მისცა, სამეფო კლუბის ხელმძღვანელებისთვის რჩევით მიემართა. ჰერ შუსტერი ფიქრობს, რომ სანატრელ თანამდებობაზე დანიშვნის შესანიშნავი შანსი აქვს, ამიტომ ის უკვე სამომავლო გეგმებზე ფიქრობს და **პრედრაგ მიატოვიჩს** ურჩევს, **ფაბიო კანავარო** ცოცხალი თავით არ გაყიდოს.

არადა, სეზონის დაწყების წინ "იუვენტუსიდან" დიდი ზარ-ზეიმით ჩაყვანილ მცველს მიმომხილველები წასასვლელად განწირულად აღიქვამენ. აღსანიშნავია, რომ მიატოვიჩი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელით დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ვერ ვიტყვით, რომ გენერალურ დირექტორს სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლებთან ინტენსიური ურთიერთობა აქვს, თუმცა ფაქტია, ხელმძღვანელობა კანავაროს გაყიდვაზე ფიქრობს. იტალიელის მიერ ჩატარებული სეზონით თითქმის ყველა უკმაყოფილოა. მათთვის ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ 33 წლის ვეტერანმა თამაშის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეძლოს. როგორც ჩანს, შუსტერი კანავაროს ერთადერთი დამფასებელია. ალბათ, ფაბიო "სანტიაგო ბერნაბეუზე" მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ **რამონ კალდერონი** ბერნდ შუსტერს გაუფორმებს კონტრაქტს.



ბერნდ შუსტერი

ბარსელონა

# ერთად რასიზმის წინააღმდეგ!

## ლივერპულმა კამერუნელ ფორვარდს თანამშრომლობა შესთავაზა

**სამუელ ეტოო** საზოგადოებას რასიზმის წინააღმდეგ დალაშქვრისკენ მოუწოდებს. "ბარსელონის" ფორვარდმა "დიარიო მარკას" კორესპონდენტთან საუბარში ასეთი რამ თქვა: *"მირჩევნია, ჩემი შვილები სტადიონზე არ წავიყვანო. ტრიბუნებზე რასიზმი ყვავის. ქსენოფობიური შეტევების მსხვერპლი არაერთხელ გავმხდარვარ. დაუჯერებელია, რომ 21-ე საუკუნეში კვლავ კანის ფერის მიხედვით დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე საუბარი გვიწევს. საჭიროა, რომ ფეხბურთელები, პოლიტიკოსები, საზოგადოების ფართო მასები ერთ მუშტად შევიკრათ და რასისტებს ბრძოლა გამოვუცხადოთ. ბავშვები მეხვეწებიან, გასვლით შეხვედრებზე წაგვიყვანე და ნება მოგვეცი, თამაშებს ვუყუროთო. იძულებული ვარ, მათ ეს ავუკრძალო, წინააღმდეგ შემთხვევაში საშინელებებს მოისმენენ. ვერ ავუხსნი, რატომ აყენებენ ადამიანს შეურაცხყოფას კანის ფერის გამო."*

ფეხბურთის გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, გასულ სეზონში "სარაგოსასთან" მატჩში არაგონელმა გულშემატკივრებმა ეტოოს წინააღმდეგ ამაზრზენი რასისტული გამოხდომით გაილაშქრეს. როცა სამუელი ბურთს იღებდა, ფაქტობრივად, მთელი სტადიონი გორილას ხმის იმიტაციას ახდენდა. ესეც არ იკმარეს და იმავე თამაშში რასისტული ლოზუნგებს სკანდირება დაიწყეს. საბრალო ეტოო ისე გამწარდა, რომ მოედნიდან გასვლა გადაწყვიტა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა "სარაგოსას" ფინანსური სასჯელი გამოუწერა. ამავე მიზეზის გამო "ატლეტიკო", "მალაგა" და "რასინგიც" დაისაჯნენ.

ამასობაში, ეტოოს "ლივერპულში" გადაბარგების წინადადებით მიმართეს. "წითელი ეშმაკების" მფლობელებმა **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** ბარსელონელ კოლეგებს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. აღსანიშნავია, რომ კამერუნელი ფორვარდი ინგლისელთა დაინტერესებას მშვიდად შეხვდა. სამუელმა "ანტენა 3-ისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, "ბარსასთან" სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ არავინ იცის, მომავალში რა მოხდებაო.



ხავიერ სავიოლა

იუვენტუსი

# სავიოლა ოთხი წლით?

## ტრეზეგე ბარსელონაში ნახეს, ტურინში შეიძლება მარტინსი ჩავიდესო...

"იუვენტუსმა" **ხავიერ სავიოლას** გაუმჯობესებული პირობები შესთავაზა. ამ ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. "ბაჭიას" ბარსელონური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. "ბებერი ქალბატონი" მის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ტურინელებმა ოთხწლიანი ხელშეკრულება და წლიურად 3 მილიონი ევრო გაამზადეს.

შესაძლოა, "იუვედან" "ბარსელონაში" აღმოჩნდეს **დავიდ ტრეზეგე**. "დიარიო სპორტი" იუწყება, რომ გასული კვირის მიწურულს ტრეზეგე კატალონიის დედაქალაქში იმყოფებოდა. გაზეთის ჟურნალისტმა ის ერთ-ერთ რესტორანში ნახა და ამბავი მაშინვე მთელ ქვეყანას მოსდო. ბარსელონელებს დავიდის შეძენა დიდი ხანია, სურთ. ორი წლის წინ ტრანსფერი კინაღამ განხორციელდა კიდეც. ზაფხულში კატალონიელები სავიოლას გაუშვებენ. შეიძლება, ბარგი ჩაალაგოს **სამუელ ეტოო**მაც.

"ქალბატონი" თავდასხმის გაძლიერებას ეშურება. სავიოლას გარდა, **ობა მარტინსის** სახელმაც გაიჟღერა. მოგეხსენებათ, ნიგერიელი "ინტერში" თამაშობდა. გასულ ზაფხულს ის "ნიუკასლს" მიჰყიდეს. ჯორდებს **მაიკლ ოუენი** ჰყავდათ დაშავებული და შემცვლელი სჭირდებოდათ. ოუენმა ვარჯიში განაახლა. თუ ის ოპტიმალურ ფორმას აკრეფს, კლუბმა, შეიძლება, მარტინსის გაყიდვაზე დაიწყოს ფიქრი. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, "იუვე" ვითარებას აკვირდება. ტრანსფერის შემთხვევაში, მარტინსში 10 მილიონ ევროზე მეტს არ გადაიხდიან.

ამასობაში, **ალექს დელ პიერომ** "ქალბატონთან" კონტრაქტის გაგრძელება მოისურვა. დღევანდელი ხელშეკრულება 2008 წელს იწურება. კლუბმა მისი 2009 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზა, ფეხბურთელს კი თამაში 2012 წლამდე სურს, იმ დრომდე, როცა ის უკვე 38 წლისა იქნება.

### დე ლა პენია ატლეტიკოში, ტორესი?

"ატლეტიკო" მოულოდნელი ტრანსფერისათვის ემზადება. მადრიდელებმა "ესპანიოლის" ნახევარმცველ **ივან დე ლა პენიას** დაადგეს თვალი. კატალონიურმა კლუბმა ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. დე ლა პენიას აგენტმა **მანუელ ფერერმა** პირობებით უკმაყოფილება ვერ დამალა. "ესპანიოლის" სპორტულმა დირექტორმა **პაკო ერერამ** განაცხადა, ამაზე მაღალი ხელფასის გადახდა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატებაო. საქმე ისეთი პირი უჩანს, რომ "ბარსელონისა" და "ლაციოს" ყოფილი ფლეიმეიქერი ახალი სამსახურის ძებნას დაიწყებს. ივნისში მას კონტრაქტი ეწურება. დაინტერესებულ კლუბებს ტრანსფერში ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევთ. დე ლა პენია "ვალენსიასა" და სანტანდერის "რასინგსაც" სურთ.

"ატლეტიკოსთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწოდებთ. გრძელდება სპეკულაციები **ფერნანდო ტორესთან** დაკავშირებით. "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" რიგში დგანან. **სერ ალექს ფერგიუსონი ჰენრიკ ლარსონის** შემცვლელს ეძებს. **რაფა ბენიტესი** კი ტორესში ვალენსიელი **დავიდ ვილიას** იაფ ალტერნატივას ხედავს. ვილია "ღამურებს" 40 მილიონ გირვანქად ჰყავთ შეფასებული. ტორესი სულ ცოტა ორჯერ იაფი ღირს.

### ჟიგიჩი მანჩესტერსაც მოუნდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" **ნიკოლა ჟიგიჩისათვის** ბრძოლაში ჩაერთო. სანტანდერის "რასინგის" გოლიათ თავდამსხმელზე "ბოლტონი" და "ტოტენჰემიც" აცხადებენ პრეტენზიას. "რასინგი"-"ბილბაოს" საკვირაო მატჩს "იუნაიტედის" ემისარი მარტინ ფერგიუსონი დაესწრო. შეხვედრა დრამატულად წარიმართა. მაყურებელმა ცხრა გოლი და დაუვიწყარი სანახაობა იხილა. მასპინძლებმა 5:4 გაიმარჯვეს. ჟიგიჩმა დუბლი შეასრულა. ფერგიუსონი მისი თამაშით აღფრთოვანებული დარჩა. საინტერესო ისაა, რომ მისტერ მარტინი სანტანდერში სულ სხვა მისიით იმყოფებოდა. მას მასპინძლების არგენტინელ მცველ **ესეკილ გარაიზე** დაკვირვება ჰქონდა დავალებული. ჟიგიჩს საუკეთესო რეკომენდაციას აძლევს სანტანდერული კლუბის ფიზმომზადების მწვრთნელი **ხავიერ მინიანო**. მისი მტკიცებით, სერბი ფორვარდის პოტენციალი ბევრად აღემატება მასზე უფრო ავტორიტეტული **ნიკოლა ანელკასა** და **ჯონ კარუს** შესაძლებლობებს.

ჰერტა

# ჰიონესი: ვინ მიგდია პანტელიჩი?

## შეფი გადარეულია, ყველა ეგოისტმა ბერლინში მოიყარა თავიო...

ნიურნბერგში განცდილი მარცხი, "ჰერტას" მენეჯერ **დიტერ ჰიონესის** მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ბერლინური კლუბის შეფმა ფეხბურთელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ჰიონესის რისხვა განსაკუთრებით სერბ ფორვარდ **მარკო პანტელიჩს** დაატყდა თავს.

*"კოტბუსთან" წაგების შემდეგ (0:1 ბერლინში), ჩვენმა ფეხბურთელებმა მთელი ღამე დისკოთეკაზე გაატარეს. ასეთი რამ აუტანელია! იმის ნაცვლად, რომ აუტსაიდერთან მარცხის გამო იდარდონ და დაშვებული შეცდომების გაანალიზება სცადონ, ერთობიან და ზეიმობენ, ოღონდ არ ვიცი, რას,"* - განრისხებულია ჰიონესი. მისი თქმით, ბუნდესლიგის მომდევნო ტურის მატჩი (შაბათს, "არმინიასთან"), "ჰერტასთვის" ერთგვარი ფინალია, რომლის წაგებაც კატასტროფის ტოლფასი იქნება.

*"მარკო ამბობს, გოლებს იმიტომ ვეღარ ვიტან, რომ თანაგუნდელები პასებით ვერ მამარაგებენო. ამ შემთხვევაში ის უდიდეს შეცდომას უშვებს. მე ვიცი, რატომ ველარ გააქვს გოლები. მიზეზი ისაა, რომ პანტელიჩი სხვა რაღაცებზე ფიქრობს და "ჰერტა" უკვე ფეხებზე ჰკიდია. მე არ ვგულისხმობ იმას, რასაც ის თავისუფალ დროს აკეთებს. ეს მისი საქმეა და გართობას ვერ დავუშლი. საქმე ისაა, რომ პანტელიჩი სხვა გუნდებზე ფიქრობს და ნებისმიერ მსურველთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მინდა გაიგოს, რომ მე ყველაფერი ვიცი. აგენტებმა ტვინი გაუხვრიტეს და თავი უამრავი სისულელით გამოუჭედეს. არაერთხელ ვესაუბრე, არაერთხელ დავტუქსე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს და ბოლოს, თავი .ვინ ჰგონია? როცა "ჰერტაში" გადმოვიდა, თქვა, ახალი ბატისტუტა გავხდებიო და მისი ეს განცხადება მაშინვე ცუდად მენიშნა. იმედია, გონს მოეგება, რადგან მართლა უდიდესი პოტენციალის მქონე თავდამსხმელია. მაგრამ, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ახალგაზრდა აღარ არის."* - ამბობს ჰიონესი. თვითონ ფორვარდი, რომელსაც მიმდინარე სეზონში 11 გოლი აქვს გატანილი და გერმანიის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, ბოსის კრიტიკაზე კომენტარს არ აკეთებს.

ჰიონესი კი ყვირილს განაგრძობს: *"მე მხოლოდ მარკოს არ ვგულისხმობ. ჩვენს გუნდში ძალიან ბევრი უდისციპლინო და ეგოისტი ფეხბურთელია. ხანდახან მგონია, რომ მსოფლიოს ყველა ეგოისტმა "ჰერტაში" მოიყარა თავი. სწორედ ასეთი მოთამაშეების ბრალია ის, რომ "ჰერტა" გერმანიაში მეორე წრის ყველაზე სუსტი გუნდია."* დიტერი სრულ სიმართლეს ამბობს - ბერლინელებმა ბოლო 8 მატჩიდან 7 წააგეს და შესაბამისად, გუნდი, რომელიც ხუთეულში მოხვედრასა და უეფას თასის საგზურის მოპოვებას გეგმავდა, ახლა გასავარდნ ზონას მხოლოდ 5 ქულითღა უსწრებს. ასე რომ, მორიგი მარცხი შავ ზონასთან მიახლოებისა და უფრო დიდი საფრთხის წინაშე დადგომის ტოლფასი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ჰიონესს არანაირი პრეტენზიები არ აქვს მთავარ მწვრთნელ **ფალკო გიოტცთან**. ეს უკანასკნელი დიტერის მოსაზრებებს იზიარებს და ამბობს: *"ახლა ჩემი მიზანი ის არის, რომ გავარკვიო, რომელ მოთამაშეებს აქვთ გამარჯვების სურვილი. მომდევნო ტურში მხოლოდ ისინი ითამაშებენ."*

**გოტფრიდ ლენცი**




მარკო პანტელიჩი

ინტერვიუ ეუსებიოსთან

# ჩემი ეპოქის ფეხბურთი უფრო სანახაობრივი იყო

## შავი პანტერა მაპუტუდან ლისაბონში ისე ჩაიყვანეს, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიდიოდა. ის სპორტინგის სკაუტებმა აღმოაჩინეს, მაგრამ თამაში ბენფიკაში დაიწყო

**ლეგენდარული ეუსებიო ასაკთან დაკავშირებულ მრავალ ავადმყოფობას უჩივის. მას ის მარჯვენა ფეხი ტკივა, რომლის წყალობითაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. "შავი პანტერა" ავადმყოფობას არ ეპუება და მომავალს იმედის თვალით უყურებს. ის დღესაც გასაოცარ ოპტიმიზმს ინარჩუნებს. რამდენიმე დღის წინათ ეუსებიოს ლისაბონში "დიარიო ასის" კორესპონდენტი ესტუმრა. ლეგენდარულმა პორტუგალიელმა მადრიდელი ჟურნალისტი რესტორან "სეტე მარტესში" დაპატიჟა.**

**- ეუსებიო, როგორ ბრძანდებით?**

- ავად ვარ, თუმცა ცხოვრების ხალისს მაინც არ ვკარგავ (იცინის).

**- რა განუხებთ?**

- მუხლი მტკივა. აუტანელი ტკივილები მაწუხებს.

**- ამ მუხლს უამრავი დიდი მატჩის სიმძიმე გადაუტანია...**

- უკვე ასაკოვანი ვარ და სულაც არ მიკვირს, რომ სიბერისას ტკივილებმა შემაწუხა. მუხლის გარდა, შინაგანი ორგანოებიც მტკივა. ექიმებთან თითქმის ყოველ კვირა დავდივარ. მოკლედ, დავბერდი. რას იზამ, ცხოვრება ასეთია და ვერაფერს შევცვლით. მთავარია, ადამიანმა სიცოცხლის ხალისი არ დაკარგოს.

**- უნდა გითხრათ, რომ გარეგნულად მშვენივრად გამოიყურებით. ნუ იდარდებთ, ყველაფერი კარგად იქნება...**

- დიდი მადლობა კეთილი სიტყვებისთვის. მუხლზე, მთლიანობაში, ექვსი ოპერაცია მაქვს გაკეთებული. უახლოეს მომავალში მეშვიდედ მომიწევს ქირურგიულ მაგიდაზე დაწოლა. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება.

**- ვიცით, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, ფეხბურთისადმი ლტოლვა არ გაგნელებიათ.**

- რა თქმა უნდა. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა.

**- როგორ გგონიათ, ფეხბურთი წლებმა მნიშვნელოვნად შეცვალა?**

- ცხადია. შეიცვალა სქემები, მენტალიტეტი, საორგანიზაციო სისტემა, თავად კლუბები... მიუხედავად ამისა, რომანტიზმი არსად გამქრალა. ვისაც ლამაზი ფეხბურთი უყვარს, გასაქანს ყოველთვის იპოვის. მათ ვერავინ აუკრძალავს ლამაზად ითამაშოს.

**- დაგვიკონკტეტეთ, რა დარჩა უცვლელი...**

- ვნება და გონება. როცა სურვილი გაქვს, შესაძლებლობები გამოამჟღავნო, ამას ყოველთვის მოახერხებ. მეორე საკითხია, რომ დღესდღეობით ბევრი უცნაური რამ ხდება. ახალგაზრდა თაობაზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენენ. სამწუხაროდ, ფეხბურთი სულ უფრო და უფრო კომერციული ხდება. ხშირად გადაწყვეტილებებს არა მწვრთნელები, არამედ ტელევიზიები იღებენ. წარმოიდგინეთ, თამაშების დაწყების დროს სატელევიზიო არხები ნიშნავენ. უმეტეს შემთხვევაში, მატჩები ღამის 10 საათზე იწყება. შეუძლებელია, ამ დროს ადამიანი დაღლილი არ იყოს. ეს ხომ ფიზიოლოგიის საკითხია.

**- რისი თქმა გსურთ, ფეხბურთს კომერციული დიქტატურა ზღუდავს?**

- არა, არ მითქვამს, რომ ეს დიქტატურაა. უბრალოდ, ცხოვრებამ კომპრომისების აუცილებლობა მოიტანა. შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ მე ყოველთვის ფეხბურთელების მხარეს ვიქნები. ისინი არიან მთავარი მოქმედი პირები, რადგან ვარჯიშებზე ფეხბურთელი იტანჯება. მათ საშუალება და დრო არ აქვთ იმისთვის, რომ მეგობრის დაბადების დღეზე მივიდნენ. როცა ყველა ერთობა, ფეხბურთელები დასაძინებლად მიდიან. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ფეხბურთელი კარგად მოემზადოს და მატჩებში ბრწყინვალედ ითამაშონ. ჩემი აზრით, მათი უფლებები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

**- ამისთვის ხომ კარგად უხდიან...**

- ისღა აკლიათ, ხელფასიც აღარ მისცენ. ამაზე არც არის საუბარი. აუცილებელია, რომ მოთამაშეებს ყველა პირობა შეუქმნან. 10 საათზე შეხვედრის დანიშვნა არასწორი და ეგოისტური საქციელია.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ თანამედროვე ფეხბურთი დაცვაზეა ორიენტირებული. მატჩების უმრავლესობა მეტისმეტად მოსაწყენი და მოსაბეზრებელია.**

- ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი თამაში ვიხილო. სხვათა შორის, მხოლოდ ფეხბურთით არ ვკმაყოფილდები. ხშირად, ამერიკული საკალათბურთო ლიგის დაპირისპირებებსაც ვადევნებ თვალს. მიყვარს კარგი ჩოგბურთი და ავტორბოლა. სამწუხაროდ, მომიწევს იმის აღიარება, რომ ზოგადად სპორტი და მათ შორის ფეხბურთი, ჩემს ეპოქაში გაცილებით უფრო სანახაობრივი გახლდათ.

**- პორტუგალიური ფეხბურთი ახლა უფრო მოდურია?**

- რა თვალსაზრისით?

**- სანახაობრივი თვალსაზრისით. მცირე ხნის წინათ კრისტიანო რონალდოსა და რიკარდუ კვარეშმას პორტუგალიამ ბელგია დიდი ანგარიშით, 4:0 გაანადგურა.**

- ღვთის წყალობით, ჩვენი ფეხბურთი მნიშვნელოვნად განვითარდა. პორტუგალიელი ფეხბურთელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გრანდებში თამაშობენ. შემდეგ ჩამოდიან და საკუთარ ნიჭსა და უნარს ნაკრებს ახმარენ. იმედია, მომავალში კიდევ უფრო შთამბეჭდავად ვიასპარეზებთ.

**- გახსოვთ ის დრო, როცა დეკუს ირგვლივ დიდი დებატები იყო გამართული. ბევრი ამბობდა, რომ ის ბრაზილიელია და პროტუგალიის ეროვნულ გუნდში არ უნდა ეთამაშა...**

- დეკუ ბრაზილიაში დაიბადა, მაგრამ დიდ ფეხბურთელად პორტუგალიაში ჩამოყალიბდა. ბედნიერი ვარ, რომ ის ჩვენთან თამაშობს და არა "სელესაოში".

**- კრისტიანო რონალდოზე რას გვეტყვით?**

- ის უდიადესი გარემარბია.

**- ისეთივე, როგორც ჟოსე აუგუსტო? (ბენფიკის გარემარბი 60-იან წლებში).**

- მათი შედარება იდიოტობა იქნებოდა. როცა ჟოზე აუგუსტო თამაშობდა, კრისტიანო რონალდო დაბადებულიც არ იყო. ამიტომ, პარალელების გავლება გაუმართლებლად მიმაჩნია. ეჭვი არ მეპარება, რომ ადრე თუ გვიან, კრისტიანო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება და ამ ტიტულს მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს.

**- მისი შეძენა მადრიდის "რეალს" სურს...**

- ამომწურავ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა ახლობლები ამ თემაზე ხშირად მელაპარაკებიან. ჩემი აზრით, რონალდოსთვის სჯობს, "რეალში" წავიდეს. სხვათა შორის, ესპანეთში სწორედ სამეფო კლუბს ვქომაგობ და ძალიან გამიხარდება, თუ "სანტიაგო ბერნაბეუზე" აღმოჩნდება. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. გადაწყვეტილება თავად მან და მენეჯერმა უნდა მიიღონ.

**- "ბენფიკამ" ზრდა ხომ არ შეწყვიტა? ადრე გაცილებით უკეთესი შედეგები გქონდათ...**

- რომელ წყვეტაზეა საუბარი, როცა მსოფლიოში ყველაზე მეტი გულშემატკივარი გვყავს? აბა, თუ იცით, რამდენი სოსიოა დარეგისტრირებული?

**- 160 ათასი.**

- უკვე 164 ათასამდე ავედით. "რეალს", თუ არ ვცდები, 60 ათასი სოსიო ჰყავს, "ბარსელონას" 80 ათასი. ჩვენ კი ორჯერ მეტი რაოდენობით შეგვიძლია თავის მოწონება. ხუმრობა არ არის, როცა კლუბის საზოგადოებაში 164 ათასი ერთგული გულშემატკივარია გაწევრიანებული.

**- ვატყობ, ამით ძალიან ამაყობთ...**

- განა ეს საკითხავია? ამაზე დიდი ბედნიერება ფეხბურთელისთვის არ არსებობს. "ბენფიკა" დღესაც ერთ-ერთი გრანდია. მოზამბიკის დედაქალაქში დავიბადე. მაპუტუდან ლისაბონში ისე ჩამომიყვანეს, წარმოდგენა არ მქონდა, სად მოვდიოდი. 19 წლისამ ევროპის ჩემპიონთა თასი მოვიპოვე. ფინალში დიად "რეალს" ორი გოლი შევუგდე. "ბენფიკის" გულშემატკივრებმა ხელით ამიყვანეს და დღემდე ხელით მატარებენ. რა თქმა უნდა, ბედნიერი და ამაყი გახლავართ.

**- საინტერესოა, იმ ფინალის წინ 19 წლის ეუსებიო ძალიან ნერვიულობდა?**

- 19 წლის ბიჭისთვის ნერვიულობა მეტისმეტად დიდი ფუფუნებაა (იცინის). ამ ასაკში არ ნერვიულობენ, რადგან ამისთვის გონება არ ჰყოფნით. ერთი სული მქონდა, მოედანზე როდის გავიდოდი და გოლს გავიტანდი. დარწმუნებული გახლდით, რომ შევაგდებდი. უდიდესი სიხარული ვიგრძენი, მაგრამ ყველაზე მეტად ალფრედო დი სტეფანოს მიერ ნაჩუქარმა მაისურამ გამახარა.

**- ამ მაისურას დღემდე ინახავთ?**

- ისე ვუფრთხილდები, როგორც განძს. ჩემს სახლში ამაზე ძვირფას ნივთს ვერ იპოვით. დი სტეფანო საუკეთესო იყო დიად ფეხბურთელთა შორის.

**- დონ ალფრედო თქვენთვის განსაკუთრებული მოწინააღმდეგე იყო?**

- რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ის ყველა დროის ყველაზე სრულყოფილი ფეხბურთელი იყო. ერთ ისტორიას მოგიყვებით. ერთხელ ვეტერანები ვკამათობდით, ვინ იყო პლანეტის ყველაზე დიდი მოთამაშე. ვერაფრით შევთანხმდით. შემდეგ ერთი მაგალითი მოვიყვანე. ავიღე ლიტრნახევრიანი ბოთლი და თითქმის ბოლომდე ავავსე წყლით. გვერდზე კი პირთამდე შევსებული პატარა ბოთლები შემოვუწყვე. მეგობრებს ვუთხარი: აი, ბატონებო პატარა ბოთლები თქვენ ხართ, ეს დიდი კი დი სტეფანოა. მერე რა, რომ პატარა ჭურჭელი ბოლომდე სავსე გახლდათ. დიდ ბოთლში მაინც უფრო მეტი წყალი ესხა.

**- მათ რა თქვეს?**

- ხმა არ ამოუღიათ. მხოლოდ ტაში დამიკრეს...

**- დი სტეფანოზე ამდენს საუბრობთ. მას საუკეთესოდ მიიჩნევთ. პელეს რაღა ვუყოთ?**

- პელე გენიოსია. ფეხბურთის მარგალიტი. მასთან ისეთი დამოკიდებულება მაქვს, როგორიც ღვიძლ ძმასთან. პელე ფენომენალური მოთამაშე გახლდათ, მაგრამ მის მთავარ ღირსებად გასაოცარ ადამიანობას მივიჩნევ. ყოველთვის მათ გვერდითაა, ვისაც დახმარება სჭირდებათ.

**- მარადონა კვლავ ავადაა. ის ბუენოს აირესის საავადმყოფოში მოათავსეს.**

- ფეხბურთი მხიარულებაა, ამიტომ სევდიან თემებზე საუბარი არ მსურს. დიეგოს ძალიან კარგად ვიცნობ და გული მტკივა, რომ ახლა ცუდადაა. მჯერა, ყველაფერი მოგვარდება.

**- როგორც აფრიკელი, სამუელ ეტოოზე რას ფიქრობთ?**

- სამუს თავში მხოლოდ გოლი უტრიალებს. ეტოოს გარდა, დიდიე დროგბასაც გამოვყოფდი. მწვრთნელი რომ ვყოფილიყავი, ჩემს გუნდში ორივეს მივიწვევდი.



ეუსებიოს ტერფების ანაბეჭდი ჩემპიონთა ხეივანში

**- მოზამბიკში ფეხბურთი რა მდგომარეობაშია?**

- აგენტი რომ ვიყო, წამითაც არ დავახანებდი და მოზამბიკში ტალანტების საძებნელად წავიდოდი. ამ ქვეყანას უდიდესი პოტენციალი აქვს.

**- მხოლოდ მოზამბიკს?**

- არა, მთლიანად აფრიკაა ამოუწურავი საფეხბურთო პოტენციალის მქონე კონტინენტი.

**- როგორც ამბობენ, მოზამბიკიდან "სპორტინგის" სკაუტებმა წაგიყვანათ. საინტერესოა, შემდეგ რა მოხდა? "ბენფიკაში" როგორ აღმოჩნდით?**

- გეფიცებით, "სპორტინგთან" შეთანხმებული არ ვიყავი. მართალია, მისმა სკაუტებმა აღმომაჩინეს, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება "ბენფიკამ" ყველას დაასწრო და ჩემი ცხოვრებაც განისაზღვრა.

**- დაუჯერებელია, "სპორტინგის" მესვეურებმა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე წაგიყვანეს?**

- მხოლოდ ერთი შეთანხმება არსებობდა, დედაჩემმა მოითხოვა, თუ სამი წლის განმავლობაში ახალ გარემოს ვერ შევეგუებოდი, უკან, მოზამბიკში დამაბრუნებდნენ. სხვათა შორის, ეს მოთხოვნა დედამ "ბენფიკასაც" წაუყენა.

**- თქვენი ისტორია, დი სტეფანოს ამბავს ჰგავს...**

- მის შემთხვევაში კიდევ უფრო ჩახლართული ისტორიაა. დონ ალფრედომ "ბარსელონასთან" გააფორმა კონტრაქტი, კლუბის მაისურა მოირგო, სურათიც გადაიღო, მაგრამ კარიერა "რეალში" გააგრძელა.

**- ვიცით, რომ ბელა გუტმანს განსაკუთრებით აფასებთ...**

- ჩემი აზრით, ასეთი მწვრთნელი დღეს უბრალოდ, არ არსებობს. გენიოსი იყო.

**- რა იყო მისი კოზირი, სტრატეგია და ფსიქოლოგია?**

- გუტმანს ყველაფერი ჰქონდა. თუ გსურთ, ერთ ამბავს მოგიყვებით.

**- ძალიან გთხოვთ...**

- "რეალთან" ფინალში პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ გასახდელში ნირწამხდარები შევედით. 1:2 ვაგებდით. ყველაზე ცუდი კი ის გახლდათ, რომ საშინლად ვთამაშობდით. არ ჩანდა ის გზა, რომელიც სამეფო კლუბთან გამარჯვებამდე მიგვიყვანდა. გუტმანი მოშორებით სკამზე იჯდა. ყველაფერს აკვირდებოდა და ელოდა, როდის გავჩუმდებოდით. ბოლოს წამოდგა და რაღაცის სათქმელად მოემზადა. ვიფიქრე, ტაქტიკაში განსახორციელებელ აუცილებელ ცვლილებებზე დაგველაპარაკებოდა, თუმცა შევცდი. მოკლედ, ადგა და გვითხრა: ნუ დარდობთ, თამაში მოგებულია. "რეალის" ევროპული წარმატებების ციკლი ამ თამაშის დაწყების წინ დასრულდა. პირი ღია დამრჩა. ვერ მივხვდი, რა გვითხრა.

**- დაუჯერებელი ისტორიაა...**

- დიახ, არაფერს ვაჭარბებ. მეორე ტაიმზე გავედით და სამეფო კლუბმა მესამე ბურთი შეგვიგდო. გავოგნდით და გუტმანისკენ გავიხედეთ. მან თვალი ჩაგვიკრა და დაგვიძახა, გახსოვდეთ, რაც გითხარითო. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ის თამაში 5:3 მოვიგეთ.

**- თქვენს შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე ცხრა გოლი არავის გაუტანია...**

- ასეა, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუ რომელიმე პორტუგალიელი ამ მაჩვენებელს გააუმჯობესებს. ძალიან მინდა, ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. ჩემს თაობას ერთი ნაბიჯი დააკლდა.

**- ესპანეთის ჩემპიონატს თვალს ხომ არ ადევნებთ?**

- რა თქმა უნდა. ვფიქრობ, სეზონის დასკვნითი ნაწილი სერიოზული ბატალიებით აღინიშნება.

**- ქომაგობთ რომელიმე გუნდს?**

- უკვე გითხარით, რომ ესპანეთში ჩემი გუნდი "რეალია". სამწუხაროდ, "ბარსელონას" ხუთი ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ამ ჰანდიკაპის გაბათილებას შეძლებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა







19 ქართველიდან ქულათა მაქსიმუმი ორმა დააგროვა: ლელა ჯავახიშვილმა და ქეთევან არახამია-გრანტმა

ევროპის ჩემპიონატი

# ლაზიერი დაუსვამს

ასეთი უსუსური და გაუმართავი ვებგვერდი, რომელიც დრეზდენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატისთვის არის დამზადებული, იშვიათად შემხვედრია. შეიძლება, პრეტენზიები ყოველთვის გაგიჩნდეს, მაგრამ როცა ტურნირი არასაჭადრაკო ქვეყანაში (მაგ. თურქეთში) ტარდება და დროული და ხარისხიანი მომსახურება ვერ ხერხდება, ნერვები ნაკლებად გეშლება - არ იციან და როცა ისწავლიან, მერე ყველაფერი კარგად იქნებაო, ფიქრობ. საოცარი ის არის, რომ პრობლემები გერმანიაში იქმნება.

მეორე ტურში ქართველებისთვის კარგიც მოხდა და ცუდიც. სიმართლე ითქვას, ასე ყოველ ტურში იქნება - 19 ქართველიდან ყველა ვერ მოიგებს და ამას უნდა შევეჩვიოთ. უბრალოდ, რთულია შეეჩვიო იმ აზრს, რომ **ზურაბ აზმაიფარაშვილს** ორი ტურის შემდეგ არც ერთი (?!) ქულა არ აქვს. მეორე ტურში აზმაიფარაშვილი გერმანელ, უსახელო და დაბალი კვალიფიკაციის **გიუნტერ იანელთან** თეთრებით თამაშობდა, ხარისხითაც დაწინაურდა და უნდა მოეგო კიდეც, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის არქონამ კვლავ დაალალატა და ბავშვური შეცდომის გამო ლაზიერი დაკარგა - ერთსვლიანი მუქარა გამორჩა. ზურაბი შემდეგში ალბათ უფრო სერიოზულად მიუდგება საქმეს - დრო ჯერ კიდევ არის, რომ სათანადო შედეგი აჩვენოს...

სამწუხაროდ, ქართველი ვაჟების უმეტესობამ წააგო: თეთრებით **დავით შენგელია** რუს კონსტანტინ ლანდასთან დამარცხდა; **კონსტანტინე შანავა** - გერმანელ იგორ ხენკინთან; **გიორგი ყაჭეიშვილი** რუმინელ ქრისტიან იანესთან; მოიგეს **თორნიკე სანიკიძემ** და **ბაადურ ჯობავამ**, ყაიმით ითამაშეს **დავით ლობჟანიძემ** და **დავით არუთინიანმა**. განსაკუთრებით არუთინიანის ყაიმია გამოსარჩევი - ერთ-ერთ ფავორიტ **პაველ ელიანოვს** შავებით არ დაეჩაგვრინა.

ქალბატონებში ქულა არ დაუკარგავთ **ქეთევან არახამიას** და **ლელა ჯავახიშვილს**. არახამიამ თეთრებით გერმანელ ელენა ლევუშკინას მოუგო, ჯავახიშვილმა ასევე თეთრებით ბელარუსი ანა შარევიჩი დაამარცხა. მოიგო **სალომე მელიამ** - თეთრებით სერბი იულია მაკკა დაამარცხა. შავებით გაიმარჯვა **ნანა ძაგნიძემ** - მან ჩეხ ევა კულივანას მოუგო. **ნინო ხურციძემ, სოფიო გვეტაძემ, სოფიკო გურამიშვილმა** და **მაია ლომინეიშვილმა** ყაიმით ითამაშეს. უქულოდ არის **მარიამ დანელია** - მარიამმა შავებით გერმანელი ანა დერგაჩოვას შემოტევებს ვერაფერი დაუპირისპირა.

**ზვიად შათირიშვილი**

**მეორე ტური**

ქალები: **ლელა ჯავახიშვილი**-ანა შარევიჩი (ბელ) 1:0 ხაიალა ისქანდეროვა (აზერ.)-**მაია ლომინეიშვილი** 0.5:0.5; **სალომე მელია**-იულია მაკკა (სერ.) 1:0; ევა კულივანა (ჩეხ.)-**ნანა ძაგნიძე** 0:1; **ქეთევან არახამია-გრანტი** -ელენა ლევუშკინა (გერ.) 1:0; **ნინო ხურციძე**-მონიკა გალძეტა (იტა) 0.5:0.5; **სოფიკო ხუხაშვილი** -კატარინა ლაჰნო (უკრ.) 0.5:0.5; ქსენია რიბენკო (უკრ.) -**სოფიო გვეტაძე** 0.5:0.5; სტეფანი შულცი (გერ.)-**სოფიკო გურამიშვილი** 0.5:0.5; ანა დერგაჩოვა (გერ.)-**მარიამ ღანელია** 1:0

ვაჟები: **დავით შენგელია**-კონსტანტინ ლანდა (რუს) 0:1; **კონსტანტინე შანავა**-იგორ ხენკინი (გერ.) 0:1; პაველ ელიანოვი (უკრ.)-**დავით არუთინიანი**-0.5:0.5; ლუკ ვინანტსი (ბელ.)-**მიხეილ მჭედლიშვილი**-0.5:0.5; **გიორგი ყაჭეიშვილი**- ვლად ქრისტიან იანე (რუმ.) 0:1; **ბაადურ ჯობავა**-რენე სტერნი (გერ.) 1:0; **ზურაბ აზმაიფარაშვილი**- გიუნტერ იანელი (გერ.) 0:1; სოტირიოს ლოგოთეეტისი (საბ.)-**დავით ლობჟანიძე** 0.5:0.5; **თორნიკე სანიკიძე**-ხრისტოფ ნატრიდისი (საბ.) 1:0

**მესამე ტური**

ქალები: ირინა ვასილევიჩი (2)-**არახამია** (2), მარტა მიხნა (2)-**ჯავახიშვილი** (2), სვეტლანა ვასილკოვა (1.5)-**ხურციძე** (1.5), კატარინა ლაჰნო (1.5)-**მელია (1.5)**, **ძაგნიძე** (1.5)-იოანა დვორაკოვსკა (1.5), ეკატერინა კორბუტი (1.5)-**ხუხაშვილი**, **გვეტაძე** (1.5)-მარია მუზიჩუკი (1.5), **ლომინეიშვილი** (0.5)-ელენა ჩერედნიჩენკო (1), **გურამიშვილი** (0.5)-ვერენა ნაგელი (0.5), **დანელია** (0)-სოფი ზეებერი (0)

ვაჟები: იური კუზუბოვი (1.5)-**ჯობავა** (1.5), **არუთინიანი** (1.5)-ვლადისლავ ტკაჩევი (1.5), **მჭედლიშვილი** (1.5)-თომას პეტრიკი (1.5), **სანიკიძე** (1) - კარენ ასრიანი (1), ალინ არდელანუ (1)-**ყაჭეიშვილი** (1), პაველ პოტაპოვი (1)-**შანავა** (1), აიოლდას სვიცკასი (1)- **შენგელია** (1), **ლობჟანიძე** (0.5)-ბიორნ ბენტე (0.5), ბერნდ სალევსკი (0.5) - **აზმაიფარაშვილი** (0)

რეიტინგი

# ოთხი ქართველი ასეულში

1 აპრილს ფიდემ ყოველკვარტალური რეიტინგი გამოაქვეყნა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ბულგარელმა **ვესელინ ტოპალოვმა** პირველობა დაკარგა და მეორე საფეხურზე ჩამოქვეითდა. პირველი ადგილი კი ინდოელმა **ვიშვანათან ანანდმა** დაიკავა - მისი მაჩვენებელია 2786 (+7), ტოპალოვმა 11 პუნქტი დაიკლო და ახლა 2772 ქულის პატრონია. მესამე ადგილზე მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, რუსი **ვლადიმერ კრამნიკია** - 2772 (+6). 2700-იან ზღვარს ზემოთ 20 მოჭადრაკეა: 4. **ალექსანდრ მოროზევიჩი** (რუს) 2762 (+21); 5. **ლევონ არონიანი** (სომ) 2759 (+15); 6. **შახრიარ მამედიაროვი** (აზე) 2757; 7. **თეიმურ რაჯაბოვი** (აზე) 2747; 8. **პეტერ ლეკო** (უნგ) 2738 (-11). 9. **პეტრ სვიდლერი** (რუს) 2736 (+8); 10. **მაიკლ ადამსი** (ინგ) 2734 (-1); 11. **ბორის გელფანდი** (ისრ) 2733 (0); 12. **ვასილი ივანჩუკი** (უკრ) 2729 (-21); 13. **იუდით პოლგარი** (უნგ) 2727 (0); 14. **დავიდ ნავარა** (ჩეხ) 2720 (+1); 15. **რუსლან პონომარევი** (უკრ) 2717 (-6); 16. **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუს) 2717 (0); 17. **ეტიენ ბაკრო** (საფ) 2709 (+4); 18. **დმიტრი იაკოვენკო** (რუს) 2708 (+17); 19. **გატა კამსკი** (აშშ) - 2705 (0); 20. **ვლადიმირ აკოფიანი** (სომ) 2703 (+3).

ქართველები ტოპოცეულში არ არიან, თუმცა ასეულში ოთხი ჩვენებურია. 2700-იან ზღვართან ყველაზე ახლოს **ბაადურ ჯობავაა**, რომელსაც 2658 ქულა აქვს. ბაადურმა 8 პუნქტი შემატა ადრინდელ მაჩვენებელს. მეორეა **ზვიად იზორია**, რომელსაც 2641 (-3) ქულა აქვს. მესამეზე **ზურაბ აზმაიფარაშვილია** 2632 ქულით. ზურაბი ამ, მისთვის უჩვეულო ამპლუაში (ქართველებში მესამე პოზიციაზე) მეორედ არის, თუმცა იანვრიდან დღემდე არსად უთამაშია და ქულები არც მოჰკლებია და არც მიმატებია.

დიდი ნახტომი გააკეთა წინ **მერაბ გაგუნაშვილმა** 2625 (+14), ასეულში ჩვენებურებს შემდეგი პოზიცია უკავიათ: ჯობავა - 45-ე; იზორია - 73-ე; აზმაიფარაშვილი - 87-ე და გაგუნაშვილი - 96-ე.

ცვლილებები ქალთა ზედა 50-ეულშიც არის. პირველი კვლავ **იუდით პოლგარია**; მეორეზეა ინდოელი **ჰუმპი კონერუ** - 2575; მესამე - შვედი **პია კრამლინგი** - 2535.

**მაია ჩიბურდანიძე** მეშვიდეა 2510 ქულით. არც მას არ უთამაშია ბოლო სამ თვეში და ძველი მაჩვენებელი აქვს. სამაგიეროდ ითამაშეს **ნინო ხურციძემ, ნანა ძაგნიძემ** და სხვა ქართველმა მოჭადრაკეებმა. ყველაზე შედეგიანი ხურციძე იყო, რომელმაც 18 პუნქტი მოიმატა და დღეისთვის 2469 ქულა აქვს; საერთო ცხრილში კი მეცხრამეტეა. ძალიან ბევრი დაიკლო ძაგნიძემ - 34 და ახლა 2429 ქულა აქვს, რაც 33-ე ადგილს უდრის. 32-ეა **ქეთევან არახამია-გრანტი** - მანაც დაიკლო მცირედი - 6 პუნქტი. ოთხით მოიმატა **ლელა ჯავახიშვილმა** და 2425 ქულით 38-ეა; **სოფიო გვეტაძემ** ხუთი პუნქტი კი დაიკლო, მაგრამ ორმოცდაათეულში ადგილი შეინარჩუნა - 46-ეა 2411 ქულით.

ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ 2600 და მეტი რეიტინგის მქონე 8 მოჭადრაკე გვყავს. მიუხედავად ამისა, საერთო ტენდენცია კლებისკენ არის. იმედია, მომავალში კლებას მატება შეცვლის.

ქართული ათეული ასეთია: 1. **ბაადურ ჯობავა**-2658; 2. **ზვიად იზორია**-2641; 3. **ზურაბ აზმაიფარაშვილი**-2632; 4. **მერაბ გაგუნაშვილი**-2625; 5. **ლევან ფანცულაია**-2616; 6. **გია გიორგაძე**-2610; 7. **მიხეილ მჭედლიშვილი**-2609; 8. **თამაზ გელაშვილი**-2605; 9. **გიორგი ყაჭეიშვილი**-2587; 10. **დავით არუთინიანი**-2541.

ქალთა ათეული: 1. **მაია ჩიბურდანიძე**-2510; 2. **ნინო ხურციძე**-2469; 3. **ქეთევან არახამია-გრანტი**-2431; 4. **ნანა ძაგნიძე**-2429; 5. **ლელა ჯავახიშვილი**-2425; 6. **სოფიო გვეტაძე**-2411; 7. **მაია ლომინეიშვილი**-2399; 8. **სალომე მელია**-2394; 9. **ანა მათნაძე**-2384; 10. **ნონა გაფრინდაშვილი**-2364.

შეგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონატების შედეგები ახალ რეიტინგში გათვალისწინებული არაა.



ვიში ანანდმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა



დავით ბენიძე

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

# ყოველდღე ახალი ლიდერია

შვიდიდან შვიდი გამარჯვება - **ქეთი ნაწალაშვილმა** გუშინ შავებით მოუგო **ფატი რიჟამაძეს** და უდანაკარგო სვლას აგრძელებს. ალბათ უკვე ჩემპიონობაზეც შეიძლება ნაადრევად ფიქრი, რაც ვუთხარი კიდეც პარტიის დასრულების შემდეგ, მაგრამ გაიოცა და მიპასუხა - ჯერ ხომ ორი ტურია დარჩენილი, რა დროს ჩემპიონობააო? კარგიცაა, თუ გულს არ დაიარხეინებს.

დიდი მოულოდნელობაა **მერი არაბიძის** სუსტი თამაში. გუშინდლამდე მას კიდევ ჰქონდა საპრიზოზე გასვლის შანსი, მაგრამ თეთრებით **თინათინ ბერიძესთან** ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, გვაოცებს თინათინი - ის მეორე ადგილზეა 6 ქულით, ის ქულაც სწორედ ნაწალაშვილთან დაკარგა.

რეიტინგ ფავორიტმა **სალომე ხაჟომიამ** გუშინ მოიგო, მაგრამ 5.5 ქულით ჩემპიონობისთვის ალბათ ველარ იბრძოლებს, მეორე ადგილზე გასვლის შანსი კი ნამდვილად აქვს - დღეს შავებით სწორედ უშუალო კონკურენტს, თინათინ ბერიძეს ხვდება.

ჭაბუკებშიც ერთპიროვნული ლიდერი გვყავს, მაგრამ გოგონებისგან განსხვავებით, ლიდერი ყოველდღე იცვლება: მეექვსე ტურამდე **ლუკა პაიჭაძე** ლიდერობდა, მეექვსეს შემდეგ **დავით ლომსაძე** დაწინაურდა, მეშვიდესთვის კი ცხრილს სათავეში უკვე **დავით ბენიძე** მოექცა.

გუშინ ლომსაძე ბენიძეს ხვდებოდა. ლომსაძემ დებიუტი უკეთ გაითამაშა და ბევრად უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შუა თამაშში მოწინააღმდეგის მარტივი ტაქტიკური სვლა გამოეპარა და მატერიალური ზარალი ნახა. ბენიძემ მოსაგები პოზიცია ტექნიკურად ზუსტად წარმართა და გაიმარჯვა. დღეს პირველ დაფაზე ბენიძეს თანაქალაქელი **ზურაბ ჯავახაძე** დაუპირისპირდება შავებით.

დღეს. გოგონები: **ქეთი ნაწალაშვილი** (7)-**ნათია ჯალაბაძე** (5); **თინათინ ბერიძე** (6)-**სალომე ხაჟომია** (5.5); **მერი არაბიძე** (4.5)-**მარიამ სულამანიძე** (4.5); **ფატი რიჟამაძე** (4.5)-**მარიამ ბაიაძე** (4.5); **ანა შამათავა** (4)-**ელისაბედ ზარქუა** (4); **თეკლა ფარჯიანი** (4)-**ლელა უგულავა** (4); **ანა კუჭავა** (4)-**ანა გალდავაძე** (4).

ჭაბუკები: **დავით ბენიძე** (6)-**ზურაბ ჯავახაძე** (5.5); **ლუკა პაიჭაძე** (5.5)-**ირაკლი ჯანიაშვილი** (5.5); **დავით ლომსაძე** (5.5)-**ზვიად ფაცია** (5); **გიორგი ნიკოლიშვილი** (5)-**ნოდარ დავარაშვილი** (5); **გიორგი ლაცაბიძე** (4.5)-**დიმიტრი კვარაცხელია** (5); **თორნიკე გაბუნია** (4.5)-**არჩილ ამირხანაშვილი** (4.5).

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. 6-8 აპრილი

# ვინ დაგვიხვდება ბელგრადში?

ნამყვანმა ევროპულმა ქვეყნებმა უკვე დაასახელეს 6-8 აპრილს ბელგრადში, ევროპის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობები. მათი მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ფალავნებს მედლებისთვის ბრძოლა ისევ ნაცნობ მეტოქეებთან მოუწევთ, თუმცა ზოგიერთ გუნდში საინტერესო სიახლეებია.

ალბათ, ლიდერთაგან ყველაზე საინტერესო გუნდი ფრანგებმა შემოგვთავაზეს - **დმიტრი დრაგინი** (60, სათადარიგო - ჟერემი კადუ დიუკი), **ბენჟამენ დარბელე** (66, აჰმედ ოულ საიდი), **დანიელ ფერნანდესი** (73, ჟილ ბონომი), **ალან შმიტი** (81, ანტონი როდრიგესი), **ოსკარ ბრისონი** (90, მეთიუ დეფერვილი), **ფრედერიკ დემონფოკო** (100, ტიერი ფაბრი), **ტედი რინერი** (მძიმე, **მათიო ბატე**).

აქ საინტერესოა დრაგინისა და რინერის გამოჩენა, ხოლო დემონფოკოს ზედა წონაში აწევა. რუსული სახელის მქონე შავკანიან ფრანგ დრაგინს ჩვენც კარგად ვიცნობთ - შარშან თბილისის ტურნირი მოიგო, გზად კი **ნესტორ ხერგიანიც** დაგვიმარცხა და ფინალში იაპონელ **ჰიროაკი ჰიროაკასაც** მოუგო. სამწუხაროდ, დრაგინმა ხერგიანს წლეულსაც მოუგო - პარიზის ტურნირზე, სადაც მესამე ადგილზე გავიდა. ძალიან ტექნიკურმა, სწრაფმა და მოქნილმა ფრანგმა შარშანვე ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი ნაკრებში მოხვედრა დროის საკითხი იყო და ჩანს, ეს დროც დადგა. არადა, ბოლო წლებში ფრანგებს ამ წონაში ევროპის 2002 წლის ჩემპიონი **იასენ დუმა** (იმ სეზონში მან თბილისის ტურნირიც მოიგო) და ორი ვიცე-ჩემპიონი ჰყავდათ - **სირილ სოიერი** და **ერიკ დესპაზელი**.

რაც შეეხება **ტედი რინერს**, ჩვენი მწვრთნელები მას ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **დავიდ დუიეს** შემცვლელად ასახელებენ, შოთა ხაბარელი კი ფრიად შეფიქრიანებულიცაა. 18 წლის პარიზელმა რინერმა შარშან ახალგაზრდებში დუბლი გააკეთა - ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც, ძლიერად იჭიდავა საფრანგეთის ჩემპიონატშიც - მეოთხედფინალში ეროვნულ ნაკრებში არაერთგზის გამოცდილი **ჟან ბონვუაზენი** დაამარცხა, ნახევარფინალში კი მსოფლიოს მესამე პრიზიორი **პიერ რობენიც** დადო ბეჭებზე. მართალია, ფინალში **მათიო ბატესთან** ვაზარით დამარცხდა, სამაგიეროდ, საერთაშორისო ტურნირებში აჯობა - პარიზისა და ჰამბურგის მსოფლიოს სუპერთასებზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, კონკურენტებმა კი ვერ ივარგეს. ბატემ რანგით დაბალი მსოფლიო თასები კი მოიგო, მაგრამ ამან ვერ უშველა, რადგან მწვრთნელთათვის მთავარი ფაქტორი სუპერთასები აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ რინერიმ ორივე სუპერთასზე დაამარცხა უნგრელი **ბარნა ბორი**, ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი და ჩვენი მოჭიდავეების უხერხული მეტოქე. ამასთან, ჰამბურგში უძლიერეს ჰოლანდიელ **დენის ფან დერ ხესტთან** მოგებაც მიითვალა, პარიზში კი თანამემამულე **ფრედერიკ ლეგანიეს**, სანაკრებო ადგილის კიდევ ერთ მოცილეს მოუგო.

ცოტა უცნაური მსოფლიო ჩემპიონისა და ოლიმპიურ პრიზიორ დემონფოკოს 100 კილოში გამოჩენა. წესით, 33 წლის ფალავანი ტატამიდან წასასვლელად უნდა ემზადებოდეს და არა წონის შესაცვლელად, მაგრამ ჯერაც ნაკრებშია. არადა, წლეულს საფრანგეთის ჩემპიონი მისთვის ჩვეულ 90-ში გახდა, საერთაშორისო ტურნირებიც იქ იჭიდავა, მაგრამ საევროპოდ მაინც ზევით აინაცვლა. სავარაუდოდ, ასაკოვანი ფალავანი მწვრთნელებმა წონის დასაკლებად არ გაწირეს, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, მწვრთნელები ამას საოლიმპიადოდაც აკეთებენ.



საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებების ერთობლივი შეკრება თბილისში, ნოემბერში

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **გისლენ ლემერს** შემოდგომაზე გამართული მსოფლიოს გუნდური პირველობის შემდეგ არც უჭიდავია, უმისოდ კი ამ წონაში კრიზისია.. მართალია, 2005 წელს ფრანგებს ამ წონაში **ქრისტოფ იუმბერი** ევროპის ჩემპიონი გაუხდათ, მაგრამ ეს მისთვის „გედის სიმღერა" აღმოჩნდა - მას შემდეგ ტურნირებშიც იშვიათად ჩანს, ხოლო მისი შემცვლელი **ტიერი ფაბრი** იმედებს ვერ ამართლებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ფაბრი საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონია, მწვრთნელებმა კი მაინც დემონფოკო ამჯობინეს. თუ ის იმედებს გაამართლებს, ალბათ საბოლოოდ გადაიყვანენ ზედა წონაში.

მისი წასვლით **ირაკლი ცირეკიძეს** საქმე გაუადვილდება - **ნიკოლა ბრისონი** გაცილებით სუსტი მეტოქეა. სხვა წონებში ნაცნობი ლიდერებია - **დავით ქევხიშვილის** მეტოქე ისევ ფერნანდესი იქნება, ვინც ქაიროში, მსოფლიო პირველობაზე ბრწყინვალედ დაამარცხა. **ზაზა კედელაშვილმა** შარშან კონტინენტის ჩემპიონობა დარბელესთან ფინალურ ბრძოლაში მოიპოვა და ტიტულის ერთ-ერთი მოცილე კვლავაც ევროპის ჩემპიონი ფრანგი იქნება. დებიუტანტი არც **ალან შმიტია**.

ნაკლები ცვლილებებია რუსთა გუნდში: **რუსლან კიშმახოვი** (60), **ალიმ გადანოვი** (66), **სალამუ მეჯიდოვი** (73), **სირაზუდინ მაგომედოვი** (81), **ივან პერშინი** (90), **რასულ გასიმოვი** (100) და **ალექსანდრ მიხაილინი** (მძიმე).

აქ სიახლე მხოლოდ გადანოვის გამოჩენაა, რომელიც დებიუტანტი იქნება. 24 წლის ნალჩიკელი ფალავანი წლეულს რუსეთის ჩემპიონი გახდა, მერე კი პოლონეთის მსოფლიო თასზე ბრინჯაო მოიპოვა. პრინციპში, რუსებს დიდი არჩევანი არც ჰქონდათ, რადგან კარგა ხანია, ქვედა წონებში კრიზისი აქვთ. ჩვენთვის დამაფიქრებელია კიშმახოვის გამოჩენაც, რომელიც მეთოდურად მიიწევდა ნაკრების ლიდერობისკენ. მან საბოლოოდ დაასრულა **ევგენი სტანევისა** და **ევგენი კუდიაკოვის** ხანა, რომლებსაც ხერგიანი იოლად უმკლავდებოდა, კიშმახოვთან კი რამდენჯერმე დამარცხდა. შემოდგომაზე, მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ქევხიშვილმა იოლად მოუგო მეჯიდოვს, მაგრამ ძნელი საქმელია, რას იზამს ახლა, ნაოპერაციები და ტატამზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებული.

დღესავით ნათელია, რუსები ევროპას ზედა სამი წონით ემუქრებიან, სადაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მიხაილინი და ევროპის ორი ჩემპიონი - პერშინი და გასიმოვი გამოდიან.

ძველი ლიდერები კი არ ჩანან. მაგალითად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი **ვიტალი მაკაროვი** (73), ოლიმპიური პრიზიორი და პრეზიდენტ პუტინის საყვარელი ფალავანი **დმიტრი ნოსოვი** (81), ოლიმპიური პრიზიორი **ხასამბი ტაოვი** (90) და მსოფლიოს პრიზიორი **დმიტრი კაბანოვი** (100). არაა გამორიცხული, მსოფლიოზე რომელიმე მათგანი ისევ ვიხილოთ "ორთავა არწივის" ნაკრებში.

ბრიტანეთის შემადგენლობა ასეთია: **კრეიგ ფელონი** (60), **ჯონ რენე ბადრიცკი** (66), **მეტიუ პერსი** (73), **იუან ბარტონი** (81), **ვინსტონ გორდონი** (90), **პიტერ გუსინსი** (100) და **ჯო დელეი** (მძიმე). ამათგან 17 წლის ბადრიცკი და პერსი დებიუტანტები არიან, გუსინსი კი შარშან ევროპის მესამე პრიზიორი გახდა. ცხადია, ბრიტანელთა მთავარი იმედი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ფელონია. შესაძლოა, გორდონისა და ქართველების ათენში დაწყებული მეტოქეობა ახლაც გაგრძელდეს - მაშინ ოლიმპიადაზე იგი ზვიადაურმა დაამარცხა ნახევარფინალში, შარშანდელ ევროპაზე კი ინგლისელმა მოუგო ცირეკიძეს.

ძალიან ძლიერი შემადგენლობა ეყოლებათ ჰოლანდიელებს: **რუბენ ჰოუკესი** (60), **დაქს ელმონტი** (66), **ჰენრი სხუმანი** (73), **გიიომ ელმონტი** (81), **მარკ ჰუზინგა** (90), **ელკო ფან დერ ხესტი** (100) და **დენის ფან დერ ხესტი** (მძიმე). ამ გუნდში ორი მსოფლიო ჩემპიონია - ელმონტი და მძიმეწონოსანი ფან დერ ხესტი, რომელიც ოლიმპიური პრიზიორიცაა. სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი ჰუზინგა მეხუთედ შეეცდება კონტინენტის საუკეთესოს ტიტულის მოპოვებას. ეს დიდებული სპორტსმენი ისე მიდის ტატამიდან, მსოფლიო ჩემპიონობას ვერ ეღირსა, ბელგრადში კი მისი მეორე საზრუნავი მეუღლის, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონ **ედიტ ბოსხის** ქომაგობაც იქნება. აღსანიშნავია, რომ ბოსხი მსოფლიო ჩემპიონიცაა. აქ კიდევ ერთხელ ვახსენებთ ნესტორ ხერგიანს, რომელსაც შარშანდელ ევროპაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლა ჰოუკესთან მსაჯებმა წააგებინეს. წლეულს რევანშის დროა.

ძლიერთაგან გერმანელების შემადგენლობა მოვიპოვეთ, რომლებსაც 60-ში მონაწილე არ ეყოლებათ, სხვა წონებში კი **იოანეს ჰერცოგი** (66), **მარიო შენდელი** (73), **ოლე ბიშოფი** (81), **მიხაელ პინსკე** (90), **დმიტრი პეტერსი** (100) და **ანდრეას ტოლცერი** (მძიმე) იჭიდავებენ. ამათგან ტიოლცერი ევროპის შარშანდელი ჩემპიონია, ბიშოფი - შარშანწინდელი, პეტერსმა კი შარშან ბრინჯაო მოიპოვა. ალბათ, დიდად მოულოდნელი არაა გუნდიდან ოლიმპიურ პრიზიორ **მიხაელ იურაკის** (100) ამოვარდნა.

ასევე არასრული გუნდებით გამოვლენ პოლონეთი და ავსტრია. ბევრისთვის მოულოდნელად, პოლონელებს მძიმეწონოსანი **იანუშ ვოინაროვიჩი** დააკლდებათ, ვინაც ევროპის ბოლო ორ პირველობაზე ზედიზედ მოიპოვა ვერცხლის მედლები. ეტყობა, პოლონელები გამოთქმას - მესამე და სამართლიო, არ სწყალობენ. მათი შემადგენლობა ასეთია: **კამილ სულეკი** (60), **ტომაშ ადამიში** (66), **პაველ ზიდაკი** (73), **რობერტ კრავჩუკი** (81), **კშიშტოფ ვეგლარცი** (90) და **პრჟემისლავ მატიაშეკი** (100).

ავსტრია ისედაც, ძირითადად, ერთი ფალავანის - **ლუდვიგ პაიშერის** (60) გუნდია, მის გარდა კი ბელგრადში **ანდრეას მიტფელნერი** (66), **ქრისტოფ შტანგლი** (73), **ფლორიან რინერტალერი** (81) და **ფრანც ბიკფელნერი** (100) იჭიდავებენ, 90-ში და მძიმეში კი მონაწილე არ ეყოლებათ.

საბრძოლოა ესპანელთა შემადგენლობა. **კენძი უემაცუ** (60), ევროპის ჩემპიონი **ოსკარ პენიასი** (66), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **კიოში ეუმაცუ** (73), **ხორხე ბენავიდესი** (81), ევროპის ჩემპიონი **დავიდ ალარსა** (90), **ივან რამონ ვეგა** (100) და **ანხელ პარა** (მძიმე). უძლიერესი გუნდითაა იტალიაც: **ფაბრიციო პიატი** (60), **ალესანდრო ბრიუერი** (66), **ფრანჩესკო ბრიუერი** (73), ოლიმპიური ჩემპიონი **ჯუზეპე მადალონი** (81), ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **რობერტო მელონი** (90), ევროპის ჩემპიონი **ფრანჩესკო ლეპრე** (100) და მსოფლიოს პრიზიორი **პაოლო ბიანკესი** (მძიმე). ძლიერია უნგრეთის გუნდიც: **ლასლო ბურიანი** (60), ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **მიკლოშ უნგვარი** (66), ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **აკოშ ბრაუნი** (73), **შანდორ ნადისოლიმოში** (81), **ტომაშ ნემეტი** (90), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ჰადფი** (100) და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **ბარნა ბორი** (მძიმე).

ტრადიციულად, ძლიერი გუნდით იასპარეზებს აზერბაიჯანის ნაკრებიც - მსოფლიოს პრიზიორი და პარიზის წლევანდელი სუპერთასის გამარჯვებული **ნიჯატ შიხალიზადე** (60), **რამილ გასიმოვი** (66), ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ელნურ მამადლი** (73), **მემან აზიზოვი** (81), **ელხან მამედოვი** (100) და მსოფლიოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (მძიმე). ამ შემადგენლობას მხოლოდ სახელოვანი **ელჩინ ისმაილოვი** (66) აკლია.

გადახალისებულია უკრაინელთა გუნდი, რომელმაც ბოლო დღეებში მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა - ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე კისრის კუნთები დაიზიანა ევროპის ორგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა **გენადი ბილოდიდმა** (73). ექიმებმა მის ნაცვლად ხარკოველ **ვიქტორ სავინოვს** უხმეს, ბილოდიდი კი რომისა და მოსკოვის ტურნირებისთვის მოემზადება, ბელგრადში კი სხვა წონებში **მაქსიმ კოროტინი** (60), **სერგეი დრებოტი** (66), **სერგეი ბალაბანი** (81), **ვალენტინ გრეკოვი** (90), **არტიომ ბლოშენკო** (100) და **ევგენი სოტნიკოვი** (მძიმე). ამ გუნდს აკლია ოლიმპიადის ვიცე ჩემპიონი **რომან გონტიუკი** (81) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ვიტალი ბუბონი** (100). დოპინგის მიღებისთვის მოხდილი ერთწლიანი სასჯელის შემდეგ გუნდს ევროპის ორგზის ჩემპიონი გრეკოვი დაუბრუნდა.

ტრადიციულად, ქართველებითაა გაძეძგილი ბერძენთა ნაკრებიც - ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ალექსანდროს გორტეევი** (აკაკი ხანიშვილი; 60), ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **ტარიელ ზინტირიდისი** (სონიშვილი; 66), **პაველ ნტანკო** (73), **ვაჟა ზინტირიდისი** (იმედაშვილი; 81), ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** (ჯარჯი ზვიადაური; 90) და **ტენტორე მასმანიდისი** (თედორე ებელაშვილი;100). 6 კაციდან და 5 ქართველია!

სხვა გუნდები არაა იმდენად ძლიერი, მათზე ყურადღება საგანგებოდ შევაჩეროთ, თუმცა გეტყვით, რომ პორტუგალიელები, შვეიცარიელები, ბელგიელები, ჩეხები, რუმინელები თუ სხვები თავიანთ თითო-ოროლა ვარსკვლავს ნამდვილად იახლებენ.

დასასრულს, ჩვენების შემადგენლობას კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე). ჩვენები გუშინ დაბრუნდნენ ბორჯომიდან, სადაც ბოლო შეკრება ჩაატარეს, ამ დილით კი ბელგრადში უკვე გაფრინდნენ.

**ირაკლი თავაძე**

## პროფესიული კრივი

სარეიტინგო ორთაბრძოლები

# ქამარი და სასჯელი

| დღეს |
|---|
| 54 კგ, 4 რაუნდი |
| ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი) - გიორგი ყველაშვილი თბილისი) |
| 62 კგ, 6 რაუნდი |
| ნოდარ ცხოვრებაძე (დედოფლისწყარო)-ნიკა ავეტისიანი (ბორჯომი) |
| 66 კგ, 4 რაუნდი |
| დავით ფალევანიანი (ბორჯომი)-გიორგი გოგებაშვილი (გორი) |
| 72 კგ,4 რაუნდი |
| მიხეილ ხუციშვილი (ვარიანი)-გიორგი ზალიკალიანი (თბილისი) |
| **54 კგ. 10 რაუნდი. (საქართველოს ქამრისთვის)** |
| ნიკოლოზ ბერკაცაშვილი (ვარიანი)-კახა ტოკლიკიშვილი (დედოფლისწყარო) |

**ვერის ბაღში მდებარე პროფესიული კრივის ასოციაციის დარბაზში დღეს გაიმართება მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები და რიგით მეოთხე საქართველოს ქამარიც გათამაშდება.**

ამჯერად, ქამარს პირველი პატრონი გამოუჩნდება 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც **ნიკოლოზ ბერკაცაშვილი** და **კახა ტოკლიკიშვილი** გაარკვევენ ურთიერთობას. ამ შეხვედრამდე კი ოთხი სარეიტინგო ორთაბრძოლა გაიმართება. შეხვედრები კვლავ 17 საათიდან დაიწყება.

დღეს ან ხვალ, პროფესიული კრივის ფედერაცია ჩაატარებს გამგეობის სხდომას, სადაც წინა ხუთშაბათს მომხდარ ორ ინცინდენტს განიხილავს. კონკრეტულად, იმსჯელებენ **თეიმურაზ საბაშვილის** საკითხზე, რომელიც მეტოქეს არ გამოუცხადდა და ბრძოლა ჩაშალა. ამას გარდა, საქართველოს ქამარზე ბრძოლაში, **შალვა ჯომარდაშვილსა** და **ლევან შონიას** სერიოზული შეხლა-შემოხლა მოუვიდათ. კრივის ასოციაცია, სავარაუდოდ, სამივე მოკრივეს დასჯის.

საკრივო თემა კი იმით დავამთავროთ, რომ მალე, ქართველი მოკრივეები ევროპისა და მსოფლიო კლასიფიკაციის მორიგ სარეიტინგო ბრძოლებს ჩაატარებენ საზღვარგარეთ. 13 აპრილს, რუმინეთში იკრივებენ **კახა ავეტისიანი** (55 კგ) და **პაატა ბერიკაშვილი** (90), ხოლო 19 აპრილს, **გარი აბაჯიანი** (62) კიევში იჩხუბებს. ამას გარდა, დაახლოებით ერთ კვირაში, საბოლოოდ გაირკვევა იმ კლუბისა და მენეჯერის ვინაობა, რომლებსაც დაუკავშირდებიან ამერიკაში წასასვლელად გამზადებული ძმები **შალვა და ლევან ჯომარდაშვილები**.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

NBA. წინასადრაფტო შეკრება

# ბატუმი, კასპი და ტრავმიანი ნატახტრელი




გიორგი შერმადინი

**გიორგი შერმადინი** ამერიკის ქალაქ მემფისში წინასადრაფტოდ შეკრებილ მსოფლიო ნაკრებს რომ შეუერთდა, გუშინდელ ნომერში გაცნობეთ. ამ სასიამოვნო ამბავს დღეს ცუდი უნდა მოვაყოლოთ - გიორგიმ ტრავმა მიიღო და ერთი ვარჯიში გამოტოვა. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავარკვიეთ, ტრავმა რამდენად სერიოზულია და როდის დაუბრუნდება ქარველი მოედანს.

საწვრთნელი პროცესის მეორე დღეზე მემფისის ერთ-ერთ გაზეთში აშშ-ს კოლეჯების ლიგის სკაუტმა **მაიკ შმიდტმა** საკუთარი აზრი გამოთქვა. რამდენიმე ეპიზოდი ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს.

*"გამოგიტყდებით, მემფისში უმთავრესად ტანმაღალ კალათბურთელებზე დასაკვირვებლად ჩავედი. მაინტერესებდა, რას წარმოადგენდნენ ფრანგი ალექსის აინცა, ნიგერიელი სოლომონ ალბი, ფრანგი ნიკოლას ბატუმი, ქართველი გიორგი შერმადინი და ებრაელი ომარი კასპი.*

*ყველაზე მეტად აინცამ გამაოცა. 215 სმ. სიმაღლის ფრანგი NBA-სთვის უკვე მომწიფებული ჩანს. დრაფტის ათეულში უნდა მოხვდეს მისი თანამემამულე ნიკოლა ბატუმიც. სოლომონ ალბი ათლეტურია, ხოლო ომარი კასპის თამაშის შესაშური ალღო აქვს.*

*დარბაზში მისულს, ძალიან მაინტერესებდა ქარველი ცენტრის, გიორგი შერმადინის შეთვალიერებაც, მაგრამ იგი მოედანზე არ ჩანდა. გიორგის წინა ვარჯიშისას ფეხის ტრავმა მიუღია და საწვრთნელ პროცესს თვალს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა".*

შერმადინის ჯანმრთელობის ამბის შესატყობად გუშინ ნატახტარში მის ძმას, სოსოს შევეხმიანეთ. "ტრავმა სერიოზული არ არის. კუნთი მცირედით გაეჭიმა და მწვრთნელებმა ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, გიორგის ერთდღიანი დასვენება გამოუწერეს. ხვალიდან იგი ვარჯიშს ჩვეულებრივად გააგრძელებს", - გვითხრა **სოსო შერმადინმა**.

აქვე კიდევ ერთ ახალ ამბავს გამცნობთ. მემფისში მწვრთნელ **ჯამლეტ ხუხაშვილსა** და გიორგი შერმადინს შეუერთდა **ვლადიმერ სტეფანია**, რომელიც თანამემამულეების გვერდით 7 აპრილის მსოფლიო-აშშ-ს ნაკრებთა მატჩამდე დარჩება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. U-21

# დანიაში, დანაკლისით და მოუმზადებლად

საქართველოს 21-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები გუშინ საღამოს გაფრინდა დანიაში, სადაც 6-8 აპრილს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

ქართველი ახალგაზრდების მეტოქეები მასპინძლების გარდა, იქნებიან უკრაინელები და ლატვიელები. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს ჩვენი ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი. ანალოგიურ ტურნირზე ბოლოს 2005 წელს, პოლონეთში ვითამაშეთ, სადაც მასპინძლებთანაც წავაგეთ, ფრანგებთანაც, რუსებთანაც და შესაბამისად, ბოლო ადგილზე გავედით.

თუკი 2005 წელს გუნდი ასე თუ ისე, მომზადებული მაინც წავიდა საკვალიფიკაციო ეტაპზე, ამჯერად, მომზადებას ვინ ჩივის, უფულობის გამო, კინაღამ საერთოდ გამოტოვა ეს ტურნირი. მართალია, ბოლოს ფული გამოჩნდა, მაგრამ ნაკრებმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ გუშინ შეიკრიბა პირველად, ერთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და გუშინვე გაფრინდა დანიაში.

პრობლემებია შემადგენლობაშიც. იგივე უფულობის გამო, ტურნირზე მხოლოდ 12 ხელბურთელი წავიდა. არადა, ოფიციალურად, განაცხადში 14 მოთამაშის შეყვანა შეგვეძლო. დანიაში ვერ მიდის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი კეკელიძე**, გუნდს მისი თანაშემწე **ბექა ორჯონიკიძე** დამოძღვრავს.

დანიაში წასვლის წინ, ბექა ორჯონიკიძეს გავესაუბრეთ.

- სამწუხაროდ, ფაქტობრივად, მოუმზადებლებს გვიწევს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში. მხოლოდ დღეს მოვახერხეთ გუნდის შეკრება და დანიაში ერთადერთი საკონტროლო მატჩის ამარა მივდივართ, რომელიც სტუ-"შევარდენთან" ჩავატარეთ. ცუდია ისიც, რომ გარკვეული პრობლემების გამო, დანიაში ვერ წამოვა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე.

ვერ ვიტყვი, რომ ნაკრების თორმეტივე წევრი იდეალურ ფორმაშია. ამასთან, არც მოსამზადებლად გვაქვს ბევრი დრო. ამიტომაც, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ დანიასთან, უკრაინასა და ლიტვასთან თამაში ძალიან გაგვიჭირდება. ამ გუნდებს რა პირობებიც აქვთ, ჩვენ ალბათ კიდევ კარგა ხანს არც კი დაგვესიზმრება.

მიუხედავად, ამისა, დანიაში მხოლოდ სასეირნოდ არ მივდივართ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თავი არ შევირცხვინოთ და ვნახოთ...

**საქართველოს ნაკრები დანიაში ასეთი შემადგენლობით მიდის:**

მეკარეები: **გაგა სამყურაშვილი** (სტუ-შევარდენი), **გიგა ტორონჯაძე** (ქარიშხალა)

მოედნის მოთამაშეები: **ილია გოგალაძე, დავით საჯაია, ლევან ბერძენიშვილი, რატი მსხვილიძე, ირაკლი ჩიქოვანი** (ყველა სტუ-შევარდენი), **ირაკლი ქირია** (თბილისი), **ვანო ქარდავა, აკაკი ყაველაშვილი, უჩა მაისურაძე** (იმედი), **ზურაბ მელქოშვილი** (ქარიშხალა)

**კობა ხატისაშვილი**

| 6 აპრილი |
| --- |
| ლიტვა-საქართველო |
| დანია-უკრაინა |
| **7 აპრილი** |
| საქართველო-დანია |
| უკრაინა-ლიტვა |
| **8 აპრილი** |
| უკრაინა-საქართველო |
| დანია-ლიტვა |

## რაგბი

ევროპის ჩემპიონატი, U-18

# ადგილი შევინარჩუნეთ

**საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატის მეორე შეხვედრაში, პორტუგალია 17:8 დაამარცხა და ელიტარულ A ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა. ახლა ჩვენები 7 აპრილს, მეხუთე ადგილისთვის რუმინელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.**

**საქართველოს ნაკრების მენეჯერმა ნიკო ჭავჭავაძემ გვიამბო, რომ თამაში მძიმე გამოდგა. გადაუღებლად წვიმდა, ერთ მომენტში სეტყვაც წამოვიდა.**

- მინდვრის ცუდი საფარის გამო მწვრთნელებმა ლევან მაისაშვილმა და ბადრი ბოხუამ გადაწყვიტეს, თამაში ძირითადად შერკინებით წარემართათ. იმავეს ცდილობდა მეტოქეც. ანგარიში პორტუგალიელებმა საჯარიმოდან გახსნეს, თუმცა ჩვენც უმალვე საჯარიმოთი ვუპასუხეთ. ფულბეკმა **გოდერძი ჯოგლიძემ** გაიტანა 3:3. ჩვენი უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა და დერეფნიდან აგორებული მოლით, კვაჭმა **მიხეილ ნარიაშვილმა** პირველი ლელო გაიტანა, ჯოგლიძემ გარდასახა. 10:3, პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

. მეორის დასაწყისში სიტუაცია ოდნავ დაიძაბა. ათი წუთით მოედნიდან **კონსტანტინე კობახიძე** გაგვიძევეს. პორტუგალიელებმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და კიდესთან ახლოს ლელო გაგვიტანეს, რომელიც ვერ გარდასახეს 8:10. ამის მერე უპირატესობა ისევ ჩვენი იყო და მოლით მეორე ლელოც გავიტანეთ, თავი ამჯერადაც ნარიაშვილმა გამოიჩინა, ჯოგლიძემ ისევ ზუსტად დაარტყა - 17:8. სერიოზული ტრავმა არავის მიუღია და უკვე შემდეგი მატჩისთვის ვემზადებით. რუმინეთს აუცილებლად უნდა მოვუგოთ. - დაასრულა თხრობა ნიკო ჭავჭავაძემ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველო-პორტუგალია 17:8**

(15-9) **ჯოგლიძე, ჯავარაშვილი (ნადარეიშვილი 65), გრძელიშვილი, ლომინაძე, გოგლიჩიძე, ჯიმშელაძე, ჭინჭარაული (გოგია 54); (1-8) მენაბდიშვილი(ქართველისვილი 61), ნარიაშვილი, ტორაძე (გაბელია 60), სურგულაძე(კ), კობახიძე (სბ) (ზარნაძე 64), კვერნაძე, გუნიავა, რევიშვილი (მარგველაშვილი 58)** - *2ლ (ნარიაშვილი), 2გ,ს: ჯოგლიძე*

ნახევარფინალი. **პირველი ადგილისთვის.** საფრანგეთი-იტალია 52:3, ირლანდია-ინგლისი 10:7; **მე-5 ადგილისთვის.** საქართველო-პორტუგალია 17:8, რუმინეთი-რუსეთი 19:17;

7 აპრილი, ფინალი. ირლანდია-საფრანგეთი; **მე-3 ადგილისთვის:** საფრანგეთი-იტალია; **მე-5 ადგილისთვის:** საქართველო-რუმინეთი; **მე-7 ადგილისთვის:** რუსეთი-პორტუგალია

UNDER 19 WORLD CHAMPIONSHIP IRELAND 2007

მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

# 28:0 რუმინეთთან!

ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბანგორში 19-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა. ჩვენმა მორაგბეებმა პირველ მატჩში 28:0 გაანადგურეს რუმინელი თანატოლები. რადგან ჩვენებმა ოთხი ლელოს გატანა შეძლეს, მათ პრემიალური ქულაც დაერიცხათ. საქართველოს ნაკრები B დივიზიონში ასპარეზობს და მიზნად ელიტაში გადასვლა დაუსახავს. დივიზიონის პირველ ტურში, თუ იტალიელებს არ ჩავთვლით, ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება ქართველებმა მოიპოვეს.

ჩვენებმა მატჩში ძალები თანაბრად გადაანაწილეს, ორივე ტაიმში ორ-ორი ლელო გაიტანეს და გარდასახეს. ტაიმში თითოჯერ თავი გამოიჩინა ქართველთა უკანახაზელმა **გიორგი სვანიძემ**. მატჩის მე-4 წუთზევე რუმინელებს ლელო ჩვენმა 10 ნომერმა ლაშა ხმალაძემ გაუტანა, ზუსტად გარდასახა ბექა ნიკლაურმა, რომელსაც არც მერე აუცილებია გარდასახვა. 29-ე წუთზე სვანიძემ იყოჩაღა და ტაიმი 14:0 მორჩა. მეორე ტაიმში მატჩის მიმდინარეობა არ შეცვლილა, რუმინელებმა ჩვენების დაცვას ვერაფერი მოუხერხეს და კიდევ ორი ლელო მიიღეს. ტაიმის მე-10 წუთზე ლელო კაპიტანმა **არჩილ კობაურმა** გაიტანა, 34-ე წუთზე კი თავი ისევ სვანიძემ გამოიჩინა - 28:0.

პირველი ტურის შემდეგ 5-5 ქულა საქართველოს, იტალიას, ტონგას და ჩილეს აქვთ. 4-4 ქულა - კანადელებს და ამერიკელებს, ქულა - რუსებს, დანარჩენებს კი ქულათა გრაფაში ნული დარჩათ. მეორე ტური დივიზიონში 8 აპრილს გაიმართება. საქართველოს ნაკრები ზიმბაბვეს გუნდს შეხვდება, რომელიც პირველ ტურში 0:8 დამარცხდა კანადასთან. სამი ტურის შემდეგ (12 აპრილს ჩვენები რუსებს შეხვდებიან) პირველი ოთხეული ელიტის საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებს. პირველადგილოსანი ნახევარფინალში მეოთხეს შეხვდება, ხოლო მეორე -მესამეს. A ჯგუფში მხოლოდ გამარჯვებული გადადის.

**საქართველო-რუმინეთი 27:0**

საქართველო: (15-9) **კავთიძე, მ. ნიკლაური, სვანიძე, ბ. ნიკლაური (ნუცუბიძე 70), ტუჩაშვილი, ხმალაძე, როხვაძე (ზირაქაშვილი 66); (1-8) ცირეკიძე (ბასილაშვილი 60), სხულუხია, ჯაშიტაშვილი (მირცხულავა 46), კალმახელიძე, ძაგნიძე (კოლელიშვილი 73), მძინარიშვილი, ჩიჩუა (კაკოვინი 51), კობაური (კაპ.)** - *4 ლ (ხმალაძე, სვანიძე 2, კობაური), 4 გ (ბ.ნიკლაური)*

პირველი ტური: **ტონგა - ურუგვაი 36:5, ჩილე - კუკის კუნძულები 29:14, იტალია - ტაივანი 62:6, აშშ - რუსეთი 6:0, კანადა - ზიმბაბვე 8:0**

## სოფიომ ვერ გაარღწია

**ჩოგბურთი.** სოფიო მელიქიშვილმა (344) ვერ შეძლო პელემის ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაღწევა. ფინალურ საკვალიფიკაციო ტურნირში 19 წლის ქართველი პირველ ნომრად განთესილ ბელარუს **ოლგა გოვორცოვას** (218) ხვდებოდა. სოფიომ ორ სეტში ისე წააგო, მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო - 1:6, 0:6. შეგახსენებთ, რომ პელემის ტურნირში **სალომე დევიძეც** მონაწილეობდა, თუმცა 20 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა პირველივე საკვალიფიკაციო წრეში წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.




## თარიღი



**ვახტანგ იაგორაშვილი.** დაიბადა 05.04.1964, თბილისი. თანამედროვე ხუთჭიდი. 1988 წლის სეულის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი პირად ჩათვლაში (V ადგილი გუნდურში), 1996 წლის ატლანტის (XX ადგილი) და 2004 წლის ათენის (IX ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ (1990) და ორგზის მეორე პრიზიორი (1989, 98) პირად შეჯიბრებაში, ევროპის ორგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1987, 89), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1986, 88, 89) და თასის ორგზის მფლობელი (1986, 88), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1986). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1997 წლიდან გამოდის აშშ-ის სახელით, სადაც 1991-იდან ცხოვრობს. 1999 წლის აგვისტოში ცოლად შეირთო ამერიკელი ხუთჭიდელი მერი ბეთ ლარსენი, რომელიც მას შემდეგ ქმრის გვარით ასპარეზობს (საუკეთესო შედეგი - III ადგილი 2002 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში).

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი კაცი... არაკაცი

რამდენიმე დღის წინათ, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა, NBA-ის არაერთგზის ჩემპიონმა **სტივ კერმა**, რომელიც დღეს ერთ-ერთ საუკეთესო ანალიტიკოსად ითვლება, იმ მოთამაშეების სია გამოაქვეყნა, რომლებიც კარიერის დასრულებისთანავე დიდების დარბაზში მოხვედრის ასპროცენტიანი კანდიდატები იქნებიან. ცხადია, საუბარი იყო მოქმედ მოთამაშეებზე.

ფავორიტთა შორის **შაკილ ონილი, ტიმ დანკანი, ალენ აივერსონი, კობი ბრაიანტი, სტივ ნეში** და **კევინ გარნეტი** მოხვდნენ, თუმცა ამ უკანასკნელის გასწვრივ, მისტერ კერმა ასეთი რამ მიაწერა - ქეი. ჯის კარიერის დასრულებამდე გუნდურ მოთამაშედ ჩამოყალიბება და მინიმუმ ერთხელ გაჩემპიონება არ აწყენდაო.

გარნეტი რომ მისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, ეს კერის გარეშეც ვიცით, თუმცა სტივიც, ჩვენცა და ალბათ, კალათბურთში ჩახედული ადამიანების 99 პროცენტი შევთანხმდებით იმაზე, რასაც წყალი არ გაუვა - კევინი ეგოისტია. ის ცხოვრობს პრინციპით - "მთელი გუნდი ჩემს ფეხებთან". გარნეტი არ მოსწონთ სხვა ვარსკვლავებს და სიმართლე ითქვას, "მინესოტის" ბოსს **კევინ მაქჰეილსაც** ყელში ამოუვიდა თვითნება გარნეტის ხუშტურები.

ერთ-ერთი ბოლო მატჩისას, კონკრეტულად კი 30 მარტს "მაიამისთან", გარნეტმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ის, რომ ეგოიზმი მისი სიდიადის უცვლელი მეგზურია. "მგლები" მოქმედ ჩემპიონებთან უიმედოდ აგებდნენ და ბოლო მეოთხედში, გუნდის სამწვრთნელო შტაბმა გარნეტის ნაცვლად მოედანზე სერბი **მარკო იარიჩი** შეუშვა.

თამაში გაგრძელდა, მაგრამ მყისვე, "მინესოტის" მომდევნო შეტევის დროს შეჩერდა - "მგლების" სათადარიგოებმა ნუთშესვენება აილო. ტაიმაუტი გარნეტმა მოითხოვა, მიზეზი კი მარტივი ყოფილა - მას იმ მომენტისთვის 20 მოხსნამდე სულ ცოტა აკლდა და მწვრთნელებს რომ ერთი მაგრად მიაგინა (აბა, პასუხის გამცემი რომ არ ეყოლებოდა, ეს თქვენც იცით), გარნეტი ეგრევე მოედანზე დააბრუნეს, სულ მალე კი 20 ქულა და 20 მოხსნაც გამოცხვა და ბედნიერი ვარსკვლავი სკამზე დაჯდა.

არანაკლებ "დამაჯერებელი" იყო გარნეტის დაუგეგმავი შოუ "კლივლენდთან" გუშინდელ შეხვედრაშიც.

ლებრონს ვხვდებით და მთელმა გუნდმა ჩემზე უნდა ითამაშოთო - უთქვამს მატჩის დაწყებამდე კევინს, რაზეც **რიკი დევისს** მოკრძალებული შენიშვნა გაუკეთებია, სტრიტბოლს თუ ვთამაშობდით, არ ვიცოდიო.

კევინი სტატისტიკაზე შეყვარებული მოთამაშეა, მაგრამ ამ შეხვედრაში მისმა ეგოიზმმა მაინც ვერ დაჩრდილა "კავალიერსის" ლიდერის პირადი სტატისტიკა. რაც გარნეტისთვის ყველაზე გულსატკენი იყო, ლებრონი მას იმ მაჩვენებელშიც არ ჩამორჩა, სადაც ქეი. ჯი არა მარტო მას, არამედ ყველას სჯობნის - ჯეიმსმა გარნეტის დარად, 12 მოხსნა მოიმკო და გუნდის წარმატებაშიც უდიდესი როლი ითამაშა.

ნამატჩევს გარნეტი ცოფებს ყრიდა, გუნდს აკრიტიკებდა და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვეულ ამპლუაში გახლდათ.

"ლებრონი ლიდერია და "კლივლენდში" მისგან ყველა სამაგალითოდ მოქცევას ელის. იგივეს, და ბევრად მეტსაც *წარმოვადგენ "ვულვზში", თუმცა აქ ხალხი მოედანზე გასვლის წინ გულს აკვარიუმში დებს და პარკეტზე გასვლისთანავე ლიად მიგვანიშნებს, სულ არ მაინტერესებს, როგორ დასრულდება შეხვედრაო"*, - ამბობდა კევინი.

გარნეტს მისი თავკაცი **რენდი უიტმენიც** დაეთანხმა.

*"კევინი მთელი სეზონი გვათრევს, მაგრამ ენერგიის აღდგენას ხანდახან ვერც ის ასწრებს და როდესაც ასე ხდება ხოლმე, მოგების მცირე შანსიც აღარ გვრჩება"*, - მიაჩნია უიტმენს.

"მინესოტის" სასტარტოს არც ერთ წევრს არ დაუგროვებია 10 და მეტი ქულა, ხოლო ლებრონმა კი თავიდანვე იბობოქრა და პირველ მეოთხედში მის ანგარიშზე 6-დან 5 ზუსტი საშუალო სროლა და 5 მოხსნა იყო.

*"ფლეი ოფი მოდის. პროტეზი შინ უნდა დავტოვოთ და მეტოქეებს ვამპირის კბილები უნდა დავანახოთ"*, - მიაძახა დარბაზიდან ნაჩქარევად გასულმა ჯეიმსმა მასმედიელებს.

წლეულს, ლებრონის "კავალიერსი" "დეტროიტთან" და "ჩიკაგოსთან" ერთად აღმოსავლეთიდან სუპერფინალში გასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იქნება. მაგრამ ერთი რამ უეჭველია - ჯეიმსს ერთი დიდი ნაბიჯის გადასადგმელად, ანუ ჩემპიონობის მოსაპოვებლად დღევანდელზე სოლიდური დამხმარე რაზმი დასჭირდება. თავის დროზე, მეორე ეშელონის მოთამაშეებთან ერთად, სამეფო ტახტზე ფეხი ვერც "მისმა უჰაერესობამ", ანუ **მაიკლ ჯორდანმა** დადგა.

ერთ რამეზე კი ერთხელაც შევთანხმდეთ - ჯეიმსი დიდი ჩემპიონი, ბუმბერაზი კაცია, კევინი კი, ალბათ, საპირისპირო, თუმცა მის უდიდეს ნიჭს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს.

■ ■ ■

"ლეიკერსისა" და "დენვერის" მატჩში ახალი რეკორდი დაამყარა ლოსანჯელესელთა ლიდერმა - კობი ბრაიანტმა. ამ შეხვედრის შემდეგ, სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვინც 19-ათასიანი ზღვარი გადალახა.

"ნაგეტსთან" მატჩის დღეს, კობი 18 წლისა და 223 დღის იყო. წინა რეკორდის მფლობელი **მაიკლ ჯორდანი** გახლდათ, რომელმაც 19 ათასი ქულა მაშინ დააგროვა, როცა ის 29 წლისა და 62 დღის იყო.

**ზურაბ თალაკვაძე**



კევინ გარნეტი

**მინესოტა-კლივლენდი 88:101**

21:33, 26:22, 13:25, 28:21

**მინესოტა:** გარნეტი (22 ქ. 12 მ. 3 დ), ფოიე (18 ქ. 6 პ), მაკკენტსი (14 ქ), კ. სმიტი (12 ქ. 7 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (31 ქ. 12 მ. 6 პ. 4 ჩ), გუდენი (20 ქ. 13 მ. 4 პ), პავლოვიჩი (13 ქ. 2 ჩ), ჰიუზი (11 ქ. 10 პ. 3 ჩ), გიბსონი (11 ქ).

**ინდიანა-დეტროიტი 85:100**

26:21, 20:22, 18:35, 21:22

**ინდიანა:** ჯ. ონილი (20 ქ. 7 მ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (15 ქ), დ. გრეინჯერი (14 ქ. 8 მ), ტინსლი (უქულოდ, 10 პ).

**დეტროიტი:** პრინსი (24 ქ), რ. ჰამილტონი (19 ქ), ბილაპსი (11 ქ. 4 პ), უებერი (10 ქ. 10 მ. 3 პ), რ. უოლასი (10 ქ. 5 მ).

**მაიამი-ტორონტო 92:89**

30:25, 26:18, 17:24, 19:22

**მაიამი:** შ. ონილი (16 ქ. 12 მ. 3 დ), ჰასლემი (16 ქ. 9 მ. 2 დ), ე. ჯოუნსი (14 ქ. 2 ჩ), ჯეისონ უილიამსი (14 ქ. 5 პ), პოუსი (6 ქ. 13 მ. 5 პ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 11 მ. 2 დ), ნესტეროვიჩი (11 ქ. 9 მ. 2 დ), დიქსონი (11 ქ), ლ. ჯექსონი (10 ქ).

**მილუოკი-ნ. ორლეანი 101:119**

31:37, 25:30, 25:20, 20:32

**მილუოკი:** რედი (27 ქ. 5 მ), ლ. გრირი (19 ქ), პატერსონი (10 ქ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (24 ქ. 6 მ. 4 პ), მეისონი (21 ქ. 2 ჩ), ჩენდლერი (18 ქ. 20 მ), ბ. ჯექსონი (13 ქ. 8 მ), პარგო (12 ქ), დევინ ბრაუნი (11 ქ. 3 ჩ), რ. ბატლერი (10 ქ. 2 დ), პოლი (8 ქ. 14 პ).

**მემფისი-ფინიქსი 111:116**

36:31, 23:40, 29:18, 23:27

**მემფისი:** გასოლი (23 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), უორიკი (22 ქ. 16 მ), ეტკინსი (19 ქ. 7 პ), გეი (14 ქ. 2 ჩ), კინსი (10 ქ. 5 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (27 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბარბოსა (24 ქ. 2 ჩ), მერიონი (17 ქ. 12 მ. 3 ჩ. 3 დ), ნეში (15 ქ. 17 პ. 6 მ), ჯ. ჯოუნსი (14 ქ).

**სან ანტონიო-სიეტლი 110:91**

33:22, 27:26, 31:17, 19:26

**სან ანტონიო:** ბ. ბოუენი (18 ქ), ტ. პარკერი (16 ქ. 6 მ. 4 პ), დანკანი (14 ქ. 7 პ. 5 მ), ფინლი (13 ქ), ობერტო (11 ქ. 10 მ).

**სიეტლი:** უილკოქსი (20 ქ), რ. ლიუისი (19 ქ), პეტრო (14 ქ. 3 დ).

**საკრამენტო-დალასი 93:97**

24:23, 24:26, 22:20, 23:28

**საკრამენტო:** არტესტი (25 ქ. 10 მ. 2 ჩ), კევინ მარტინი (17 ქ. 9 მ. 2 ჩ), ბიბი (16 ქ), აბდურრაჰიმი (12 ქ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (29 ქ. 8 მ. 2 დ), ტერი (27 ქ. 5 მ. 5 პ), სტექჰაუზი (23 ქ. 5 მ. 5 პ).

**ლეიკერსი-დენვერი 105:111**

28:30, 30:33, 28:23, 19:25

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39 ქ. 4 პ. 3 დ), ოდომი (17 ქ. 14 მ. 12 პ), ლ. უოლტონი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**დენვერი:** ენტონი (31 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), კემბი (21 ქ. 20 მ. 6 დ), აივერსონი (20 ქ. 10 პ), ნენე (14 ქ. 6 მ), კლეიზა (11 ქ), ჯეი. არ. სმიტი (10 ქ).

## ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები

**უნიკახა-ბარსელონა 91:75**

17:24, 29:16, 26:19, 19:16

**უნიკახა:** ფაისონი (17 ქ. 3 მ), დე მიგელი (13 ქ. 7 მ), ბ. როდრიგესი (12 ქ. 5 პ), ტუშეკი (11 ქ), ხიმენესი (10 ქ), პეპე სანჩესი (5 ქ. 7 პ).

**ბარსელონა:** ნავარო (15 ქ. 3 პ), ბაზილე (11 ქ. 3 პ. 2 ჩ), მარკონატო (11 ქ. 8 მ), უკიჩი (10 ქ. 4 პ. 2 ჩ), ტრიასი (10 ქ. 5 მ).

**ტაუ-ოლიმპიაკოსი 84:59**

20:12, 20:16, 19:12, 25:19

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (24 ქ. 3 მ), ერდოგანი (13 ქ. 3 ჩ), ტელეტოვიჩი (10 ქ. 4 მ), სკოლა (8 ქ. 9 მ), ფ. ჰაუსი (8 ქ. 7 მ. 3 ჩ).

**ოლიმპიაკოსი:** დომერკანტი (13 ქ), ჰოსკინი (11 ქ. 5 მ. 2 პ).

**ცსკა-მაკაბი 80:58**

21:6, 19:16, 16:12, 24:24

**ცსკა:** ლენგდონი (16 ქ. 3 პ), დ. ანდერსენი (14 ქ. 4 მ), ჰოლდენი (12 ქ. 4 მ), ვან დენ შპიგელი (11 ქ), სმოდიში (9 ქ), პაპალუკასი (4 ქ. 8 პ. 5 მ).

**მაკაბი:** ვუიჩიჩი (10 ქ. 9 მ), უ. ბინუმი (9 ქ), არნოლდი (7 ქ. 6 მ).

**პანათინაიკოსი-დინამო (მ) 80:58**

23:11, 23:16, 17:11, 17:20

**პანათინაიკოსი:** ბეჩიროვიჩი (17 ქ. 3 მ), შიშკაუსკასი (16 ქ. 4 მ. 3 პ), ბატისტე (10 ქ), დიამანტიდისი (7 ქ. 6 პ. 5 მ).

**დინამო (რუს):** ეკეზი (15 ქ), დინი (14 ქ. 3 პ), პაპადოპულოსი (7 ქ. 7 მ).



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## ჩილდრესმა სეზონი დაასრულა

"ატლანტა ჰოქსის" ფორვარდი **ჯოშ ჩილდრესი** სეზონის დარჩენილ მატჩებს გამოტოვებს. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში კალათბურთელმა მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. მისი გამოჯანმრთელების პროცესს დაახლოებით ორი თვე დასჭირდება.

ჩილდრესისთვის ეს სეზონი მესამეა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. წელს, მას კარიერაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვს: 13.0 ქულა, 6.2 მოხსნა და 2.3 შედეგიანი გადაცემა.

## აიზია ტომასი 50 ათასით დასაჯეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 50 ათასი დოლარით დააჯარიმა "ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელი **აიზია ტომასი**. ამ სასჯელის მიზეზი გახლავთ ის, რომ ტომასმა საჯაროდ გააკრიტიკა NBA-ის ხელმძღვანელობა. მწვრთნელი არ დაეთანხმა ასოციაციის იმ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ერთი კვირით აეკრძალა თამაში "ნიუ იორკის" ერთ-ერთ ლიდერ **სტეფონ მარბერის**.

ჩოგბურთი

## როდიკი დევისის თასისთვის ემზადება

მიუხედავად ტრავმისა, ამერიკის ნაკრების ლიდერი **ენდი როდიკი** დევისის თასის მეოთხედფინალში თამაშს აპირებს. როგორც იცით, ამერიკელმა ჩოგბურთელმა მაიამის "მასტერსზე" ფეხი დაიზიანა და ამის გამო, ვადაზე ადრე დაასრულა ტურნირი. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ როდიკი ვერ შეძლებდა დევისის თასზე ესპანეთის წინააღმდეგ თამაშს. თუმცა, მათი პროგნოზები არ მართლდება.

*"არ ვიცი, ესპანეთთან მატჩისთვის 100 პროცენტით ვიქნები თუ არა მზად. თადარიგში დარჩენას არ ვაპირებ. თუ თამაშის მცირე შანსი მაინც მომეცა, კორტზე აუცილებლად გავალ, რადგან დევისის თასის მატჩები ძალიან მომწონს"*, - ამბობს ენდი როდიკი, რომელმაც უკვე დაიწყო მსუბუქი ვარჯიში.

## შარაპოვას საფინა შეცვლის

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ**, ტრავმის გამო უარი განაცხადა ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრების სახელით გამოსვლაზე. ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** ასეთი კომენტარი გაუკეთა მარიას უარს: *"მე ვესაუბრე შარაპოვას მამას, რომელმაც დაადასტურა, რომ მარიას მხარის ტრავმა აქვს და რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ჩვენ უფლება არ გვაქვს, მათ არ დავუჯეროთ"*.

ტარპიშჩევის თქმით, სავარაუდოდ, შარაპოვას ადგილს ნაკრებში **დინარა საფინა** დაიკავებს, თუმცა, განიხილება **ვერა ზვონარევას** კანდიდატურაც.

კრივი

## პატიმარი ჩემპიონი

ტაილანდელი პატიმარი ქალი **სამსონ სორ სირიპორნი** უმჩატეს წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამით, სირიპორნმა "ბანგკოკ ჰილტონის" ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების შანსი მიიღო.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ბრძოლა ციხეში ჩატარდა. ტაილანდელის მეტოქე იაპონელი **აიაკ მიანო** იყო.

*"ციხეში ძალიან დიდხანს ვიჯექი და ახლა ვადაზე ადრე გათავისუფლების იმედი მაქვს. როცა აქედან გავალ, ბრძოლას გავაგრძელებ. მინდა, მთელს მსოფლიოში მოვაწყო ტურნე"*, - აცხადებს სირიპორნი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის არის დაპატიმრებული.

ჰოკეი

## კანადას ენდი მიურეი გაწვრთნის

გუშინ, კანადის ჰოკეის ფედერაციამ დაასახელა იმ მწვრთნელის ვინაობა, რომელიც ქვეყნის ეროვნულ გუნდს აპრილში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე უთავკაცებს. ეს გახლავთ "სენტ ლუის ბლუზის" მთავარი მწვრთნელი **ენდი მიურეი**. სწორედ ის გაუძღვება კანადის ნაკრებს მოსკოვში, მსოფლიო პირველობაზე.

მიურეის ორი ასისტენტი ეყოლება - "ლოს ანჯელეს კინგზის" დამრიგებელი **მაიკ ჯონსონი** და "კოლამბუსის" მწვრთნელი **ჟერარ გალანი**.

აღსანიშნავია, რომ მიურეის სანაკრებო დონეზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს - 1997 და 2003 წლებში მან ორჯერ გააჩემპიონა კანადის ნაკრები.

## NHL-ში მაყურებელმა იმატა

მარტში, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი რეკორდი დამყარდა - ერთი თვის განმავლობაში, NHL-ის მატჩებზე დასწრების სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, მარტში რეგულარულ ჩემპიონატში 218 მატჩი გაიმართა, რომელსაც ჯამში 3 778 000 მაყურებელი დაესწრო. ამან საშუალოდ ერთ შეხვედრაში 17.3 ათასი მაყურებელი შეადგინა. წინა რეკორდი 2002 წელს, ასევე მარტში იყო დამყარებული - 17 144 ათასი.

მთლიანად, წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს 19 965 000 მაყურებელი დაესწრო.

ავტოსპორტი

## ახალი სარბოლო სერია

ავტოსპორტის სამყაროს კიდევ ერთი სარბოლო სერია შეემატება. "სუპერლიგა-ფორმულის" ჩატარების იდეა რამდენიმე წლის წინათ გახმოვანდა, ამ დღეებში კი, ამ იდეის ავტორებმა რამდენიმე დეტალი დააზუსტეს. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოში, მსოფლიოს წამყვანი საფეხბურთო კლუბების ფერებითა და ლოგოებით დამშვენებული 20 ბოლიდი ექვსეტაპიან ჩემპიონატს ჩაატარებს.

უკვე გაფორმებულია კონტრაქტები "მილანთან", "პორტუსთან", "ეინდჰოვენთან" და "ოლიმპიაკოსთან". მოლაპარაკებები მიმდინარეობს "გალათასარაისთან", "ბარსელონასთან", "რეალთან", "ვალენსიასთან", "ბოკა ხუნიორსთან" და სხვა ცნობილ კლუბებთან.

იდეის ერთ-ერთი ავტორია ესპანელი მარკეტოლოგი **ალექს ანდრეუ**. მისი თქმით, ამ სერიაში მონაწილეობის სანაცვლოდ, საფეხბურთო გუნდები კონტრაქტების მიხედვით, 5 წლის განმავლობაში 14-18 მილიონ ევროს მიიღებენ. მომავალში აპირებენ კალენდარი 17 ეტაპამდე გაზარდონ.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# სტენლის დამცველი აღარ ჰყავს

სტენლის თასს ახალი მფლობელი ეყოლება. ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა და გუშინდელი შეხვედრების შემდეგ გაირკვა, რომ ფლეი ოფში ვერ ხვდება სტენლის თასის ამჟამინდელი მფლობელი - "კაროლინა ჰარიკეინზი".

ამ გუნდმა გუშინ, სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში წააგო "ტამპა ბეისთან". გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდის საწყისი ნაწილი. "კაროლინა" 2:1 იგებდა, როცა **ვენსან ლეკავალიესა** და **დენ ბოილისგან** ორი შაიბა მიიღო და დარჩენილ დროში ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო.

*"დათრგუნულები ვართ. ძალიან გვინდოდა ფლეი ოფში გასვლა და შარშანდელი მიღწევის გამეორება, მაგრამ ახლა ამ ოცნებასთან გამომშვიდობება გვიწევს. გუნდის დღევანდელი შემადგენლობისა და მოთამაშეების ნიჭის გათვალისწინებით, ამასთან შეგუება ძალიან ძნელია"*, - განაცხადა "კაროლინას" ცენტრალურმა ფორვარდმა **ერიკ სტაალმა**.

"ჰარიკეინზი" 1996 წლის შემდეგ პირველი გუნდი გახდა, რომელიც სტენლის თასის მოპოვების შემდეგ, მომდევნო სეზონში ფლეი ოფში ვერ გავიდა. 11 წლის წინათ, იგივე ბედი ეწია "ნიუ ჯერსი დევილზს".

ის, რომ "კაროლინა" ფლეი ოფში ვერ ითამაშებდა, მისი კონკურენტების წარმატებული თამაშის შემდეგ გაირკვა. "მონრეალმა" 2:0 დაამარცხა "ბოსტონი", ხოლო "ტორონტომ" მინიმალური ანგარიშით "ფილადელფიას" სძლია. სწორედ ეს ორი გუნდი აცხადებს პრეტენზიას აღმოსავლეთი კონფერენციის ბოლო, მერვე საგზურისთვის. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, "მონრეალი" ერთი ქულით უსწრებს "ტორონტოს".



კაროლინა თამაშგარეში დარჩა

**პიტსბურგი-ბაფალო 1:4**

1:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კალინინი-7 (ტ. ნუმინენი-27, ჰეხტი-36), 1:1 რეკი-23 (ჯ. სტაალი-13, მელოუნი-15), 1:2 დ. რუა-18 (სტეფორდი-12, ვანეკი-39), 1:3 ვანეკი-40 (სტეფორდი-13, ბრიერი-62), 1:4 პომინვილი-33 (ჰეხტი-37, ბრიერი-63).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ოვეჩკინი-44 (ლეიჩი-10, იურჩინა-8).

**კალგარი-კოლორადო 3:4**

1:1, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ფრიზენი-6 (რეგერი-19, იელი-11), 1:1 ბ. კლარკი-10 (საკიკი-58, ვოლსკი-27), 2:1 ჰამრლიკი-7 (ტენგეი-56, იგინლა-53), 2:2 რიჩარდსონი-14 (საკიკი-59, ლაპერიერი-21), 2:3 პ. შჩასტნი-27 (ბრუნეტი-54, საკიკი-60), 2:4 საკიკი-35 (ბრუნეტი-55, ფინგერი-3), 3:4 ლენგკოუ-33 (იგინლა-54, ფანოფი-32).

**ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 4:2**

0:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. არმსტრონგი-11 (მოდრი-14, გერონი-1), 0:2 დ. ბრაუნი-17 (კამალერი-45, ჰოუვარდი-18), 1:2 სმოლინსკი-18 (ჰ. სედინი-69, დ. სედინი-46), 2:2 პიატი-22 (ბულისი-11, ლინდენი-13), 3:2 კუკი-9 (ბ. მორისონი-29, ნესლუნდი-35), 4:2 ნესლუნდი-24 (დ. სედინი-47, ჰ. სედინი-70).

**მინესოტა-ედმონტონი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მ. კოივუ-20 (გაბორიკი-24, როლსტონი-33), 2:0 ფოსტერი-3, 3:0 რადივოევიჩი-10 (გაბორიკი-25, ბერნსი-16).

**ნეშვილი-ჩიკაგო 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰოლმკვისტი-6, 1:1 კ. ტიმონენი-13 (კარია-50, ლეგვანდი-36), 2:1 ჰამჰუისი-6 (დუმონი-45, კარია-51), 2:2 ბიფიგლენი-1 (ჰამილტონი-20, არხიპოვი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯეისონ უილიამსი (ჩიკაგო), ვრბატა (ჩიკაგო), კარია (ნეშვილი), ჰამილტონი (ჩიკაგო).

**ფინიქსი-სენტ ლუისი 2:5**

1:3, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 უეიტი-16 (ბეკსი-13, მაკლემანი-27), 0:2 ჩაიანეკი-15 (მ. უოკერი-5), 1:2 კარჩილო-4 (ბალარდი-20, ნ. კაპანენი-15), 1:3 ჯეკმენი-3 (სტემპნიაკი-25, მეტროპოლიტი-19), 1:4 დვორაკი-10 (ჩაიანეკი-33), 2:4 რიონიკი-9 (დოენი-27, ნოლანი-23), 2:5 კინგი-1 (უეიტი-43).

**ტორონტო-ფილადელფია 3:2 (ო)**

0:0, 2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 პოტულნი-7 (იგერი-5, ნუბლი-25), 1:1 ი. უაიტი-3 (ბატალია-19, პოლი-15), 2:1 გილი-6 (მაკეიბი-42, დევერო-10), 2:2 იორკი-10 (პიტკანენი-39, ნუბლი-26), 3:2 მაკეიბი-14 (ტ. კაბერლე-45, სუნდინი-46).

**მონრეალი-ბოსტონი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ს. კოივუ-21 (სურეი-37, ჰალაკი-1), 2:0 ს. კოივუ-22 (მტრაიტი-26, კომისარეკი-15).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 2:1 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მადენი-10 (რაფალსკი-46, პანდოლფო-13), 1:1 ალფრედსონი-28 (ჰიტლი-53, კორვო-27).

**ბულიტები გაიტანეს:** ვერმეტი (ოტავა), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი), კომრი (ოტავა), ბრილინი (ნიუ ჯერსი), მადენი (ნიუ ჯერსი).

**აილენდერსი-რეინჯერსი 3:2 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 აშემი-10 (რ. რობიტაილი-29, კამპოლი-12), 2:0 იაშინი-17 (კამპოლი-13), 2:1 შენეჰანი-29 (სტრაკა-41, მალიკი-19), 2:2 ნიულანდერი-26 (იაგრი-65).

**ბულიტები გაიტანეს:** შატანი (აილენდერსი).

**ტამპა ბეი-კაროლინა 3:2**

0:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-32 (ე. კოული-31, ბრინდამორი-55), 0:2 ბრინდამორი-25 (ს. უოკერი-30, ე. კოული-32), 1:2 პერენი-13 (ჯ. უორდი-11, პრატი-6), 2:2 ლეკავალიე-52 (პროსპალი-41), 3:2 ბოილი-20.

**დეტროიტი-კოლამბუსი 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 კალდერი-12, 2:0 ბერტუცი-3 (დაციუკი-58, ლებდა-13), 3:0 დრეიპერი-14 (დაციუკი-59).

# TV სპორტი

**5 აპრილი. ხუთშაბათი**

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სენსიანო (პერუ)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
14:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ვალენსია.
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 უიქენდის მატჩების ანონსი.
19:50 ტოქ-შოუ - 2:1.
20:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
21:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:10 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სენსიანო (პერუ)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:35 სპორტის სახეები.
09:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
10:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ვალენსია.
11:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი.
13:45 ფიტნესი.
14:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-მაკაბი.
15:55 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:25 სპორტინფორმი.
18:40 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ანაჰაიმი-სან ხოსე.
20:25 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალის წინ.
21:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა (LIVE).
22:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი (LIVE).
00:40 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-მაკაბი.
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი (LIVE).
06:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.

### EUROSPORT

09:30 ექსტრემალური სპორტი.
10:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
11:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
12:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-შვედეთი. ედმონტონი. კანადა.
14:15 მულტისპორტი.
14:45 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
15:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
15:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
17:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფლეი ოფი. ედმონტონი. კანადა (LIVE).
20:30 პროფესიული კრივი. IBF. ზემძიმე წონა. რ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
22:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფლეი ოფი. ედმონტონი. კანადა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.

### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
11:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ბილიარდი. პული. ევროტური. ლიბერეცი. ჩეხეთი.
16:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
17:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
18:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
19:00 ახალი ამბები.
19:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
20:30 ახალი ამბები.
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
22:00 ფრისტაილ მოტოკროსი.
23:00 პროფესიული კრივი. ზემძიმე წონა. ს. იბრაჰიმოვი (რუსეთი)-ხ. მორა (მექსიკა). ნიუ იორკი. აშშ.
00:00 ახალი ამბები.
00:15 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
01:30 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ირლანდია-ავსტრალია. ბელფასტი. ირლანდია.
02:45 ახალი ამბები.

# ჩოგბურთი

## ტურნირები

**WTA**

**Bausch @ Lomb-ის ჩემპიონატი**

ამელია აილენდი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**ელენი დანილიდუ (საბ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 10) 6:0, 6:4; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 11)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (6), 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 13)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:3, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 14) 7:6 (4), 6:2; **ჟი ჟენგი (ჩინ, 15)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:4, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 16)**-ხისელა დულკო (არგ) 6:2, 6:3; **მარტინა მიულერი (გერ, 17)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 7:5, 6:1; **იაროსლავა შვედოვა (რუს)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:2, 3:1 ბრემონის უარი; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 6:4; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 6:7 (6), 6:4, 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-ნიკოლ პრატი (ავსტრია) 6:1, 7:5; **მარა სანტანჯელო (იტა)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 5:7, 6:3, 6:4; **კაროლინა შპრემი (ხორ)**-მეგან შონესი (აშშ) 6:4, 7:6 (5); **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:2, 6:2; **მეილინ ტუ (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა) 7:5, 6:1; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-ჯულია შრუფი (გერ) 2:6, 6:3, 6:3; **კატალინა კასტანიო (კოლ)**-ელენა ვესნინა (რუს) 5:7, 6:3, 6:1; **კაია კანეპი (ესტ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 1:6, 6:1, 6:1.

**1/16 ფინალი**

**ნადია პეტროვა (რუს, 1)**-კაია კანეპი (ესტ) 6:4, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:1, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 5)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:4, 7:5; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 11)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 2:6, 6:3, 6:2; **ჟი ჟენგი (ჩინ, 15)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:3, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:1, 6:3.

# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

**რომა-მანჩესტერი 2:1**

**რომა:** დონი, კასეტი, მექსე, კივუ, პანუჩი, ვილჰელმსონი (62. ვუჩინიჩი), ტადეი (82. როზი), პეროტა, დე როსი, მანსინი, ტოტი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში, ბრაუნი, ფერდინანდი, ჰაინცე, ქერიკი, სქოულზი, გიგზი (77. საა), კრისტიანო რონალდო, რუნი, სოლსკიაერი (72. ფლეტჩერი).

**გოლები:** 1:0 ტადეი (44), 1:1 რუნი (60), 2:1 ვუჩინიჩი (66)

**გაძევება:** სქოულზი (34. მანჩესტერი)

**მაყურებელი:** 67 688

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** რომა
**პირველი ჯარიმა:** მანჩესტერი
**პირველი კუთხური:** რომა
**პირველი გაფრთხილება:** მანჩესტერი

| | | |
|---|---|---|
| 26 (9) | დარტყმა | 9 (4) |
| 17 | ჯარიმა | 19 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

**ჩელსი-ვალენსია 1:1**

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ობი მიკელი (75. ჯ. კოული), ბალაკი, ლემპარდი, კალუ (75. რაიტ-ფილიპსი), დროგბა, შევჩენკო.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი (87. უგო ვიანა), ალბელდა, ალბიოლი, ვისენტე (58. ანგულო), სილვა, ვილია (90. ხორხე ლოპესი).

**გოლები:** 0:1 სილვა (30), 1:1 დროგბა (53)

**მაყურებელი:** 41 035

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ჩელსი
**პირველი ჯარიმა:** ჩელსი
**პირველი კუთხური:** ვალენსია
**პირველი გაფრთხილება:** ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| 14 (7) | დარტყმა | 7 (2) |
| 12 | ჯარიმა | 18 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი A-სტ. პაული | 0:0 |
| უნიონი-კილი | 0:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-ჰიბერნიანი | 1:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-გრეტნა | 0:0 |
| ლივინგსტონი-კლაიდი | 0:0 |

**ავსტრიის თასი**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი A-ავსტრია | 1:1 პენ. 1:3 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| მოჩენოკი-შენეცი | 2:2 პენ. 6:7 |
| რუჟომბეროკი II-ბისტრიცა | 2:1 |
| მორავცე-ნიტრა | 1:0 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| დინამო (მ)-ლოკომოტივი | 1:0 |
| როსტოვი-დინამო (ბ) | 1:2 |
| მოსკოვი-კრილია | 3:2 |
| ზენიტი-სპარტაკი | 1:2 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| გროცლინი-რუხი | 3:1 |

**ხორვატიის თასი**

| | |
|---|---|
| სლავენი-რიეკა | 3:2 |
| ჰაიდუკი-დინამო | 2:2 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| პაქში-ფერენცვაროში | 2:3 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| დრავა-ბელა კრაინა | 1:6 |
| ფაქტორი-პუბლიკუმი | 0:1 |
| კოპერი-გორიცა | 1:2 |
| ნაფტა-დომჟალე | 0:0 |
| პრიმორიე-მარიბორი | 3:1 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-ვილერბანი | 93:85 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-კიოლნი | 2:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-სლოვანი | 1:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-სპარტა | 4:4 ო.ტ. 4:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგსი-მოდო | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**WTA. ამელია აილენდი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-**შპრემი** | 3:6, 3:6 |
| **ბამერი**-რაზანო | 6:1, 6:1 |
| **დეში**-დანილიდუ | 6:3, 6:4 |
| **სტოსური**-ოპრანდი | 7:6, 6:2 |
| **გოლოვინი**-კასტანიო | 6:0, 6:3 |
| მიულერი-**ტუ** | 3:6, 1:6 |

ჩიკაგო ბულზი. დიდი გუნდის ისტორია. პირველი ნაწილი

# ერთადერთი და განუმეორებელი

ყველა დროის უდიდესი გუნდის დასახელებისას, აზრთა ერთობლიობა არასოდეს იქნება. სულ სხვა საქმეა ყველა დროის უდიდესი მოთამაშის ნომინაცია. ბილ რასელის, უილტ ჩემბერლენის, ქარიმ აბდულ-ჯაბარის, ლარი ბერდის, მეჯიქ ჯონსონის, ოსკარ რობერტსონისა და ჯერი უესტის უდიდესი ნიჭისა და ქარიზმის მიუხედავად, მეფე ერთია და საკალათბურთო ტახტზე, ალბათ, სამუდამოდ მაიკლ ჯორდანი იქნება მოკალათებული. "მისი უპაერესობა" პროფესიული კალათბურთის ორ დიდ ეპოქას ალამაზებდა, ეტაპობრივად თავისი გუნდიც, "ჩიკაგო ბულზიც" უდიდესად აქცია და თითქმის ყველა არსებული ინდივიდუალური ჯილდოც მოიპოვა.

მაიკლმა შექმნა მთელი ეპოქა და ყველას გთხოვთ, არ დავიწყოთ იმ უსაფუძვლო არგუმენტების მოტანა, რომლებიც დაახლოებით შემდეგში მდგომარეობს - იქამდე, სანამ ლიგას **ლარი ბერდის** "სელტიქსი" და **მეჯიქ ჯონსონის** "ლეიკერსი" აზანზარებდნენ, "ბულზი" არაფერს წარმოადგენდაო. იმ გუნდებს, ბერდისა და მეჯიქის გარდა, ბევრი ძალიან დიდი მოთამაშე ჰყავდა. ლარის გვერდით **რობერტ პერიში, კევინ მაქჰეილი, დენი ეინჯი, დენის ჯონსონი** და **ბილ უოლტონი** იდგნენ, ხოლო მეჯიქს კი, "შოუთაიმის" დადგმაში **ქარიმ-აბდულ ჯაბარი, ჯეიმს უორთი, ეი. სი. გრინი, დენის სკოტი** და კიდევ ბევრი სხვა ძლიერი მოთამაშე ეხმარებოდა.

1995-96 წლების "ბულზმა" შექმნა ისტორია, რომელიც დღემდე ხელუხლებელია და თუ მომავალში **ლებრონ ჯეიმსი, ტიმ დანკანი** და **დირკ ნოვიცკი** ერთ გუნდში არ გაერთიანდებიან (რაც წარმოუდგენელია), 82 მატჩიდან 72 მოგებას ალბათ, ველარავინ მოახერხებს.

72 (!). მაგიური რიცხვი, რომელიც მაიკლთან ერთად **სკოტი პიპენმა, ფილ ჯექსონმა, ტონი კუკოჩმა, სტივ კერმა, ლიუკ ლონგლიმ, ბილ უენინგტონმა, რონ ჰარპერმა** და სეზონის დაწყებამდე, "სან ანტონიოსთან" გაცვლის შედეგად აყვანილმა **დენის როდმანმა** გამოჭედეს.

ასე რომ, თუ ზოგს ყველა დროის საუკეთესო გუნდად 1986 წლის "სელტიქსი" (67 მოგება, 15 წაგება), 1967 წლის "ფილადელფია" (68:13) ან 1972 წლის "ლეიკერსი" (69:13) მიაჩნია, ეს მისი ნებაა. უბრალოდ, ერთხელაც შეგახსენებთ, რომ იმ "ბულზმა", რომელზეც ამ წერილში გვექნება საუბარი, ყველა დროის უდიდესი სტატისტიკური მაჩვენებელი დააფიქსირა და ამას, როგორც შემდგარსა და ურყევ ფაქტს, გვერდს ვერ ავუვლით.

პირველ ნაწილში რესპონდენტი სკოტი პიპენია, რომელიც იმ სეზონის 72 მოგებით დასრულების 10 მისეულ მიზეზს გვისახელებს. უფრო სწორად, სკოტი ზოგიერთ ფაქტორს უსვამს ხაზს, ერთ-ერთ კომპონენტში კი, რეზიუმედ როდმანის გამონათქვამი გვექნება წარმოდგენილი.

დღეს "ათი მცნებიდან" ორ ძირითადს წარმოგიდგენთ, სულ კი "ბულზის" შესახებ კიდევ ოთხჯერ გაგესაუბრებით.

## დენის როდმანი

*სკოტი პიპენი იხსენებს: "სეზონს ისე ვხვდებოდით, როგორც არასოდეს. წინა წელს მაიკლის დაბრუნება ჩვენთვის სასურველი შედეგით ვერ დასრულდა. 1995-ში ჯორდანი ფლეი ოფში შემოგვიერთდა, მაგრამ "ორლანდოსთან"* **შაკმა** *და* **ჰორას გრანტმა** *ფარი მოგვიგეს და მხოლოდ ის ემოციური მუხტი, რომელსაც მაიკლი ერქვა, ჩემპიონობისთვის საკმარისი არ გამოდგა. "მეჯიქმა" ჩვენი სისუსტეები დაგვანახა. სასწრაფოდ გვჭირდებოდა ძლიერი მეფარე. თანაც, ისეთი, რომელიც არა მარტო ცენტრის ან მძიმე ფორვარდის, არამედ მსუბუქი ფორვარდის აყვანასაც უპრობლემოდ მოახერხებდა. მახსოვს, ერთ-ერთი ვარჯიშიდან შინ რომ დავბრუნდი, ახალი ამბები მოულოდნელად სპორტული ბლოკით დაიწყო. "ჩიკაგომ" ჩემპიონი აიყვანა - ეწერა დიქტორის უკან უზარმაზარ პოსტერზე, გვერდით კი დიდი კითხვის ნიშანი იყო დასმული. 20 წამში მაყურებელს უნდა გამოეცნო ჩვენი ახალწვეულის ვინაობა და გამარჯვებული 1 000 დოლარს მიიღებდა. გავიფიქრე, ნუთუ* **ჰაკიმი** *(ოლაჯუონი - "ჰიუსტონის" ცენტრი - რედ.) დავიმატეთ-მეთქი? 1 000 დოლარი საბოლოოდ...* **ფილ ჯექსონმა** *(!) მოიგო, რომელმაც პირდაპირ ეთერში განაცხადა - "ბულზმა" "სპურსში" უილ პერდიუ გაუშვა, თავად კი დენის როდმანი დაიმატაო!*

*შოკში ჩავვარდი. რა დროს როდმანია, როდესაც ყველაფერი ასე კარგად აეწყო და 3-4 ნომრად თამაშით,* **ტონი კუკოჩს** *დიდი სათამაშო დრო უნდა. თანაც, დენისი დომინანტი პიროვნება იყო, "ბულზში" კი ერთადერთი ბოსი - ფილ ჯექსონი გვყავდა. ჯორდანიც კი ვერ უბედავდა ფილს მის კომპეტენციაში ჩარევას, როდმანის სახით კი დინამიტს ვიმატებდით.*

*პირველივე ვარჯიშზე დენისი ფორმის გარეშე, საცვალში გამოცხადდა, მერე კი მოედნის ცენტრში დადგა და... გაშიშვლდა!*

*უკანალზე როდმანს "ჰორნეტსის" ლოგო ჰქონდა მიხატული. ზოგმა გაიცინა, ზოგმაც - არა, ხოლო ფილის კითხვაზე, თუ რით დაიმსახურა "შარლოტმა" ეს პატივი, როდმანმა "როდმანისეული" პასუხი გასცა - ჩვენთან მატჩებში ყველა გუნდი აქ, უკანალში იქნება, ხოლო რეგულარულის პირველ მატჩში კი მეტოქედ ხომ "შარლოტი" გვყავსო?*

*ფილს გაეცინა. დენისი მომდევნო ვარჯიშზე უკვე ნორმალურად ჩაცმული მოვიდა და სიმართლე გითხრათ, სეზონის ბოლომდე აღარ მოუხდენია უკანალის დემონსტრირება.*

*მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლესი დონის კალათბურთს ვთამაშობდით და წამითაც არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ რეგულარული ჩვენი გამარჯვებით დასრულდებოდა.*

*როდმანი ხანდახან გაუგებარ გადაწყვეტილებებს იღებდა, მაგრამ თუ სხვა გუნდში მას ამისთვის სოლიდური თანხით დასჯიდნენ, ფილი ყველაფერს სხვაგვარად უდგებოდა. მოგვიანებით ჩვენც მივხვდით, რომ დენისისთვის დისკომფორტი არ უნდა შეგვექმნა და ყველაფერი იდეალურად იქნებოდა. ერთ-ერთ შეხვედრაში, თუ არ ვცდები "ინდიანასთან", დენისი საჯარიმოების შესრულებისას მსაჯთან მივიდა და თითით ერთ-ერთი მაყურებლისკენ მიანიშნა - სანამ ის კაცი არ გაჩუმდება, ჯარიმას არ ვისვრიო. მსაჯს გაეცინა და დენისი გააფრთხილა - ისროლე, თორემ ტექნიკურს მოგცემო. როდმანმა კი მსაჯი აიტაცა და მოედნის შუაგულში დააყენა. როგორც იქნა, დენისმა არბიტრს ხელი გაუშვა, ეგრევე ტექნიკური მიიღო და პროტესტის ნიშნად, ორივე ჯარიმა თვალდახუჭულმა შეასრულა.*

*ძალიან მინდოდა, აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში "ორლანდო მეჯიქს" შევხვედროდით. მაიკლს რევანში უნდა აეღო.*

*"ორლანდომ" ჩვენსავით დამაჯერებლად გაიარა ფლეი ოფის პირველი ორი წრე და 19 მაისს, შაკი, ჰორასი,* **პენი ჰარდევეი** *და* **ნიკ ანდერსონი** *ჩიკაგოში ჩამოვიდნენ.*

*შანსი არ მივეცით, მიწასთან გავასწორეთ, მეორე მატჩში კი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, კინაღამ დავისაჯეთ. მესამე მეოთხედში შაკმა 14 ქულა გაგვიკეთა, 8 ქულით ჩამოვრჩით მეტოქეს, თუმცა, მერე და მერე, მაიკლმა და მე ერთად 22 ქულა დავაგროვეთ, დენისმა შაკს ფარზე ყველა ბრძოლა მოუგო და მატჩი 93:88 მოვიგეთ.*

*ფინალში "სიეტლი" გავიდა. იმ "სონიქსის" მთავარი ძალა გუნდური თამაში იყო, თუმცა არც ძლიერი ინდივიდუალისტების ნაკლებობას უჩიოდა.* **შონ კემპი, ნეიტ მაკმილანი, გარი პეიტონი, სემ პერკინსი** *და* **დეტლეფ შრემფი** *სოლიდურ კალათბურთს თამაშობდნენ.*

*თუ მაიკლი თავის წილ 30-32 ქულას რეგულარულად დააგროვებდა, ხოლო დენისი კემპს დისკომფორტს შეუქმნიდა, მაშინ სერია ჩვენი ტრიუმფით დასრულდებოდა.*

*როდმანი შეუდარებელი იყო. მან მხოლოდ ერთ მატჩში მიიღო 5 ფოლი, სხვა მატჩებში კი კემპს სისხლს უშრობდა და ამას კორექტულადაც აკეთებდა.*

*სერიაში 3:0 წავიყვანეთ, მერე კი "სონიქსმა" ორი მატჩი მოგვიგო. მეექვსე შეხვედრა შინ გვქონდა ჩასატარებელი. ვიცოდით, რომ ჩემპიონობას მაინც მოვიპოვებდით, მაგრამ არანაირად არ გვინდოდა, მეტოქისთვის თუნდაც მცირე შანსი მიგვეცა. მთელმა გუნდმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა მატჩი და მაინც, მატჩის მთავარ გმირად როდმანი იქცა".*

დენისმა 52:45-ზე, თავის გუნდს 4-წუთიანი მონაკვეთი 12:2 მოაგებინა, თავად კი ამ დროში 5 ქულა, 5 მოხსნა და 2 ულამაზესი პასი გააკეთა, რომლებითაც ჯერ პიპენმა, შემდეგ კი ჯორდანმა დააგროვეს ქულები.

*"საუკეთესო მოთამაშის პრიზი მაიკლს მისცეს, თუმცა მოგვიანებით ჯორდანმაც აღნიშნა, ჩემი ხმა დენისს ეკუთვნოდაო. როდმანმა თავისი ენერგიითა და ბავშვური ენთუზიამით, ჩვენი გუნდი დაუმარცხებელი გახადა", - იხსენებს პიპენი.*



დენის როდმანი და სკოტი პიპენი

## დაცვა

დაიხ, "ბულზს" საშუალოდ 105.2 ქულით რეგულარულში საუკეთესო შეტევა ჰქონდა, მაგრამ ამასთან ერთად, ამ გუნდს უძლიერესი და ძალიან ჭკვიანურად დაყენებული დაცვაც გააჩნდა. იმ სეზონში ჯორდანმა მერვედ მოიპოვა საუკეთესო მექულის პრიზი და ლიგის ისტორიაში, **უილის რიდის** (1970) შემდეგ გახდა მეორე მოთამაშე, რომელმაც ერთსა და იმავე სეზონში რეგულარულის, "ყველა ვარსკვლავის მატჩისა" და სუპერფინალების საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

პერიმეტრზე "ბულზს" დაცვაში ჯორდანი, რონ ჰარპერი და პიპენი ჰყავდა. ერთი-ერთზე თამაშისას სამივე უძლიერესი იყო, სკოტის კი, ცენტრის გარდა, ყველა სხვა ამპლუის ოპონენტის წინააღმდეგ შეეძლო თამაში.

სამწამიანში კი ყველაფერი როდმანს ჰქონდა გადაკეტილი, რომელმაც საბოლოოდ, საშუალო 14.9 მოხსნით ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა საუკეთესო მომხსნელის ჯილდო. მერე რა, რომ ილინოისელთა ცენტრები - ლიუკ ლონგლი და მოუქნელი ბილ უენინგტონი ძალიან შეზღუდული შესაძლებლობების დამცველები იყვნენ, სამწამიანს როდმანიც ჰყოფნიდა, რომელმაც იმ რეგულარულში, 14 პრინციპული დაპირისპირებიდან მოხსნებში ერთადერთხელ დაუთმო პირველობა ოპონენტს. იმ 14 მატჩში, დენისს ჰაკიმ ოლაჯუონის, **დევიდ რობინსონის, პატრიკ იუინგის,** შაკილ ონილისა და **ზო მურნინგის** წინააღმდეგ თამაში მოუხდა.

"ადმირალის" წინააღმდეგ დენისმა ჯერ 19, მერე კი 22 მოხსნა დააგროვა, რობინსონის მაჩვენებელი კი შედარებით მოკრძალებული გახლდათ - 10 და 12 მოხსნა. "ბულზის" ფორვარდმა ოლაჯუონს ჯამში 33:27 მოუგო. დენისს მხოლოდ ერთხელ აჯობეს - გაცილებით მაღალმა და ჯანიანმა შაკმა, როდმანზე 3 მოხსნით მეტი (17:14) დააგროვა. 14 ნოემბერს, "ბულზი" "მეჯიქთან" 88:94 დამარცხდა,.

საბოლოოდ, რეგულარულში "ჩიკაგომ" ოპონენტებს მხოლოდ 92.9 ქულა დააგროვებინა, ფლეი ოფში კი ეს მაჩვენებელი 86.8 ქულამდე დავიდა. მაიკლმა, დენისმა და სკოტიმ დამსახურებულად მოიპოვეს დაცვის პირველ ხუთეულში შესვლის უფლება. ამ მაჩვენებლით, ეს "ბულზი" ბევრად სჯობნის მანამდე ნახსენებ სხვა დიად გუნდებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინა დეკადებში შეტევაზე აქცენტირებული თამაში იყო მოდაში.

დენის როდმანი: *"რომ მომენდომებინა, ერთ მატჩში საშუალოდ 10-11 ქულას უპრობლემოდ დავაგროვებდი, მაგრამ ყოველთვის მეზარებოდა შეტევაში ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. თანაც, ყოველთვის მყავდა თანაგუნდელები, რომლებიც ამას ჩემზე გაცილებით უკეთ აკეთებდნენ. "დეტროიტში" ასეთები აიზია ტომასი და ჯო დუმარსი, "სან ანტონიოში" დევიდ რობინსონი, "ბულზში" კი მაიკლი, სკოტი და ტონი იყვნენ."*

*გაგრძელება იქნება*

**ზურაბ თალაკვაძე**



დენის როდმანი

სპორტული გაზეთი ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10[ა],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა